



განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01253443726 განცხადების თარიღი: 10.12.2025
ხელმოწერილი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/რომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ქონების მართვისა და საბიუჯეტო პოლიტიკა
ქალაქის ბიუჯეტის პროექტი
ქმედება: დამტკიცება

მოთხოვნის ტექსტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-01253443726**
თარიღი: **10/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განიხილოთ “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ქალაქ თბილისის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.

დანართი: 513 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

„ “ დეკემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი“ დანართის შესაბამისად

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის № 49-97 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი

თავი I

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

N	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
I	შემოსავლები	1,880,549.8	2,000,967.8	2,123,388.7
1.1	გადასახადები	981,760.3	987,349.2	1,022,413.6
1.3	გრანტები	518,493.4	649,224.6	660,436.1
1.4	სხვა შემოსავლები	380,296.0	364,394.0	440,539.0
II	ხარჯები	1,505,906.0	1,819,120.6	1,794,337.1
2.1	შრომის ანაზღაურება	103,758.3	150,579.5	169,784.1
2.2	საქონელი და მომსახურება	232,123.4	272,324.1	222,004.7
2.4	პროცენტი	12,061.7	24,283.9	43,875.3
2.5	სუბსიდიები	671,218.6	829,212.7	924,112.0
2.6	გრანტები	1,128.0	1,634.3	1,492.9
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	160,356.1	175,623.1	172,970.4
2.8	სხვა ხარჯები	325,259.9	365,463.1	260,097.7
III	საოპერაციო სალდო	374,643.8	181,847.2	329,051.6
IV	არაფინანსური აქტივების ცვლილება	280,902.3	416,036.8	291,480.7
	ზრდა	389,676.5	501,036.8	361,480.7
	კლება	108,774.2	85,000.0	70,000.0
V	მთლიანი სალდო	93,741.5	- 234,189.6	37,570.9
VI	ფინანსური აქტივების ცვლილება	65,618.2	- 267,820.6	-
	ზრდა	65,618.2	-	-
VII	ვალდებულებების ცვლილება	- 28,123.3	- 33,631.0	- 37,570.9
	ზრდა	6.5	-	-
33.1	საშინაო	6.3	-	-

33.2	საგარეო	0.2	-	
	კლება	28,129.8	33,631.0	37,570.9
33.1	საშინაო	28,129.8	33,631.0	37,570.9
VIII	ბალანსი	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

N	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
1	შემოსულობები	1,989,330.5	2,085,967.8	2,193,388.7
	შემოსავლები	1,880,549.8	2,000,967.8	2,123,388.7
	არაფინანსური აქტივების კლება	108,774.2	85,000.0	70,000.0
	ვალდებულებების ზრდა	6.5	-	-
2	გადასახდელები	1,923,712.3	2,353,788.4	2,193,388.7
	ხარჯები	1,505,906.0	1,819,120.6	1,794,337.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	389,676.5	501,036.8	361,480.7
	ვალდებულებების კლება	28,129.8	33,631.0	37,570.9
3	ნაშთის ცვლილება	65,618.2	- 267,820.6	-

მუხლი 3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 2 123 388,7 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
1	შემოსავლები	1,880,549.8	2,000,967.8	2,123,388.7

11	გადასახადები	981,760.3	987,349.2	1,022,413.6
13	გრანტები	518,493.4	649,224.6	660,436.1
14	სხვა შემოსავლები	380,296.0	364,394.0	440,539.0

მუხლი 4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1 022 413,6 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
11	გადასახადები	981,760.3	987,349.2	1,022,413.6
11311	ქონების გადასახადი მათ შორის:	323,249.3	320,000.0	350,000.0
113111 113112	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	255,411.6	255,000.0	282,000.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა)	48,478.4	45,000.0	48,000.0
113114 113115	მიწაზე ქონების გადასახადი	19,359.2	20,000.0	20,000.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადი	658,511.1	667,349.2	672,413.6

მუხლი 5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 660 436,1 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
13	გრანტები	518,493.4	649,224.6	660,436.1
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	437.2	430.0	405.0

132	უცხო სახელმწიფო მთავრობებიდან მიღებული გრანტები	0.2	-	-
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, მათ შორის	518,056.0	648,794.6	660,031.1
1331	მიმდინარე	444.5	50,494.6	4,551.1
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი	444.5	50,494.6	4,551.1
1332	კაპიტალური	517,611.5	598,300.0	655,480.0
1332111	სპეციალური ტრანსფერი	500,000.0	580,000.0	630,000.0
1332112	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	12,000.0	-	-
1332119	სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	5,611.5	18,300.0	25,480.0

მუხლი 6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 440 539,0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
14	სხვა შემოსავლები	380,296.0	364,394.0	440,539.0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	33,039.4	25,599.0	31,000.0
1411	პროცენტები	25,040.3	18,799.0	23,000.0
1415	რენტა	7,999.2	6,800.0	8,000.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	4,441.0	2,800.0	4,000.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3,560.1	4,000.0	4,000.0

142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	184,166.3	170,946.4	192,181.8
1421	საბაზრო დაწესებულების მიერ გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0		
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	182,904.2	168,996.4	190,231.8
14223	სანებართვო მოსაკრებლები, მათ შორის	30,194.7	23,791.4	28,026.8
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის	24,570.0	19,000.0	24,000.0
14223993	მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე	5,624.7	4,791.4	4,026.8
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.9	5.0	5.0
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	52,770.2	50,000.0	50,000.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	99,220.7	95,000.0	112,000.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	544.9	-	-
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	171.8	200.0	200.0
1423	არასაბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	1,262.0	1,950.0	1,950.0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,262.0	1,950.0	1,950.0
1423201	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,227.5	1,950.0	1,950.0
142329	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	34.4	-	-

143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	125,556.9	115,000.0	132,000.0
143171	საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის	59,239.2		
143172	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო პარკირების წესების დარღვევისათვის	17,031.4		
1434	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო	9,399.2		
1439	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	39,887.1		
144	ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	37,533.5	52,848.6	85,357.2
1441	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	37,533.5	52,848.6	85,357.2
144125	სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	38.0	-	-
144127	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	274.6	307.2	307.2
1441299	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	37,220.9	52,541.4	85,050.0

მუხლი 7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 1 794 337,1 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
ხარჯები	1,505,906.0	1,819,120.6	1,794,337.1
შრომის ანაზღაურება	103,758.3	150,579.5	169,784.1
საქონელი და მომსახურება	232,123.4	272,324.1	222,004.7

პროცენტი	12,061.7	24,283.9	43,875.3
სუბსიდიები	671,218.6	829,212.7	924,112.0
გრანტები	1,128.0	1,634.3	1,492.9
სოციალური უზრუნველყოფა	160,356.1	175,623.1	172,970.4
სხვა ხარჯები	325,259.9	365,463.1	260,097.7

მუხლი 8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 291 480,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 361 480,7 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შეკეთება	106,261.7	120,628.3	95,767.4
01 02	ტრანსპორტის განვითარება	7,489.8	6,161.1	7,500.0
02 01	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	33,719.2	51,303.8	42,703.8
02 03	საპროექტო-სამიეზო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები	1,276.2	3,722.7	920.0
02 05	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	4,057.5	2,142.3	-
02 07	ღონისძიებების უზრუნველყოფა	2,417.3	500.0	500.0
02 09	კეთილმოწყობის ღონისძიებები	84,532.5	84,880.7	58,153.2

02 10	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	19,083.4	10,737.4	25,603.1
02 12	ავარიული სახლების ჩანაცვლება	3,321.0	24,550.4	14,000.0
03 01	გამწვანების ღონისძიებები	44,845.5	38,148.3	28,854.3
03 03	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	4,366.1	9,941.2	7,645.0
03 04	რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია	5,433.1	44,051.1	22,403.9
04 01	ბიზნესის სტიმულირება	75.0	-	-
04 08	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	188.9	135.0	200.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	43.5	601.5	1,208.1
06 02	სოციალური დაცვა	4,104.2	5,908.0	5,608.0
07 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა	35,627.0	25,858.0	18,716.7
07 02	ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა	4,826.3	20,007.5	520.0
07 03	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	696.4	762.3	180.4
07 05	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	38.0	9.0	11.2
07 06	ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	255.1	715.5	100.0
08 01	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	103.5	45.0	20.0
08 03	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	908.8	1,017.8	1,516.2
08 04	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	1,360.5	1,180.8	939.1
08 06	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	12,025.3	20,828.6	16,098.1

08 08	ახალგაზრდული ღონისძიებები	1,708.2	3,273.0	1,893.2
08 10	საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა	181.6	100.0	334.0
09 01	თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა	1,700.4	2,700.1	1,716.3
09 02	ცხოველთა მონიტორინგი	1,724.2	5,730.0	2,116.4
10 01	ქ.თბილისის საკრებულო	192.8	78.5	178.5
10 02	მერიის ადმინისტრაცია	3,654.4	11,532.3	5,683.9
10 18	სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	0.6	-	-
10 20	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური	-	6.0	5.5
10 21	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო	3,000.0	1,800.0	-
10 27	გლდანის რაიონის გამგეობა	46.3	30.0	30.0
10 28	ნაძალადევის რაიონის გამგეობა	18.3	23.0	94.8
10 29	დიდუბის რაიონის გამგეობა	52.6	46.0	40.0
10 30	ჩუღურეთის რაიონის გამგეობა	25.3	325.0	25.0
10 31	ვაკის რაიონის გამგეობა	39.6	19.0	16.0
10 32	საბურთალოს რაიონის გამგეობა	56.8	20.0	20.0
10 33	ისნის რაიონის გამგეობა	36.4	110.0	35.0
10 34	სამგორის რაიონის გამგეობა	17.5	832.8	11.1
10 35	კრწანისის რაიონის გამგეობა	30.2	49.9	84.5
10 36	მთაწმინდის რაიონის გამგეობა	135.7	525.0	28.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	389,676.5	501,036.8	361,480.7

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 70 000,0 ათასი ლარის ოდენობით

შემოსულობების კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
31	არაფინანსური აქტივების კლება	108,774.2	85,000.0	70,000.0
311	ძირითადი აქტივები	54,560.8	34,000.0	34,000.0
31111	საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან	49,186.6	30,000.0	30,000.0
31112	არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან	5,218.6	4,000.0	4,000.0
3112	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	152.6	-	-
312	მატერიალური მარაგები	138.8	-	-
314	არაწარმოებული აქტივები (მიწა)	54,074.6	51,000.0	36,000.0

მუხლი 9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	135,445.8	195,864.3	218,976.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	91,814.9	130,649.9	133,468.8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	91,814.9	121,149.9	129,468.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	9,500.0	4,000.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	12,061.7	24,283.9	43,875.3
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	31,569.2	40,930.6	41,631.9

703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,802.8	6,582.1	3,841.3
7033	სასამართლოები და პროკურატურა	-	3,765.0	2,000.0
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	1,802.8	2,817.1	1,841.3
704	ეკონომიკური საქმიანობა	638,549.7	763,745.2	699,419.2
7045	ტრანსპორტი (მათ შორის გზები)	636,739.1	760,520.7	696,339.7
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,810.7	3,224.5	3,079.5
705	გარემოს დაცვა	281,023.8	282,502.1	301,395.1
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	176,842.2	136,882.4	174,389.9
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	4,074.5	4,602.2	3,800.0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	100,107.1	141,017.4	123,205.2
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა	320,495.1	418,383.7	366,319.9
7061	ბინათმშენებლობა	120,290.8	178,438.1	176,527.4
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	33,719.2	51,303.8	42,703.8
7064	გარეგანათება	37,248.8	46,694.8	43,500.0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	8,044.8	12,147.3	9,186.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო _ კომუნალურ მეურნეობაში	121,191.5	129,799.7	94,402.3
707	ჯანმრთელობის დაცვა	39,239.5	44,553.9	44,329.3
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	4,006.1	4,918.0	4,847.7
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	35,233.4	39,635.9	39,481.6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	96,517.4	118,829.5	87,694.6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	29,561.7	37,896.2	25,541.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	58,355.9	68,331.3	52,740.5

7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2,994.9	5,429.9	4,664.5
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	5,604.9	7,172.1	4,748.6
709	განათლება	253,551.3	347,635.2	293,019.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	218,975.7	257,401.4	252,384.7
7093	ზოგადი განათლება		48,161.8	110.0
7093	პროფესიული განათლება	1,102.9	2,200.0	2,500.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	61.5	42.2	142.2
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	33,411.2	39,829.8	37,882.5
710	სოციალური დაცვა	128,957.1	142,061.4	140,823.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	5,194.3	5,707.8	9,801.8
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	464.9	1,264.9	1,274.9
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	55,380.8	57,678.5	57,021.3
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	16,745.3	23,346.2	26,462.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	51,171.7	54,064.0	46,262.5
	სულ	1,895,582.5	2,320,157.4	2,155,817.8

მუხლი 10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ათას ლარებში

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	374,643.8	181,847.2	329,051.6
მთლიანი სალდო	93,741.5	- 234,189.6	37,570.9

მუხლი 11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
		65,618.2	-
ვალუტა დეპოზიტები	65,618.2	-	-

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
		-	267,820.6
ვალუტა დეპოზიტები	-	267,820.6	-
სხვა დებიტორული დავალიანება	-	-	-

მუხლი 12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (37 570,9) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
საშინაო	6.3	-	-
საგარეო	0.2	-	-

ა) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 37 570,9 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი
	28,129.8	33,631.0	37,570.9
საშინაო	28,129.8	33,631.0	37,570.9

ბ) განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2026 წლის ბოლოსთვის 1 077 195,2 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

კრედიტორები	ვალის ნაშთი 2026 წლის ბოლოსათვის
თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება *	41,403.2
თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა *	182,575.0
თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი *	21,552.7
მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) *	147,725.7
თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი *	159,040.9
თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (AIIB)	392,887.5
თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება *	81,720.6
თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება *	50,289.6
სულ ვალის საპროგნოზო მოცულობა	1,077,195.2

შენიშვნა: მოცულობის გამოთვლისას გამოყენებულია საპროგნოზო გაცვლითი კურსი : 1 ევრო - 3.1431 ლარი, 10.12.2025წ.

თავი II

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები, პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა კვლავაც რჩება ერთერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობა, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება, სატრანსპორტო კვანძების მშენებლობა-რეაბილიტაცია). მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი. მოეწყობა ახალი საფეხმავლო ქუჩები და ველოტრასები. გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის სისტემა. უზრუნველყოფილი იქნება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა, მეტროს სადგურების მოდერნიზაცია. მუნიციპალურ ავტოპარკს დაემატება ახალი ავტობუსები, მეტროს მოძრავი შემადგენლობა ეტაპობრივად სრულად ჩანაცვლდება ახალი ვაგონებით. მოეწყობა ახალი საბაგირო ხაზები, დაიწყება დიდი დიდიდან მეტრო/სადგურ „დიდუბის“ მიმართულებით ტრამვაის ხაზის და დეპოს ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტირება/ მშენებლობის სამუშაოები. უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება (კოდი 01 01)

საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება მუშაობა ცენტრალური და შიდა კვარტალური გზების მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის, მოხდება ახალი გზების მშენებლობა და

არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან, ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდაკვარტალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ნაკადების მაჩვენებლებზე.

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი: 01 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია თბილისის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია.

გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში (კოდი: 01 01 08; 01 01 09; 01 01 10; 01 01 11; 01 01 12; 01 01 13; 01 01 14; 01 01 15; 01 01 16; 01 01 17)

ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდება რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ქუჩების, შიდა კვარტალური გზებისა და შიდა ეზოების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება (სანიაღვრეს ან ბორდიურის ჩათვლით), ახალი ქვანაპირების მოწყობა, დაზიანებული ქვანაპირების აღდგენა/შეკეთება, შემოერთებულ ტერიტორიებზე ამორტიზებული გზების მოხრეშვა მოსწორება, რომელიც განაპირობებს რაიონში არსებული გზის საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესებას, რის შედეგადაც უსაფრთხო გახდება ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება. კომფორტული და თანაბარი ხელმისაწვდომი გარემოს შექმნის მიზნით ასევე, გათვალისწინებულია გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა მოთხოვნებთან.

ტრანსპორტის განვითარება (კოდი: 01 02)

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდება დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალეებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია;

საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; დედაქალაქის ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; ქალაქ თბილისის მამულებით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება; მოეწყობა ახალი საბაგირო ხაზები, დაიწყება დიდი დიდიდან მეტრო/სადგურ „დიდუბის“ მიმართულებით ტრამვაის ხაზის და დეპოს ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტირება/ მშენებლობის სამუშაოები; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება - განვითარება; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (მათ შორის ვაგონების შექმნა, ვაგონების მოდერნიზაცია); საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია და სხვა ღონისძიებები.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01)

ქვეპროგრამის მიზანია ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეკონსტრუქცია და გადასასვლელების მოწყობა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოჭკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორებების (ბორცვები) დამონტაჟება; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე

განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში განლაგებული დასახლებების, სოფლებისა და დაბის გზებსა და გზაჯვარედინებზე ლითონის ძელებიანი ზღუდარების შექმნა-დამონტაჟება; გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე არსებულ მრუდეებზე (მოსახვევებში) ანტი-ვანდალური სფერული სარკეების მოწყობა; ერთკომპონენტიანი საღებავით ჰორიზონტალური და ვერტიკალური, თერმოპლასტიტ და ცივი პლასტიტ საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის მაშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება, „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება-განვითარება და სხვა ღონისძიებები.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების (AIIB) (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტით გათვალისწინებული 111 ერთეული ვაგონის შექმნა) პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა.

მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა (კოდი: 01 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მეტროს (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტით გათვალისწინებული 12 მეტროსადგურის რეაბილიტაცია) სესხის მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა.

საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი: 01 02 05)

ქვეპროგრამის მიზანია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიის სახით დაფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და „უნივერსიტეტი-ბაგები“ საბაგიროს სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, დაფინანსდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მომსახურების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები.

სამგორი-ვაზისუბნის საბაგიროს გზის მშენებლობა (01 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამგორის რაიონში არსებული ძველი სამგზავრო საბაგირო გზის (სამგორი-ვაზისუბნის საბაგირო გზა) დემონტაჟი და ახალი თანამედროვე საბაგირო გზის მშენებლობისათვის აუცილებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები ე.წ. Design-Build (DB) მეთოდით.

ტრამვაის ხაზის მშენებლობა (კოდი 01 02 07)

ქვეპროგრამის მიზანია თბილისის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მდგრადი, ეკოლოგიურად სუფთა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის დანერგვა დიდ დილომსა და დიდუბეს შორის ტრამვაის ხაზის მოწყობის გზით. დაგეგმილია დიდი დილმიდან მეტრო/სადგურ „დიდუბის“ მიმართულებით 7,5 კილომეტრიანი ტრამვაის ხაზის (ახალ მარშრუტს 11 გაჩერება ექნება და მას ტრამვაის 10 შემადგენლობა უნდა მოემსახუროს) და დეპოს ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება და სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების შესრულება Design-Build (DB) მეთოდით.

2. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მოხდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, ქალაქის

დასასვენებელი სივრცეების კეთილმოწყობა. გაგრძელდება საზოგადოებრივი დანიშნულებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების, პარკებისა და რეკრეაციული ობიექტების და საერთოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ერთიანი გეგმის შესაბამისად, განხორციელდება ავარიული და ძველი შენობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება (მათ შორის ავარიული შენობების ჩანაცვლება თბილისის ისტორიულ ნაწილში), აქტიურად გაგრძელდება თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, თბილისის ყველა უბნის თანაბარი განვითარება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება დედაქალაქის მასშტაბით სადღესასწაულო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების მზადებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა.

საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა–რეკონსტრუქცია (კოდი: 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. ასევე, მოხდება ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება, მშენებლობა და სხვა ღონისძიებები.

საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა–რეკონსტრუქცია (კოდი: 02 01 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. ასევე, მოხდება ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა და სხვა ღონისძიებები.

სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა (02 01 02)

მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნის მიზნით, ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალი საინჟინრო ინფრასტრუქტურული ობიექტის (ხიდი) მშენებლობას, რომელიც შექმნის თბილისის ცენტრში არსებული რკინიგზის ხაზის ორ მხარეს (აღმოსავლეთ და დასავლეთ) შორის ახალი კავშირის შექმნის საუკეთესო ალტერნატივას - საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტის მქონე საავტომობილო ხიდის სახით, დადიანის ქუჩასა და სადგურის მოედანს შორის.

ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი: 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების დემონტაჟი, აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მოზინადრეთა უსაფრთხოების დაცვას.

საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-საძიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია საავტომობილო გზების (ასფალტის, ბეტონის და ქვაფენილის საფარიანი გზების),

წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) და ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ-კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ-ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების მეთოდი), დასკვნების მომზადება, საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები.

საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03 01)

სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. შესაბამისად, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საავტომობილო გზების, წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო ნაგებობების (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტის, ბეტონის და ქვაფენილის საფარიანი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ-კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ-ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების

მეთოდი) და დასკვნების მომზადება; საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი: 02 05)

პროგრამის მიზანია თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათება და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრული მინათება. პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა, გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება, ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება, გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება.

სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი: 02 06)

პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. მიზნების მისაღწევად განხორციელდება თბილისის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობა (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთება, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობა, კიუვეტების გაწმენდა.

ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი: 02 07)

პროგრამის მიზანია დედაქალაქის გაფორმება დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის მიხედვით; სახელმწიფო, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მოთხოვნით, საერო, სასულიერო, სადღესასწაულო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების მზადებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა, ძეგლებისა და მემორიალების მოვლა-პატრონობა, პიროვნებებისა და ხელოვნების უკვდამყოფი მემორიალების დამზადება-მონტაჟი; სხვადასხვა ფესტივალების, კონკურსებისა და

საიუბილეო ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების განსახორციელებლად ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებული საერთაშორისო და გაცვლითი ღონისძიებების განხორციელება, თბილისთან დამძობილებულ ან/და მსოფლიოს სხვა ქალაქებთან სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებული ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და სხვა ღონისძიებები.

კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 09)

პროგრამის მიზანია ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია, სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა (მათ შორის ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან); სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; უკანონო ნაგებობების დემონტაჟი; რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი: 02 09 01)

დედაქალაქის საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება. მათ შორის: დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; თბილისის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების მოვლა-პატრონობა; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები; ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი; თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა და სხვა.

უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი: 02 09 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობის, ქალაქის იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ხმაურის ნორმების დაცვისა და საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში დადგენილი წესების დაცვა. ექსპლუატაციაში მიღების მიზნით წარმოდგენილი დასრულებული ობიექტის ან/და მისი სამშენებლო დოკუმენტის შემოწმება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული საბოლოო ანგარიშების მიღების მიზნით წარმოდგენილი ობიექტის ან/და მისი სამშენებლო დოკუმენტის შემოწმება, დამრღვევის მიერ სამშენებლო ობიექტზე არსებული დარღვევების აღიარების შემთხვევაში შესაბამისი კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება, სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, დარღვევით მშენებარე ობიექტების შეჩერება ან/და დემონტაჟი. საჯარიმო სანქციების გამოყენება, სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესების დაცვაზე (სამშენებლო და სარემონტო ტერიტორიების შემოღობვა, მიწისქვეშა კომუნიკაციათა ჩაწყობა-გადაკეთებისა და მიწის გათხრასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების ჩატარება, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ობიექტის კეთილმოწყობა-მოწესრიგება და სხვა), დაზიანებული ქუჩებისა და მაგისტრალების მოწესრიგების ღონისძიებათა დროულ და ხარისხიან შესრულებაზე კონტროლი. გარე რეკლამის განთავსების და გარე ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მათ შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლი. უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, პავილიონების, მცირე არქიტექტურული ფორმების მანქანა-დანადგარების, დახლების, სხვადასხვა კონსტრუქციების, სტელაჟების, სარეკლამო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატების და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა და მათი აღკვეთა-სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება.

კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 02 09 10; 02 09 11; 02 09 12; 02 09 13; 02 09 14; 02 09 15; 02 09 16; 02 09 17; 02 09 18; 02 09 19).

ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. განხორციელდება საინჟინრო კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრება, სპორტული მოედნების, სკვერების, საყრდენი კედლების, უსაფრთხოების მოაჯირების, საფეხმავლო ბილიკებისა და სადრენაჟე, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების მოწყობა, აღდგენა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის ნიჟარების ექსპლუატაცია, დასასვენებელი და საბავშვო კუთხეების მოწყობა, საბაღე სკამების დამზადება და მონტაჟი, გამწვანების ღონისძიებები (ნერგების შესყიდვა, ხეების სხვლა, ფორმირება, მოტეხილი და მოთხრილი ხეების მოჭრა და გატანა, ბალახის თიბვა, გამწვანებული ტერიტორიების მორწყვა და სხვა), მოსახლეობის დახმარების მიზნით გაზიფიცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებები (ინდივიდუალური და დევნილთა კომპაქტური ჩასახლების გაზიფიცირება, შემოერთებული ტერიტორიის მაგისტრალური ქსელის მოწყობა და სხვა), რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების დახმარება, მწვავე ავარიული შენობების დემონტაჟი, რაიონის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-პატრონობა, სხვადასხვა საზოგადოებრივ ობიექტებზე მოსახლეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის პანდუსების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 02 10)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: თბილისის ისტორიული იერსახის შენარჩუნების და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის მიზნით, ისტორიულ-კულტურული ძეგლების, საცხოვრებელი სახლებისა და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/ განხორციელება. მსხვილი არეალების (ქუჩების, მოედნების, დასახლებული კვარტლების) ცალკეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და მათი ნაწილების, ასევე, ისტორიული სადარბაზოების, მუზეუმების, რეკრეაციული ზონების, სხვადასხვა ისტორიული შინაარსის

მატარებელი ინფრასტრუქტურის, ადაპტირებული ობიექტების და ყველა თანმდევი სამუშაოების პროექტირება/რეაბილიტაცია. აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ ტურისტებისთვის შეიქმნება დამატებითი მიზიდულობის კერები, ხოლო მუზეუმების და რეკრეაციული ზონების აღდგენა-განვითარებით შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი სივრცეები - უსაფრთხო ეკოლოგიურად სუფთა გარემო დასვენების, გართობის და კულტურული ღონისძიებებისთვის. ასევე, გათვალისწინებულია საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის გადასახადების გადახდა.

ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი: 02 12)

პროგრამა ითვალისწინებს ძველი შენობების ახლით ჩანაცვლებას, რაშიც იგულისხმება საბჭოთა დროინდელი შენობების თანამედროვე კორპუსებით ეტაპობრივი ჩანაცვლება. პროგრამას დაექვემდებარება ის კორპუსები, რომლებსაც გასული აქვთ ექსპლუატაციის ვადა და მინიჭებული აქვს ავარიულობის ხარისხი. პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი კორპუსიდან დროებით იქნება გაყვანილი მოსახლეობა (ბინის ქირით უზრუნველყოფა) და ახალი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მათ იმავე ადგილას გადაეცემათ შესაბამისი ფართი გარემონტებულ მდგომარეობაში. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას, ქონების მიმღებს ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში აუნაზღაურდებათ გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ხარჯები. დაიწყება ავარიული სახლების ჩანაცვლების ახალი პროგრამა ისტორიულ არეალებში, რომელიც მოსახლეობის 100%-იანი თანხმობით განხორციელდება.

3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

დედაქალაქში ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, აღდგება და განახლდება თბილისის შემოგარენის დაავადებული ტყეები, დაავადებულ ტყის მასივებში განხორციელდება სანიტარული და ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების) ხელშეწყობის ღონისძიებები, დაიხვეწება ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სისტემა, გაუმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა

და გარე-იერსახე, მცენარეთა ფიტო-სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება, პარკების განახლება და ახალი გამწვანებული სივრცეების/მწვანე კუნძულების შექმნა. გარდა ამისა, განხორციელდება დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები, ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბება, გაგრძელდება თბილისის ზღვის მიმდებარედ ახალი ზოოპარკის მოწყობა, ხოლო ძველი ზოოპარკის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცე მოეწყობა და სხვა.

გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. გარდა ამისა, განხორციელდება გარემოსდაცვითი კვლევები და რეკომენდაციები, ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების) ხელშეწყობის ღონისძიებები, მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, მერქნიანი მცენარეები); თბილისის ტერიტორიაზე, მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი), მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბელვა და კუნძების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; საბაღე ფურნიტურის და სათამაშო ატრაქციონების მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში, შუა გამყოფი ზოლების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები, გამწვანებული ტერიტორიების და შადრევნების მოვლა-პატრონობა და სხვა ღონისძიებები.

დასუფთავების ღონისძიებები (კოდი: 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ხეების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა. ასევე, გათვალისწინებულია თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის ფარგლებში თბილისის ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების (ლიჩეტის) დამუშავების სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებები, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის (EBRD) სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი.

თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03)

პროგრამა მიზნად ისახავს ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია. აღნიშნული მიზნების წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად

ჩამოყალიბებას. გაგრძელდება თბილისის ზღვის მიმდებარედ ახალი ზოოპარკის მოწყობა, ხოლო ძველი ზოოპარკის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცე მოეწყობა.

თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს: ზოოპარკის ძველ და ახალ ტერიტორიაზე განთავსებული ცხოველების მოვლა-პატრონობისთვის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, მიმდინარე და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოებისთვის, ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯებს; ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლებას და აღდგენას, როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში; მსოფლიოს და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვას, როგორც საექსპოზიციო, ასევე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნით; საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ზოოპარკებთან ურთიერთობას; სკოლამდელი და სკოლის ასაკის მოზარდებში ეკოლოგიური განათლების გავრცელებას სწავლების სხვადასხვა ფორმით; ახალი ვოლიერების მშენებლობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე ცხოველების გადაყვანის უზრუნველყოფას, ჩამოყვანილი ცხოველებისთვის გამოთავისუფლებული ვოლიერების შესაბამისობაში მოყვანას, ცხოველთა კოლექციის გამდიდრებას საექსპოზიციო და სამეცნიერო მიზნებისათვის, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესებას. გაგრძელდება თბილისის ზღვის მიმდებარედ ახალი ზოოპარკის მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ბოტანიკური ბაღის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2030) შესაბამისად გაგრძელდება ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაცია, კოლექციების დოკუმენტირება; სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება; მერქნიან, დეკორატიულ-ბალახოვან მცენარეთა, ასევე იშვიათ, ენდემურ, სამკურნალო და მაღალი საკონსერვაციო სტუსის მქონე მცენარეთა კოლექციების შევსება; უზრუნველყოფილი იქნება ბაღის კოლექციებისა და

ინფრასტრუქტურის მოვლა, განახლება და შევსება; მოხდება საკონსერვაციო სამუშაოთა მხარდაჭერა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის, მატერიალური-ტექნიკური რესურსების განახლება; ბალის ცნობადობისა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა; ბალისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია (კოდი: 03 04; 03 04 01; 03 04 03)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. პარკების ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოეწყობა გამწვანება მრავალწლიანი ხეებითა და გაზონებით. ასევე, გათვალისწინებულია არსებული სივრცის ფიზიკური აქტივობებისთვის მაქსიმალურად ათვისება, რაც არა მარტო მიმდებარე უბნებისთვის, არამედ თბილისის ყველა მაცხოვრებლისთვის მულტიფუნქციურ სარეკრეაციო და გამაჯანსაღებელ კერად შეიძლება იქცეს. სპორტული მოედნები, რომლებიც სხვადასხვა აქტივობებისთვის არის განსაზღვრული, დამსვენებელს, ბუნებასთან ინტეგრირებით, ფიზიკური დატვირთვის მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს. განხორციელდება სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაციის სამუშაოები.

4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, თბილისის მერია შეიმუშავებს მუნიციპალური განვითარების გეგმას. განხორციელდება თბილისის ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვანი კვლევა. შემუშავდება და განხორციელდება ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა, ტურისტული პოტენციალის უკეთ ათვისების სტრატეგია, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტები. გააქტიურდება თანამშრომლობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა). მოხდება

ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებებით.

ბიზნესის სტიმულირება (კოდი: 04 01)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტის ფარგლებში ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება, ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარების ხელშეწყობა და თბილისში რეგისტრირებული ან მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერა; მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა; მეწარმე ქალთა მხარდაჭერა; ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციის, ცნობადობის ამაღლების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით ადგილობრივი ღონისძიებების ჩატარება; ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციური პროექტების დანერგვა, რომლებიც მოქალაქეებისთვის არსებული მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებასა და ახალი სერვისების შექმნას უზრუნველყოფს. მიზნების მისაღწევად განხორციელდება ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა ღონისძიებებით: მათ შორის, მათ შორის, ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით პერმანენტულად გამოფენა-გაყიდვების ჩატარება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმის ორგანიზება, მიკრო და მცირე ბიზნესების ხელშეწყობის პროექტების განხორციელება და სხვა.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03)

პროგრამის მიზანია თბილისში ეკონომიკური განვითარების (ბიზნესის ხელშეწყობა, შრომის ბაზრის განვითარება და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება) ხელშეწყობის კვლევების, სტრატეგიების და პროექტების განხორციელება; მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც გააუმჯობესებს ზოგად ბიზნეს გარემოს, ხელს შეუწყობს დარგობრივ განვითარებას, გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის დონეს, გააუმჯობესებს ღირებულებათა ჯაჭვს, უფრო კოორდინირებულს გახდის ეკონომიკის განვითარებას და ა.შ. ასევე, თბილისის ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო მასალების დაბეჭდვა/გავრცელების გზით, რომლის მიზანია

საერთაშორისო ფორუმებსა თუ სხვადასხვა კონფერენციის ფარგლებში თბილისის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენა.

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება; საზღვარგარეთ თბილისის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა; არსებულ პარტნიორებთან ურთიერთობების განმტკიცება და ახალ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება; ევროკულ ინიციატივებთან მიერთება. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა).

მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა (კოდი: 04 07)

პროგრამის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა, მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა. პროგრამაში გათვალისწინებულია შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები.

შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი: 04 07 02)

ქვეპროგრამის მიზანია სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების კომპეტენტურად და წარმატებით გადაწყვეტა, მერიის სისტემაში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებისა და ინსპექტირების/მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, აღმოჩენილი დარღვევების შესაფასებლად, რომელიც მოითხოვს სპეციალიზებულ გამოცდილებას, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დასკვნის მომზადება, უტყუარი შეფასების განხორციელების მიზნით, რაც შემდგომში

უზრუნველყოფს თითოეული მათგანის კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ეფექტურობის ამაღლებას. სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, მივლინების ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნის მუნიციპალიტეტებთან გამოცდილების გაზიარება.

სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება

(კოდი: 04 07 03)

ქვეპროგრამის მიზანია საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების ექსპერტული ანალიზის შედეგად დადგენის მომსახურების შესყიდვა.

საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 04 07 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში საფინანსო სისტემის გაუმჯობესებისათვის განხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის (ESBA) გაგრძელება, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა/გაუმჯობესება მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ერთეულების/ორგანიზაციების დონეზე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის საწევროს გადასახადი და სხვა.

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი: 04 08)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემომყვანი და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა. პროგრამის ღონისძიებები გათვლილია დედაქალაქის მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; საინფორმაციო, გაცნობითი ტურების ორგანიზება საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებისთვის; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების

განთავსება; კერძო სექტორის მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ბ2ბ ღონისძიებების ორგანიზებით და სხვა.

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09)

პროგრამა უზრუნველყოფს დედაქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდას და ინვესტიციების შემოდინებას. პროგრამის ფარგლებში დამუშავდება ინვესტორებისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაცია თბილისის ქრილში და უზრუნველყოფილი იქნება ამ ინფორმაციაზე საჯარო წვდომა. ჩატარდება იმ ტიპის კვლევები, რომლის მიგნებებიც შესაძლებელია საინტერესო იყოს პოტენციური ინვესტორებისათვის. შეიქმნება კონკრეტული საინვესტიციო შეთავაზებები, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს ქალაქში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასა და ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში მერიის სამსახურებთან თუ სხვა უწყებებთან კოორდინაციით, მომსახურება გაეწევა ინვესტორებს მათი საქმიანობის სწრაფად და ეფექტურად განხორციელების მიზნით. ქალაქს მიეცემა საშუალება საერთაშორისო საინვესტიციო გამოფენებსა და ფორუმებზე წარმოაჩინოს საინვესტიციო შესაძლებლობები, ასევე ორგანიზება გაუწიოს ადგილობრივ საინვესტიციო ფორუმებს. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ინვესტორთა მოზიდვას, მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მიზნობრივი ინვესტიციების შემოდინების ზრდას.

5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსება. განხორციელებული პროექტებით და ღონისძიებებით გამგეობა აქტიურად დაეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და შექმნას ხელსაყრელი პირობები სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბებისათვის. გარდა ამისა, მოხდება ინფრასტრუქტურის

ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 05 01; 05 01 08; 05 01 0 9; 05 01 10; 05 01 11; 05 01 12; 05 01 13; 05 01 14; 05 01 15; 05 01 16; 05 01 17)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით, გამგეობის მიერ სრულად (100%-ით) დაფინანსდება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: ა) სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი); ბ) ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები (ლიფტები და სადარბაზოს სენსორული სანათები), გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა ლიფტების ჩანაცვლების პროექტზე და ოთხ წელიწადში ქალაქში არცერთი ავარიული ლიფტი აღარ იქნება; გ) წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები; დ) 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები; ე) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, თაღები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები); ვ) პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება) და სხვა ღონისძიებები.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გაგრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების

ხელშეწყობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შექმნა, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონის გამგეობების მიერ გაგრძელდება რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა. მათ შორის: მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება.

ჯანმრთელობის დაცვა (კოდი: 06 01)

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება თბილისის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური მომსახურების მიწოდების პროგრამები. მათ შორის: დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში გამოკვლევების, გაფანტული სკლეროზისა და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, ტრანსპლანტაციის, სახსრების ენდოპროტეზირების, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება და სხვა.

დაავადებათა სკრინინგი (კოდი: 06 01 02)

ქვეპროგრამის მიზანია სამიზნე პოპულაციაში კიბოს ადრეული გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდის გზით, კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.თბილისში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის სკრინინგული გამოკვლევების დაფინანსება. კიბოს სკრინინგის კუთხით პროგრამა მოიცავს ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული კიბოს სკრინინგს, პროსტატის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოკვლევებს, ოპორტუნისტული და ორგანიზებული მოდელით:

- ძუძუს კიბოს სკრინინგი - კომპონენტი მოიცავს ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვას, მამოგრაფიულ გამოკვლევას (2 რადიოლოგის მიერ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წაკითხვით, ხოლო რადიოლოგთა მიერ განსხვავებული შეფასებებისა და/ან სკრინინგული დიაგნოსტიკის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის კონფერენციას, რომელსაც უძღვება შემთხვევის ლიდერი მე-3

რადიოლოგი.), პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს ულტრაბგერით გამოკვლევას დაა საჭიროების შემთხვევაში ძუძუს ციტოლოგიურ გამოკვლევას.

- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - კომპონენტი მოიცავს: საშვილოსნოს ყელის დათვალეირებას, პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით. 25 წლიდან 30 წლამდე ასაკის ჩათვლით ქალებში და HPV დნმ-ის განსაზღვრის ტესტის ჩატარებას 30 წლიდან 60 წლის ასაკის ჩათვლით ქალებში. HPV ტესტით დადებითი შემთხვევების ტრიაჟს სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგიის (LBC) საფუძველზე; ნაცხში პათოლოგიის აღმოჩენის შემთხვევაში კოლპოსკოპიას და/ან კოლპოსკოპიას ჰისტოლოგიური კვლევით.

- პროსტატის კიბოს მართვა - კომპონენტი მოიცავს სისხლში პროსტატის კიბოს PSA სპეციფიური ანტიგენის გამოკვლევას.

- კოლორექტული კიბოს სკრინინგი - კომპონენტი მოიცავს ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT ან უფრო მაღალი სტანდარტის ტესტი) ჩატარებას, პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლონოსკოპიას და/ან კოლონოსკოპიას ჰისტოლოგიური კვლევით.

- ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა - კომპონენტი მოიცავს ულტრაბგერით გამოკვლევას, საჭიროების შემთხვევაში სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას და ენდოკრინოლოგის მეთვალყურეობას.

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი (კოდი: 06 01 03)

ქვეპროგრამის მიზანია ქ.თბილისში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. აღნიშნული გულისხმობს გადამდებ დაავადებათა პრევენციას, გადამდებ დაავადებებათა აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის განხორციელებას, მოსახლეობის იმუნოპროფილაქტიკის ორგანიზების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობას და ანტირაბიული სამედიცინო დახმარების მიწოდების ხელშეწყობას, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომიური

ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის რეკომენდაციების მიწოდებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ეპიდკერაში დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებას. გადამდებ დაავადებათა დროული გამოვლენა, ეპიდკერებში დროული და ადექვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზება-გატარება ქვეყანაში უზრუნველყოფს დაავადებებზე ეპიდსიტუაციის კონტროლს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებას. ქვეპროგრამა არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის მიზნით, ასევე, მოიცავს ცხოვრების ჯანსაღი წესის და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საინფორმაციო კამპანიების წარმოებას.

სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება (კოდი: 06 01 04)

ქვეპროგრამა გულისხმობს მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის ოპერაციის დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია სახსრების ართრიტის მქონე ბენეფიციარებისათვის, რომლებიც საჭიროებენ მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირებას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსება (კოდი: 06 01 05)

ქვეპროგრამა გულისხმობს გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების - ოკრელიზუმაბისა და ფინგოლიმოდის, ასევე, მკურნალობის პროცესში მდგომარეობის შეფასების მიზნით მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (MRT) დაფინანსებას, ქიმიური აგენტების გამოყენებით. ქვეპროგრამის მიზანია გაფანტული სკლეროზის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ზემოაღნიშნული მედიკამენტებით სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარების და კვლევებით უზრუნველყოფის გზით, გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე პირთა უნარშეზღუდულობის თავიდან აცილება.

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი: 06 01 06)

ქვეპროგრამის მიზანია აუტისტური სპექტრის აშლილობების (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა სპეციფიკური აბილიტაციისა და ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის გზით. აღნიშნული გულისხმობს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რისთვისაც ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა), კომპლექსური თერაპიის დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 (მინიმუმ ერთსაათიანი) სეანსი.

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 01 07)

ქვეპროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მედიკამენტებით სრულფასოვანი მკურნალობის ჩატარების უზრუნველყოფის გზით, ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირთა სიცოცხლის გახანგრძლივება/განკურნება. აღნიშნული გულისხმობს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აღიარებული დანიშნულების (თარგეტული/დამიზნებითი თერაპიის) შესაბამისად ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას. ამასთან, მედიკამენტები (ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი, ლაპატინიბი, ფესგო) Her2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ან Her2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირებს უფინანსდებათ, რამდენადაც

რისკის კატეგორიების შეფასების თვალსაზრისით აღსანიშნავია HER2-დადებითი მუშუს კიბო, ვინაიდან ამ რეცეპტორის ჭარბი ექსპრესია, რომელიც მუშუს კიბოს ქალთა დაახლოებით 20-25%-ს აღენიშნება ასოცირებულია დაავადების სწრაფ პროგრესირებასთან.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი: 06 01 08)

ქვეპროგრამის მიზანია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა. აღნიშნული გულისხმობს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სათემო მომსახურების მიწოდების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მოსარგებლებებს წარმოადგენენ ფსიქიკური ან/და ქცევითი აშლილობის მქონე თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მქონე საქართველოს მოქალაქეები.

სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელშეწყობა (კოდი: 06 01 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურისათვის შენობის იჯარის ხარჯები.

რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 01 10)

რევმატოიდული ართრიტი ქრონიკული, პროგრესირებადი აუტოიმუნური ანთებითი დაავადებაა, რომელიც იწვევს სახსრების შეუქცევად დესტრუქციას, დეფორმაციას, მოძრაობის შეზღუდვას და საბოლოოდ ინვალიდობას. მკურნალობის შედეგად მიიღწევა დაავადების რემისია ან დაბალი აქტივობა, რის შედეგად შესაძლებელი იქნება ინვალიდობის და სხვა გართულებების თავიდან აცილება. შესაბამისად, ქვეპროგრამა გულისხმობს რევმატოიდული ართრიტის მქონე პაციენტებისათვის ძვირადღირებული მედიკამენტის დაფინანსებას, რომლის მიზანია რევმატოიდული ართრიტის მქონე ბენეფიციარებისათვის, სრულფასოვანი მედიკამენტოზური მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ტრანსპლანტაცია (კოდი: 06 01 13)

ქვეპროგრამის მიზანია ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაციას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა, მათი სიცოცხლის დაცვა. აღნიშნული გულისხმობს ონკოპემატოლოგიური დიაგნოზის მქონე პირებისათვის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიის, ტრანსპლანტაციის წინა კვლევების, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისა და ტრანსპლანტაციის შემდგომ სტაციონარული მეთვალყურეობის დაფინანსებას და ასევე, ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებას.

სოციალური დაცვა (კოდი: 06 02)

მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამები. მათ შორის: მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის (თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ და სხვა საჭიროების მქონე პირები) სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება; გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის ბენეფიციარების მოვლა-პატრონობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონის გამგეობები თავის მხრივ განახორციელებენ და დააფინანსებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებებს.

კომუნალური სუბსიდირება (კოდი: 06 02 01)

ქალაქ თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახები მიიღებენ კომუნალურ სუბსიდიას. სუბსიდიის ოდენობა და დარიცხვის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი: 06 02 02)

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ამოცანაა მათი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. ამ მიზნით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე განხორციელდება ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა 50 ლარის ოდენობით.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (კოდი: 06 02 03)

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდებისათვის, მომსახურების დაფინანსება არამატერიალიზებული სახის ვაუჩერით. გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებებით უზრუნველყოფა: 1. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა; 2. საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა; 3. პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა; 4. ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გაწევა; 5. ცნობიერების ამაღლება; 6. არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა; 7. ბენეფიციარის პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მოსარგებლედ პირის ჩართვა ხორციელდება მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს - „სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ - შუამდგომლობის საფუძველზე. ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისათვის შეადგენს 500 ლარს თვეში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი: 06 02 04)

ქვეპროგრამის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ შშმ პირები უმეტესად იმყოფებიან ჩაკეტილ გარემოში, შესაბამისად აღნიშნული ბენეფიციარები

სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილ ბენეფიტებს იღებენ ინდივიდუალურად. აღნიშნული ბენეფიტები ნაკლებად ითვალისწინებენ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს, რაც ცუდად აისახება მათ ჯანმრთელობაზე და ქმნის ასევე მათი საზოგადოებისგან იზოლაციის წინაპირობას. ამ პრობლემის ნაწილობრივ მოგვარების მიზნით განხორციელებული იქნება პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსდება შშმ პირების სხვადასხვა კურორტებზე დასვენება. პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული პრინციპით, რომლის ფარგლებშიც მოსარგებლები თავად აირჩევენ მომსახურების მიმწოდებელს. ვაუჩერის ოდენობა და გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით, ხოლო განცხადების და ვაუჩერის ფორმას ამტკიცებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური.

100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი: 06 02 05)

ქვეპროგრამის მიზანია ხანდაზმული მოქალაქეებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა. თანხა გაცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება (კოდი: 06 02 06; 06 02 06 01; 06 02 06 02; 06 02 06 03; 06 02 06 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახებისათვის:

ა) 18 წლამდე ასაკის მოსწავლეების სწავლების ღირებულების ანაზღაურება მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლებში და ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში, მათ მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

ბ) 18 წლამდე ასაკის მოსწავლეების სწავლების ღირებულების ანაზღაურება ხელოვნების სკოლებში, სკოლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

გ) 18 წლამდე ასაკის ბავშვების სწავლების ღირებულების ანაზღაურება სპორტულ სკოლებში და საცურო აუზებში, მათ მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის, ასევე, უფასო სასადილოების მომსახურებით სარგებლობის პლასტიკური ბარათების შესყიდვა, ინიციალიზაცია, ბენეფიციარებისათვის პლასტიკური ბარათების გაცემის სერვისცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო მასალების შესყიდვა, სერვისცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება და სხვა ღონისძიებები.

სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების გაძლიერება, მშობლებისა და ბავშვის აღმზრდელი სხვა პირების მატერიალური და არამატერიალური დახმარების გზით; მშობლებისა და აღმზრდელისათვის იმ უნარების ჩამოყალიბება და გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების დაცვას, ოჯახური კონფლიქტების და ძალადობის სხვადასხვა ფორმების თავიდან აცილებას; ბავშვის დაცვას უარყოფითი გარემო ფაქტორების მავნე ზემოქმედებისგან და მათი დაძლევისათვის აუცილებელი პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობას შესაბამისი სოციალური აქტივობის ღონისძიებების შეთავაზებით; ბავშვის კომუნიკაციის უნარების გაძლიერებას, სოციალური აქტივობის, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ინიციატივის გამოჩენის ხელშეწყობას; ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების სრულყოფას; დანაშაულის შედეგად დაზარალებული, სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებებს და სხვა.

სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება, მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სოციალურად დაუცველი ოჯახების

მონაცემთა ერთიან ბაზაში 200 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით თბილისში რეგისტრირებული საპენსიო ასაკის პირთათვის, ექიმის დანიშნულების შესაბამისად, მედიკამენტების დაფინანსება, მაქსიმუმ 500 ლარის ოდენობით, არამატერიალური სახის ვაუჩერით.

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი: 06 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებისა და სხვა სოციალური სერვისების საჭიროების შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერა.

ომის ვეტერანების დახმარება (კოდი: 06 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ მიერ ფორმირებული ბაზის მიხედვით თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის (ქვრივები და შრომისუუნარო წევრები) ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, მათი ღვაწლის დაფასების, თანადგომისა და მხარდაჭერის მიზნით.

უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა (კოდი: 06 02 12)

ქვეპროგრამის მიზანია უსახლკაროებისათვის ღირსეული საცხოვრისის შეთავაზების მიზნით, საბინაო ფონდის შექმნა და უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება. აღნიშნული გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიერ საჭირო საცხოვრებელი ფართების შეძენას და უსახლკარო ოჯახებისათვის სარგებლობის უფლებით გადასცემას.

მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი: 06 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ვარკეთილი 3 მე-2 მ/რ-ში მდებარე 180-ე ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე არსებული დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა, კომუნალური (მათ შორის დასუფთავების) გადასახადების დაფინანსების გზით, დღის განმავლობაში უზრუნველყოფილი

იქნება 145-მდე მარტოხელა ხანდაზმულის სხვადასხვა საგანმანათლებლო, გამოყენებით და გასართობ პროგრამებში მონაწილეობა.

უფასო სასადილოებით მომსახურება (კოდი: 06 02 14; 06 02 14 06; 06 02 14 07; 06 02 14 08; 06 02 14 09; 06 02 14 10; 06 02 14 11; 06 02 14 12; 06 02 14 13; 06 02 14 14; 06 02 14 15)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს რაიონში რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ ბენეფიციართა რაოდენობის დაზუსტებას და უფასო კვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმღები ბენეფიციარები არიან, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მყოფი სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს.

გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები (კოდი: 06 02 15; 06 02 15 07; 06 02 15 08; 06 02 15 09; 06 02 15 10; 06 02 15 11; 06 02 15 12; 06 02 15 13; 06 02 15 14; 06 02 15 15; 06 02 15 16)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისათვის მათი ოჯახების დახმარებას. განხორციელდება რაიონში მცხოვრებ მეომართა და გარდაცვლილ მეომართა ოჯახების საინფორმაციო ბაზის შექმნა, გარდაცვლილ მეომართა ოჯახებისათვის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა.

დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია (კოდი: 06 02 16; 06 02 16 07; 06 02 16 08; 06 02 16 09; 06 02 16 10; 06 02 16 11; 06 02 16 12; 06 02 16 13; 06 02 16 14; 06 02 16 15; 06 02 16 16)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანილი, სხვადასხვა მიზეზით (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოების შედეგად) უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით (ბინის ქირის ასანაზღაურებლად კომპენსაცია). ქვეპროგრამის ფარგლებში კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირს, რომელსაც საკუთრებაში ან

მფლობელობაში გააჩნია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული დანგრეული ან სხვადასხვა გარემოების შედეგად საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლი (ამორტიზირებული ფართი) თუ პირი ამ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდა უშუალოდ მის ამორტიზებამდე, ამასთან მას და მისი ოჯახის წევრს არ გააჩნია სხვა საცხოვრებლად ვარგისი ფართი საკუთრებაში და მოცემული მომენტისათვის არ აქვს დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობისათვის ქირის გადახდის საშუალება. ასევე, უსახლკაროდ დარჩენილ პირებზე, რომლებმაც საცხოვრებელი სადგომი დაკარგეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. კომპესაცია გაიცემა პირთათვის აუცილებელი საცხოვრებელი ფართით დროებით სარგებლობისათვის საჭირო ქირის ან ქირის ნაწილის დაფარვის მიზნით.

ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში (კოდი: 06 02 17; 06 02 17 07; 06 02 17 08; 06 02 17 09; 06 02 17 10; 06 02 17 11; 06 02 17 12; 06 02 17 13; 06 02 17 14; 06 02 17 15; 06 02 17 16)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასებასა და მათ მორალურ მხარდაჭერას, ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასების მიზნით, სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარებას და მათ დახმარებას.

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში (კოდი: 06 02 18 ; 06 02 18 07; 06 02 18 08; 06 02 18 09; 06 02 18 10; 06 02 18 11; 06 02 18 12; 06 02 18 13; 06 02 18 14; 06 02 18 15; 06 02 18 16)

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის რაიონში რეგისტრირებულ უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად დახმარების გაწევის, უმწეო და მძიმე საარსებო პირობებში მყოფ მოქალაქეთა საარსებო პირობების გაუმჯობესების, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარების, ასევე სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მოქალაქეებისათვის დახმარების გაცემა. დახმარება შეიძლება განხორციელდეს ფულადი დახმარება/შემწეობის ან პირისათვის დახმარების გაწევის მიზნით შეძენილი პროდუქტის/ნივთის გადაცემის გზით, მოქალაქეთა შემოსული

განცხადებების საფუძველზე, შესაძლებლობების ფარგლებში დაფინანსებით. ასევე, გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველ და/ან უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება და სხვა ღონისძიებები. დახმარების გაცემის წესი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით.

თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი: 06 02 21)

ქვეპროგრამის მიზანია თბილისში თავშესაფრის არმქონე მოქალაქეების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ადგილით, მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, პირველადი სამედიცინო მომსახურებითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია პალიატიური ზრუნვის და ალკოდამოკიდებულ პირთათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა. ასევე, გათვალისწინებულია ლილოს, ორხევის, ვარკეთილის და დიდი დიღმის სოციალური საცხოვრისების (ბინების) მოვლა-პატრონობა, ასევე, სხვადასხვა ლოკაციაზე არსებული საცხოვრისების (ბინების) მოვლა-პატრონობა. ორხევში მდებარე სოციალური საცხოვრისიდან გამოყვანილი უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახების ბინის ქირა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრისების მოწყობის მიზნით, საცხოვრებელი ბინების რემონტი და სხვა.

სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი: 06 02 22)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ ოჯახებში, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური დახმარება. თანხის ჩარიცხვა განხორციელდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ბაზის საფუძველზე, ბაზაში მითითებული ოჯახის უფლებამოსილი პირის ანგარიშზე.

„ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 23)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სოციალურად დაუცველი მშობლებისა და მათი ოჯახების

გამლიერებისაკენ მიმართული დამხმარე სერვისების განვითარებას. დღის ცენტრი გათვლილია სოციალურად დაუცველ 6 თვიდან 30 თვემდე ასაკის ბავშვებზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი მშობლებისათვის საინფორმაციო – საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს მათი ცნობიერების ამაღლებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით. ცენტრში ბენეფიციარების ჩარიცხვა ხორციელდება სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ.

სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი: 06 02 24)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 150000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის მატერიალური დახმარება.

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი: 06 02 25)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 100000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახებისათვის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ასევე, აღნიშნული კატეგორიის ოჯახებში შობადობის სტიმულირებისთვის, ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა, ყოველ პირველ და მეორე ახალშობილზე - 500 ლარის ოდენობით, მე-3 ახალშობილზე - 800 ლარის ოდენობით, მე-4 ახალშობილზე - 1000 ლარის ოდენობით, მე-5 და ყოველ შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარის ოდენობით

შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი: 06 02 26)

ქვეპროგრამა გულისხმობს საჭიროების მქონე პირთა გამოვლენას ბართელის ინდექსის შესაბამისად, ასევე ბენეფიციართა პერსონალურ მოვლას, საექიმო და საექთნო მომსახურებას, დახმარებას ყოველდღიურ საქმიანობაში (საყიდვები, ბინის დალაგება, ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა, საკვების მომზადება), სოციალურ-

ტექნიკურ დახმარებას, მოვლისათვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფას. პროგრამის მოსარგებლეს წარმოადგენს თბილისში, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბართელის უძღურების ინდექსი არაუმეტეს 95-სა. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსარგებლეთა და მათი ახლობლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური მომსახურების მიწოდების გზით. ბართელის შკალის შესაბამისად ინდექსის მინიჭების (ფორმის შევსების) ღირებულებაა 9 ლარი.

პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 27)

ქვეპროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების გზით. პერსონალური ასისტენტის სერვისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრებაზე კონტროლის გაზრდის მიზნით. აგრეთვე პერსონალური ასისტენტის სერვისი ეხმარება ბენეფიციარს განათლების მიღების, მუშაობის, საჯარო სერვისებით სარგებლობის ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების პროცესში. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან 18 წელს მიღწეული შშმ პირები, რომელთაც უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ, დადგენილი წესით, განხორციელებული შეფასების საფუძველზე, განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28)

ქვეპროგრამა გულისხმობს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, მათ მხარდაჭერას სხვადასხვა საჭიროებებსა და აქტივობებში, როგორცა: შშმ პირებში კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, შშმ პირთა განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები.

7. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი საადმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს დედაქალაქის საგანმანათლებლო - საადმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-საადმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - საადმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება, განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების და ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა.

სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება (კოდი: 07 01)

თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამის საადმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების შესაბამის კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შშმ პირებზე ადაპტირებას და სხვა. პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი: 07 01 02)

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელშიც იგულისხმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა). ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა ღონისძიებები.

ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი: 07 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების და მოქალაქეთათვის მრავალფეროვანი მომსახურების და ინოვაციური სერვისების შეთავაზების მიზნით, ერთიანი ელექტრონული სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობა, ერთიანი გეოსივრცითი მონაცემთა ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარება, მომსახურების ხარისხის მონიტორინგი და კონტროლი; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება; საინიციატივო ჯგუფების, სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეები და ზოგადი განათლების ხელშეწყობა; სხვადასხვა თემაზე განხორციელდება საქალაქო

ტურნირები და ოლიმპიადები; ტრენინგები თვითმმართველობის მოხელეებისთვის და ქვეუწყებების წარმომადგენელთათვის და სხვა ღონისძიებები.

ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი: 07 02 01)

ქვეპროგრამის მიზანია საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობის გზით მოსწავლეთა ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, რაც ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმითა და ეროვნული სასწავლო გეგმის დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას, მოსწავლეთა ჩართვას სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობებში. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება საინიციატივო ჯგუფების, სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეები და ზოგადი განათლების ხელშეწყობა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთათვის უზრუნველყოფილი იქნება განათლების ხელმისაწვდომობა "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მოხდება საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო კონკურსებში, ტურნირებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა. სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით და ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება ფესტივალები, ფორუმები, გამოფენები, კონფერენციები, ტრენინგ-სემინარები, ჰაკათონები.

საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი: 07 02 03)

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების და მოქალაქეთათვის მრავალფეროვანი მომსახურების და ინოვაციური სერვისების შეთავაზების მიზნით, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების საშუალებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთიანი ელექტრონული სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობა, ერთიანი გეოსივრცითი მონაცემთა ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარება,

ელექტრონული საქმისწარმოების გამარტივების პროცესის ხელშეწყობა, თანამშრომლებისთვის პროფესიული და კარიერული განვითარების უზრუნველყოფა, თბილისის მოქალაქეთა მომსახურების მიმართულების განვითარება. ასევე, მომსახურების ხარისხის მონიტორინგი, კონტროლი და სხვა ღონისძიებები.

საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი: 07 02 04)

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკომუნიკაციო სისტემის შექმნა; საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება; სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება; თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 07 03; 07 03 03)

პროგრამის მიზანია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების ხელშეწყობა სხვადასხვა პროექტების განხორციელების გზით. მათ შორის: ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სერვისების გაუმჯობესება, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, კულტურულ-საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება, ახალი თაობის დაინტერესება წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით.

პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი: 07 04)

პროგრამის მიზანია ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი საგანმანათლებლო კურსების დანერგვის მხარდაჭერა, თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეთა პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა, დასაქმებაზე ორიენტირებული სერვისების განვითარება კერძო სექტორთან და პროფესიულ სასწავლებლებლებთან თანამშრომლობით. განხორციელდება პროფესიული

მომზადება/გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების ბაზაზე, მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსების მეშვეობით, თბილისის შრომით ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებში გადამზადდებიან სამსახურის მაძიებელი მოქალაქეები.

უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება (კოდი: 07 05)

უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება სტუდენტური ინიციატივების წახალისება, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლები, მასტერკლასები, ტრენინგები და ვორქშოფები სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული კონტაქტების ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის. იურიდიული კლინიკის ფარგლებში განხორციელდება მოქალაქეთა კონსულტაცია და სამართალშემოქმედების პროცესში პროგრამის მონაწილეთა ჩართვა. გაგრძელდება სტუდენტების (სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტები) სწავლის დაფინანსების ხელშეწყობა, წარმატებული მაგისტრანტებისათვის სტიპენდიების გაცემა.

უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი: 07 05 01)

ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტების თვითრეალიზების ხელშეწყობა და მათი უნარების განვითარება, სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული კონტაქტების ჩამოყალიბების მხარდაჭერა, სტუდენტების მონაწილეობის და ჩართულობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო, შემოქმედებით, შემეცნებით, სამეცნიერო და კვლევით აქტივობებში. სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა საუნივერსიტეტო და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში, სტუდენტური კლუბების, ასოციაციების და თვითმმართველობების საქმიანობის მხარდაჭერა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტუდენტური ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა, სტუდენტების სტაჟირება და პროფესიული პრაქტიკა, კონფერენციები, ფორუმები, მასტერკლასები, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლები, ტრენინგები და

ვორქშოფები. ასევე, სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით, მოხდება უცხოელი სპეციალისტების და პროფესორების მოწვევა.

იურიდიული კლინიკა (კოდი: 07 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მერიაში იურიდიული კლინიკის ფუნქციონირება და ხელშეწყობა. განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტებსა და ახლადდამთავრებულ იურისტებში პროფესიისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა და მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაციის იურისტებით ბაზრის დაკმაყოფილება; თბილისის მოსახლეობის ხელშეწყობა საკუთარი უფლებების სამართლებრივ დაცვასა და რეალიზაციაში; თბილისში არსებული სამართლებრივი ხასიათის აქტუალური პრობლემატიკის სწრაფი იდენტიფიცირება; პრევენციული ხასიათის ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობისათვის აქტუალურ პრობლემურ საკითხებზე და სხვა ღონისძიებები.

სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა (კოდი: 07 05 03)

ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების მხარდაჭერა, მათთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ასევე, სწავლის ხარისხის ამაღლება და წარმატებული სტუდენტების წახალისება, მაღალი კვალიფიკაციის კადრების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება: 1) სოციალურად დაუცველი სტუდენტების, შშმ სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება (სახელმწიფოს მიერ აღიარებული გრანტის ფარგლებში), მოთხოვნისა და საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად 2) თბილისში რეგისტრირებული წარმატებული მაგისტრანტებისთვის სტიპენდიების გაცემა 3) შეიქმნება სამოტივაციო მექანიზმები სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.

ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (კოდი: 07 06; 07 06 01)

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პრობემების შექმნა; მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების ხელშეწყობა; მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა.

8. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

გაგრძელება კულტურის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების, თეატრების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პრობემების შექმნა; სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებულ სპორტსმენტთა (ბავშვები და მოზარდები) სოციალური და მატერიალური პრობემების გაუმჯობესება; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა; საბალეტო ხელოვნებაში არსებული მოდერნული ტენდენციების დამკვიდრება და განვითარება; განვითარდება კულტურული ტურიზმი, რისთვისაც თბილისი უმასპინძლებს მუსიკალურ, თეატრალურ და კინო ფესტივალებს; შეიქმნება ახალგაზრდული ცენტრები და ღია სივრცეები მთელი ქალაქის მასშტაბით; აშენდება მრავალფუნქციური სპორტული და ახალგაზრდული კომპლექსები; მოხდება სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის.

II არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 96,860.1 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 31,203.3 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 29,179.1 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 1,964.4 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 59.7 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 90.3 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 65,566.5 ათასი ლარი.

⁴ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით თანხის გადახდისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 აგვისტოს N308 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი 3-ში დაემატა სახაზინო კოდი - შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის (3297).




III ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 0.01 ათასი ლარი (შემოსულობა საგარეო - ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხა, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ზრდას).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 789,024.7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 455,386.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81%-ია და აღებული წლიური ვალდებულებების 77.5%-ია. მათ შორის:


ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 372,673.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 161,381.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 79.8%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 375,467.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 259,336.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 69%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 17.8%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 40,883.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 34,669.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 2.4%-ია.



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 102,811.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (153,099.6 ათასი ლარი) 67.2%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 7.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 70,691.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (92,684.8 ათასი ლარი) 76.3%-ია;

✓ ფინანსური და ფისკალური საქმიანობისთვის გეგმა განსაზღვრულია 73.1 ათასი ლარით. ამ მუხლში გათვალისწინებულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯები;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10,194.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (27,331.6 ათასი ლარი) 37.3%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 21,925.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (33,010.0 ათასი ლარი) 66.4%-ია.

■ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 2,444.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 443.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 18.1%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.03%-ს შეადგენს. მათ შორის ამ მუხლში გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილებების და აღსრულების ფონდის ხარჯები.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 609,764.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 537,065.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 37.8%. მათ შორის:

✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 536,201.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (607,461.1 ათასი ლარი) 88.3%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 863.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,303.0 ათასი ლარი) 37.5%-ს შეადგენს.

■ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 202,953.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 170,937.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 12%. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 81,375.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (100,112.0 ათასი ლარი) 81.3%-ია;

✓ ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსებამ შეადგინა 2,659.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,652.2 ათასი ლარი) 72.8%-ია;

✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 86,902.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (99,188.8 ათასი ლარი) 87.6%-ს შეადგენს.

■ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 300,522.6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 217,330.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 15.3%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 67,693.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (133,459.1 ათასი ლარი) 50.7%-ს შეადგენს;

✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 30,683.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (36,265.0 ათასი ლარი) 84.6%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 27,528.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (30,141.8 ათასი ლარი) 91.3%-ს შეადგენს;

✓ გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალური მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 7,959.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (9,237.9 ათასი ლარი) 86.2%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 83,466.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (91,418.8 ათასი ლარი) 91.3%-ს შეადგენს.

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 33,418.3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 32,904.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2.3%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 3,063.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3,076.8 ათასი ლარი) 99.6%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 29,841.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (30,341.4 ათასი ლარი) 98.4%-ს შეადგენს.

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 91,640.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 58,509.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 63.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 4.1%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 19,631.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (37,060.3 ათასი ლარი) 53%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 34,653.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (48,457.1 ათასი ლარი) 71.5%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 2,345.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,077.3 ათასი ლარი) 57.5%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1,879.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,045.6 ათასი ლარი) 91.9%-ს შეადგენს.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 243,476.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 198,102.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13.9%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 165,974.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (197,566.6 ათასი ლარი) 84%-ს შეადგენს;

✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 3,392.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (12,309.6 ათასი ლარი) 27.6%-ს შეადგენს;

✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1,589.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,200.0 ათასი ლარი) 72.2%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 27.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (42.2 ათასი ლარი) 64%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 27,120.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (31,357.6 ათასი ლარი) 86.5%-ს შეადგენს.

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 110,822.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 102,612.5 ათასი ლარი, ანუ

გეგმიური მაჩვენებლის 92.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7.2%. მათ შორის:

✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4,082.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,116.9 ათასი ლარი) 79.8%-ს შეადგენს;

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 957.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,012.7 ათასი ლარი) 94.6%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 41,638.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (42,200.1 ათასი ლარი) 98.7%;


✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 11,830.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (17,039.2 ათასი ლარი) 69.4%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 44,103.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (45,453.7 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით 9 თვეში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 536,201.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (607,461.1 ათასი ლარი) 88.3%-ია;
- ❖ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 181,278.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (264,375.0 ათასი ლარი) 68.6%-ია;
- ❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 179,118.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (214,583.7 ათასი ლარი) 83.5%-ია;
- ❖ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 863.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,303.0 ათასი ლარი) 37.5%-ია;
- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38,035.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (39,454.9 ათასი ლარი) 96.4%-ია;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 135,516.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (144,241.0 ათასი ლარი) 94%-ია;
- ❖ განათლება - 204,206.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (252,102.2 ათასი ლარი) 81%-ია;
- ❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35,043.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (56,030.7 ათასი ლარი) 53.7%-ია;
- ❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7,641.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (13,884.3 ათასი ლარი) 55%-ია;
- ❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 137,481.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (194,588.8 ათასი ლარი) 70.7%-ია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება პრიორიტეტების მიხედვით



სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 7,286.9 ათასი ლარიდან გადარიცხულია 6,850.4 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 2,832.9 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 43.0 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 95.4 ათასი ლარი, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის სასაჩუქრე კალათების შექმნა - 38.1 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 164.3 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ძლიერი ქარი, ბუნებრივი აირის აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო, დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროს, ფინანსური და სხვა ხარჯები - 3,676.7 ათასი ლარი (მათ შორის: 2025 წლის 30 აპრილს, სადგურის მოედნის მიმდებარედ, ე.წ „ბორჯომის ვაგზის“ ტერიტორიაზე, სავაჭრო ფართზე მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულ პირთათვის ფინანსური დახმარება - 1,757.5 ათასი ლარი და 2025 წლის 14 ივლისს, თევდორე მღვდლის N10-ში მდებარე ავარიული კორპუსის ჩამონგრევის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული მოქალაქეების ოჯახებისათვის და დაზარალებული მოქალაქისათვის ფინანსური დახმარება - 102.9 ათასი ლარი).

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიმართული სახსრები

2025 წლის 9 თვეში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან შესაბამისი სამართლებრივი აქტებით გამოყოფილი იქნა 2,659.1 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 2,559.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 96%-ია. მათ შორის:

- ✓ სასამართლოს პროცესის ხარჯების დასაფარად, იურიდიული მომსახურება და სხვა გადახდილი თანხა - 39.0 ათასი ლარი;
- ✓ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 2,520.1 ათასი ლარი.

სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 44,864.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (68,214.9 ათასი ლარი) 66%-ია. აქედან, მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 10,194.8 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 34,669.3 ათასი ლარი.

(ათას ლარებში)

კრედიტორები	ვალების დაფარვა	პროცენტი	2025 წელი (9 თვე)
თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება	11 769,1	630,8	12 399,9
თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა	15 329,4	6 137,5	21 466,9
თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება	3 349,8	1 200,3	4 550,1
თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის მომსახურება	4 221,0	1 131,6	5 352,6
მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW)	0,0	238,1	238,1
თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება	0,0	257,4	257,4
თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება	0,0	395,4	395,4
თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზუმერები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება	0,0	203,8	203,8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2026-2029 წლებისათვის

(გადამუშავებული ვარიანტი)

შესავალი

თბილისის, მისი თითოეული რაიონის, თითოეული უბნის ეფექტიანი და თანაბარი განვითარება, თბილისელებისთვის აქტუალური პრობლემების გადაჭრა ქალაქის განვითარების კომპლექსურ ხედვას საჭიროებს. ამისათვის, შემუშავდა თბილისის განვითარების გეგმა, რომლის ძირითადი მიზანია თითოეული მოქალაქისათვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს და გრძელვადიან პერიოდში თბილისის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლების შექმნა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კი თბილისის მთავრობა გააგრძელებს თანმიმდევრულ მუშაობას, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას და მის გამართულ ფუნქციონირებას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესაბამისად, 2026 – 2029 წლებში თბილისის მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება შემდეგ საკვანძო მიმართულებებზე:

ურბანული პოლიტიკა - მიღებულ იქნა თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმა, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მომდევნო წლებში მოხდეს ქალაქის სწორი განვითარება, თბილისის ყველა უბნის თანაბარი განვითარება. მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა თბილისის ისტორიულ ნაწილში, რისი მიზანიც, ერთი მხრივ, ქალაქის ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკურად და ტურისტულად მიმზიდველი მსხვილი არეალების აღდგენა და დიდი ტურისტული მარშრუტის სახით ერთმანეთთან დაკავშირებაა. ბოლო წლების განმავლობაში, მუნიციპალიტეტმა რთული ნაბიჯები გადადგა და კერძო მესაკუთრეებისგან, ადგილმონაცვლეობის გზით, არაერთი მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიბრუნა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ის, რომ კანონით აიკრძალა სამშენებლო კოეფიციენტების გადამეტება და არცერთი ნებართვა არ გაიცემა სკვერის თუ სპორტული მოედნის ხარჯზე, ხოლო დამტკიცებულ ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში მკაფიოდ არის გაწერილი ის არეალები, რომელთა გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ რეკრეაციული მიმართულებით არის შესაძლებელი. აღნიშნული გაგრძელდება შემდეგ წლებშიც.

გარემოს დაცვის პოლიტიკა - მომდევნო 4 წლის განმავლობაში აშენდება და განახლდება 15 პარკი, 100 ჰექტარ ფართობზე აღდგება დეგრადირებული ტყე, იგეგმება 200 ჰა-მდე რეკრეაციული სივრცის რეაბილიტაცია-მოწყობა, განხორციელდება ბევრი საგზაო სამუშაო, კუნძულები, თარგები, რომლის ფარგლებშიც, 350 000-მდე სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი დაირგვება, დაწყებულია ზოოპარკის თბილისის ზღვის ტერიტორიაზე გადატანა, ხოლო არსებული ზოოპარკის ტერიტორიაზე კი რეკრეაციული სივრცე მოეწყობა, რომელიც დაუკავშირდება მზიურის პარკს. შედეგად, მივიღებთ ერთიან პარკს, რომელიც ვაკეს და საბურთალოს რაიონებს ერთმანეთთან დააკავშირებს. დადგინდება თბილისში მდებარე 1400-მდე სკვერისთვის გამწვანებისა და კეთილმოწყობის მინიმალური სტანდარტი, მინიმუმამდე შემცირდება ჰაერის მტვრით დაბინძურება და დაინერგება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მოდელი. განხორციელდება თბილისის ნარჩენების

გადამუშავების პროექტი (ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა) და თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაწმენკრები სისტემის პროექტი (დიდი ლილოს ნარჩენების პოლიგონის უჯრედების რეაბილიტაციის პროექტი და მშენებლობა, ნარჩენების პოლიგონზე გაზის შეგროვება-უტილიზაციის სამუშაოები და აღჭურვილობა). მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, შესაძლებელი გახდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ საკუთარი ეზოს გამწვანება და ასევე, ქალაქში გაჩნდება ახალი მწვანე კუნძულები.

სატრანსპორტო პოლიტიკა - მომდევნო 4 წლის განმავლობაში თბილისის სატრანსპორტო ეკოსისტემის სრულყოფისთვის დაინერგება ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემა (ITS), დედაქალაქის ავტოპარკს არსებულ და ახალ მარშრუტებზე დაემატება 200 ერთეული ახალი ავტობუსი, განხორციელდება მეტროს ვაგონების შექმნა/მოდერნიზაცია, არსებული მეტროს სადგურების მოდერნიზაცია (ერთიანი კონცეფციითა და ბრენდინგით) და მეტროს პირველ ხაზზე ორი ახალი სადგური აშენდება (ვარკეთილის (1,2 კმ) და გლდანის (1,1 კმ) მიმართულებით მეტროს ხაზი თითო სადგურით დაგრძელდება), უზრუნველყოფილი იქნება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა, სრულად განახლდება ავტობუსის გაჩერებები და მოხდება მათი ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპერირებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მოეწყობა 10 სატრანზიტო დერეფანი და ქალაქს დაემატება 315 კილომეტრამდე ველობილიკი, განვითარდება საბაგრო ტრანსპორტი და უზრუნველყოფილი იქნება მისი ინტეგრირება სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტთან (მათ შორის მეტროსთან), მოეწყობა მეტროსადგურ „სარაჯიშვილისა“ და ზღვის უბნის, ასევე, მეტროსადგურ „ისნისა“ და ვაზისუბნის დამაკავშირებელი საბაგრო გზა, დაგეგმილია დიდი დიდიდან მეტრო/სადგურ „დიდუბის“ მიმართულებით 7,5 კილომეტრიანი ტრამვაის ხაზის (ახალ მარშრუტს 11 გაჩერება ექნება და მას ტრამვაის 10 შემადგენლობა უნდა მოემსახუროს) და დეპოს ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტირება/მშენებლობა, ახალი საავტობუსო ხიდის მშენებლობა, რომელიც ნაძალადევისა და ჩულურეთის რაიონებს ერთმანეთთან უმოკლესი გზით დააკავშირებს. ასევე, ზონალურ-საათობრივი პარკირება ნელ-ნელა მოიცავს ყველა რაიონსა და ქუჩას.

ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა - მომდევნო წლების განმავლობაში გაგრძელდება უსახლკარო ოჯახებისთვის საჭირო საცხოვრებელი ფართობების შექმნა და სარგებლობის უფლებით გადაცემა, შედეგად, თბილისის მუნიციპალიტეტში აღარ დარჩება არც ერთი უსახლკარო ოჯახი. მოსახლეობის სოციალური პრობლემების გასაუმჯობესებლად, გაგრძელდება და გაფართოვდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მრავალრიცხოვანი მუნიციპალური პროგრამები (მათ შორის დაავადებათა სკრინინგის, აუტიზმის, გაფანტული სკლეროზის გამოკვლევების, ტრანსპლანტაციის და ონკომედიკამენტების პროგრამა, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ, უსახლკარო და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების დახმარების, კომუნალური სუბსიდიების და სხვა პროგრამები). 2025 წლიდან დაიწყო და გაგრძელდება რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება, ხოლო 2026-2029 წლებში, ამოქმედდება ორი ახალი პროგრამა: „ადრეულ ეტაპზე კიბოს სადიაგნოსტიკო კვლევების დაფინანსება“ და „ფილტვის კიბოს სკრინინგის დაფინანსება“, რომლის საშუალებითაც, კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოსავლენად, კვლევები 100%-ით დაფინანსდება. გაგრძელდება თბილისის რაიონის გამგეობების მხარდაჭერა მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად, მათ შორის უფასო სასადილოების ფუნქციონირება და გაუმჯობესებული კვების რაციონი, დანგრეული სახლების საკომპენსაციო თანხებით და ბინის ქირით უზრუნველყოფის

პროგრამების დაფინანსება, ჯანდაცვის მიმართულებით დახმარების გაწევა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსებისათვის, რითაც ყოველწლიურად ათასობით ადამიანი სარგებლობს. უზრუნველყოფილი იქნება სოციალურად დაუცველი ჯგუფების ღირსეულ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა, შშმ პირთათვის საზოგადოებრივი დანიშნულებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების, საცხოვრებელი სახლების, კულტურული დაწესებულებების, პარკებისა და რეკრეაციული ობიექტების ადაპტირება, რათა თბილისი გახდეს „ინკლუზიური ქალაქი“ ყველა თაობის შშმ პირისათვის.

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკა - მომდევნო წლებში თბილისში კიდევ უფრო მეტი მუზეუმი, თეატრი, ბიბლიოთეკა, სპორტული თუ შემეცნებით-საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრი გაჩნდება, რაც მეტი ფესტივალის, წარმოდგენის თუ სპორტული აქტივობას უზრუნველყოფს. თბილისის ათივე რაიონში განხორციელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების მოდერნიზების პროექტი. ახალგაზრდული ცენტრების ბაზაზე მოეწყობა ციფრული ჰაბები და აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკით. სპორტული რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, შემუშავდება სპეციალური სამელავათო პაკეტი როგორც პროფილაქტიკური და სამედიცინო გამოკვლევების, ისე სარეაბილიტაციო სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით. უფროსი თაობის მოქალაქეების ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ და კერძო სპორტულ ცენტრებში, დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, ნებისმიერი სერვისით უფასოდ სარგებლობა. დაგეგმილია 3800-მდე აღსაზრდელზე გათვლილი 10 საბავშვო ბაგა-ბაღის ავარიული შენობის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა, საბავშვო ბაღის ათ შენობას კი ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია. აუცილებლად გაგრძელდება საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა.

ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის და მართვის პოლიტიკა - მომდევნო 4 წლის განმავლობაში გაგრძელდება მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც არსებული ხიდების, ქუჩებისა და გამზირების რეაბილიტაცია, ისე ახალი ინფრასტრუქტურის განვითარება თბილისისთვის. თბილისის მოსახლეობისთვის თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს შექმნის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, 2022 წლიდან დაიწყო ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, რაც გულისხმობს ქალაქის მასშტაბით არსებული საბჭოთადროინდელი ავარიული შენობების სრულად ჩანაცვლებასა და განახლებას, ხოლო 2026 წლიდან დაიწყება ავარიული შენობების ჩანაცვლება თბილისის ისტორიულ ნაწილში, კერძოდ, მუნიციპალიტეტი მოსახლეობის სრული, 100%-იანი თანხმობის შემთხვევაში, სრულად გამოისყიდის კერძო მესაკუთრეებისგან ისტორიულ არეალში მდებარე უძრავ ქონებას, გათავისუფლებული არეალები მომზადდება საინვესტიციო მიზნებისთვის ისე, რომ ქალაქის ისტორიული იდენტობა შენარჩუნდეს, მაგრამ პარალელურად გაჩნდეს განვითარების ახალი შესაძლებლობები. გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა ლიფტების ჩანაცვლების პროექტზე და ოთხ წელიწადში ქალაქში არცერთი ავარიული ლიფტი აღარ იქნება. ასევე, აქტიურად გაგრძელდება ქალაქის (უბნების, ქუჩებისა და ეზოების) კეთილმოწყობის სამუშაოები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალაქის ქუჩების დაფარვა ხარისხიანი ასფალტის ან ბეტონის საფარით. ყველა უბნის ყველა ქუჩა და სარეკრეაციო ზონა იქნება განათებული თანამედროვე, ეკონომიური განათების სისტემებით. შემუშავდება მუნიციპალური განვითარების გეგმა, რომელსაც დაეფუძნება ქალაქის ეკონომიკური პოლიტიკა. განხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის

ქონების ეკონომიკური მიზნებისთვის ეფექტიანად გამოყენების დეტალური გეგმა. ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად, უზრუნველყოფილი იქნება საჯარო და კერძო პარტნიორობის პროექტების დაგეგმვა და რეალიზება. 2025 წლიდან დაიწყო და გაგრძელდება მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა. შემუშავდება და განხორციელდება თბილისის ტურისტული პოტენციალის უკეთ ათვისების სტრატეგია. რაც შეეხება **მართვის პოლიტიკას** - ძლიერი მუნიციპალური ინსტიტუტები, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოხელეები ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი რესურსია. პროექტების განხორციელებისას და კრიზისთან ბრძოლის ფარგლებში გადაწყვეტი მნიშვნელოვან ენიჭება მუნიციპალური მმართველობის ეფექტიანობასა და შედეგზე ორიენტირებულ მუშაობას, რამდენადაც თუ არ არსებობს სწორი მართვა და მენეჯმენტი შეუძლებელია წარმატებაზე იფიქრო და მიიღოს ის შედეგი, რომელიც ხილული და ხელშესახები უნდა იყოს თითოეული მოქალაქისთვის.

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, 2026 წლისთვის ძირითად პრიორიტეტებად კვლავაც რჩება 10 მიმართულება, რომელთა განხორციელებით მივიღებთ თანამედროვე, განვითარებული და საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქს, უსაფრთხო და სტაბილური ბიზნესგარემოთი და ეფექტიანი მმართველობით.

თავის I. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არის საქართველოს დედაქალაქი, რომლის ფართობი 504,2 კვადრატული კილომეტრია. ქალაქის მთავარი წყლის არტერიაა მტკვარი, რომელიც თბილისს კვეთს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. მტკვრის შენაკადებია: მარჯვენა - დიღმისწყალი, ვერე და წავკისისწყალი; მარცხენა - გლდანისხევი და ლოჭინა. მდინარე მტკვრის ხეობის ფსკერი, ქალაქის ფარგლებში, მერყეობს ზღვის დონიდან 425 მ (დიღომი) - 370 მ-მდე (ორთაჭალა). მთაწმინდის სიმაღლე ზღვის დონიდან 719 მეტრზეა. საცხოვრებელი უბნების მიხედვით ყველაზე მაღლაა „ნუცუბიძის პლატო“, რომელიც ზღვის დონიდან 700 მ-ზე მდებარეობს.

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მდინარე მტკვარი თბილისს ორ მკაფიოდ გამოხატულ ერთეულად - მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად ყოფს. მარჯვენა სანაპირო რელიეფურად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის განშტოებებით, რომლებიც ციცაბოდ ეშვება მტკვრის ხეობისკენ. მათ შორის მოქცეულია მტკვრის შენაკადთა ხეობები. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს მახათას მთა, რომლის სიმაღლე 630 მ-ს აღწევს. თბილისის რელიეფი კარგად გამოხატული ტერასებით ხასიათდება.

თბილისში ზომიერად თბილი, სტეპურიდან - ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, საშუალო წლიური ტემპერატურა 12,7 °C, იანვარი 0,9 °C, ივლისი 24,4 °C;

აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა - 23 °C, აბსოლუტური მაქსიმალური 40 °C. ნალექები 560 მმ წელიწადში. უხვნალექიანია მაისი (90 მმ), მცირენალექიანი - იანვარი (20 მმ). თოვლის სახით ნალექი შეიძლება მოვიდეს საშუალოდ 15-25 დღე წელიწადში. გაბატონებულია ჩრდილოეთი და ჩრდილო - დასავლეთის ქარი, ხშირია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 1 282,6 ათას კაცს (მათ შორის ქალი - 666,1 ათასი, მამაკაცი - 616,5 ათასი), რაც ქვეყნის მოსახლეობის 35%-ია. ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 1 251,7 ათას კაცს (თბილისის

მოსახლეობის 98%), ხოლო სოფლად მცხოვრები - 30,9 ათას კაცს (თბილისის მოსახლეობის 2%).

საპენსიო ასაკის პირების (პენსიის მიმღები პირები) რაოდენობაა 267 685 (მათ შორის ქალი - 198 197, მამაკაცი - 69 488), რაც თბილისის მოსახლეობის 21% და საპენსიო ასაკის საერთო რაოდენობის 31%-ია, ხოლო 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით 0-6 წლამდე ბავშვების რაოდენობა - 96,3 ათასი და 6-18 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა - 153,1 ათასია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სულ 247 935 ათასი პირია (მათ შორის ქალი - 142 474, მამაკაცი - 105 461) რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რაც ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის -19%-ია. სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენობა შეადგენს 51 334 (მათ შორის ქალი - 16 090, მამაკაცი - 35 244), რაც სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა მთლიანი რაოდენობის - 27%-ია.

მოსახლეობის სიმჭიდროვე თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეადგენს 2543.6 კაცი/კვ.კმ.

თავი II. ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2024-2029 წლებში

(ათასი ლარი)

N	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
I	შემოსავლები	1,880,549.8	2,000,967.8	2,123,388.7	1,453,898.9	1,474,065.9	1,473,901.3
1.1	გადასახადები	981,760.3	987,349.2	1,022,413.6	1,049,991.4	1,085,119.7	1,118,950.8
1.3	გრანტები	518,493.4	649,224.6	660,436.1	4,551.1	4,551.1	4,551.1
1.4	სხვა შემოსავლები	380,296.0	364,394.0	440,539.0	399,356.4	384,395.1	350,399.4
II	ხარჯები	1,505,906.0	1,819,120.6	1,794,337.1	1,241,200.9	1,253,316.8	1,255,321.8
2.1	შრომის ანაზღაურება	103,758.3	150,579.5	169,784.1	169,936.3	169,936.3	169,936.3
2.2	საქონელი და მომსახურება	232,123.4	272,324.1	222,004.7	203,734.5	206,739.5	206,744.6
2.4	პროცენტი	12,061.7	24,283.9	43,875.3	52,261.5	52,261.5	52,261.5
2.5	სუბსიდიები	671,218.6	829,212.7	924,112.0	502,649.5	525,159.8	527,154.8
2.6	გრანტები	1,128.0	1,634.3	1,492.9	1,547.9	1,547.9	1,547.9
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	160,356.1	175,623.1	172,970.4	172,106.4	166,254.9	166,254.9
2.8	სხვა ხარჯები	325,259.9	365,463.1	260,097.7	138,965.0	131,417.1	131,422.0
III	საოპერაციო საღებავი	374,643.8	181,847.2	329,051.6	212,697.9	220,749.0	218,579.4
IV	არაფინანსური აქტივების ცვლილება	280,902.3	416,036.8	291,480.7	148,917.0	148,081.1	145,911.5
	ზრდა	389,676.5	501,036.8	361,480.7	218,917.0	218,081.1	215,911.5
	კლება	108,774.2	85,000.0	70,000.0	70,000.0	70,000.0	70,000.0
V	მთლიანი საღებავი	93,741.5	- 234,189.6	37,570.9	63,781.0	72,668.0	72,668.0
VI	ფინანსური აქტივების ცვლილება	65,618.2	- 267,820.6	-	-	-	-
	ზრდა	65,618.2	-	-	-	-	-
VII	ვალდებულებების ცვლილება	- 28,123.3	- 33,631.0	- 37,570.9	- 63,781.0	- 72,668.0	- 72,668.0
	ზრდა	6.5	-	-	-	-	-

33.1	საშინაო	6.3	-	-	-	-	-
33.2	საგარეო	0.2	-				
	კლება	28,129.8	33,631.0	37,570.9	63,781.0	72,668.0	72,668.0
33.1	საშინაო	28,129.8	33,631.0	37,570.9	63,781.0	72,668.0	72,668.0
VIII	ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2024 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილება განისაზღვრა 2 077,927.2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 189,365.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.4%-ი.

ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 877,892.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 989,330.5 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში 111,438.2 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, რამაც გეგმის 105.9% შეადგინა. მათ შორის:

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 1 787,117.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 880,549.8 ათასი ლარი) 105.2% და მთლიანი შემოსულობების 94.5% შეადგინა. მათ შორის:

დასახელება	ათასი ლარი			
	2024 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	1,787,117.7	1,880,549.8	93,432.1	105.2%
გადასახადები	948,661.8	981,760.3	33,098.5	103.5%
გრანტები	520,982.9	518,493.4	- 2,489.5	99.5%
სხვა შემოსავლები	317,473.0	380,296.0	62,823.0	119.8%

გადასახადების სახით მობილიზებულია 981,760.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 948,661.8 ათასი ლარის 103.5%-ია. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 920,297.6 ათასი ლარი) 2024 წელს 61,462.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, რაც თითქმის თანაბრად ქონების და დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის¹. მათ შორის:

ქონების გადასახადიდან - მიღებულია 323,249.3 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 255,411.6 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია – 48,478.4 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 19,359.2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 286,691.8 ათასი ლარი) შედარებით 36,557.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალი მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2023 წლის ფაქტი - 227,355.2 ათასი ლარი)².

დამატებული ღირებულების გადასახადიდან - მიღებულია 658,511.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (653,661.8 ათასი ლარი) 100.7%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 633,605.8 ათასი ლარი) შედარებით 24,905.3 ათასი ლარით მეტია³.

¹ 1. ქონების გადასახადის ნაწილში გაიზარდა საწარმოთა ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზა;

² დღგ-ს ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის შედეგად.

³ იხილეთ შენიშვნა 1¹

³ იხილეთ შენიშვნა 1²

გრანტების სახით მიღებულია 518,493.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (520,982.9 ათასი ლარი) 99.5%-ია, კერძოდ: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 437.2 ათასი ლარი (მათ შორის საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 0.2 ათასი ლარი, ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 518,056.0 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 444.5 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 500,000.0 ათასი ლარი (თბილისის მასშტაბით არსებული ქუჩების/გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები, საქალაქო და რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებების სამუშაოები, რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, ხიდების და გვირაბების, წყალსადენის, სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; M3 კატეგორიის ავტობუსების (160 ერთეული 18 მეტრიანი) შესაძენად ვალდებულების ნაწილის და დამატებით 40 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად ავანსის დაფარვა; მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაციის მიზნით ესკალატორის ნაწილების შეძენა; 18 მეტრიანი N3 კატეგორიის ავტობუსებისათვის რიგით მეოთხე ახალი ავტობაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად; სხვადასხვა ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის და სარწყავი სისტემების მოწყობის სამუშაოები; სათამაშო ატრაქციონების და სპორტული ტრენაჟორების შეძენა; დასუფთავების ღონისძიებების ფარგლებში ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობის სამუშაოები; საბავშვო ბაგა-ბაღების, სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრძელდება ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (2024 წლის 10 ივლისის N980 განკარგულება) გამოყოფილი სახსრები - 12,000.0 ათასი ლარი (მათ შორის ქალაქ თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N4-ში არსებული 857 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების გამოსყიდვა, ლაგუნა ვერეს მიმდებარე (გმირთა მოედნიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე) მონაკვეთის რეკონსტრუქცია - გაფართოების სამუშაოების პროექტირება - მშენებლობის სამუშაოების და ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში დაგეგმილი ახალი სახლების მშენებლობა), ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 5,611.5 ათასი ლარი (მათ შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელების პროცესში, პროექტების (N6024-GEO, N4134-GEO) ფარგლებში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების შესაბამისი ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად (მათ შორის საპენსიო შენატანი), სასესხო პროექტის N6024-GEO ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მიმწოდებლებზე დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად, პროექტის - „მდგრადი ურბანული მობილობა (KfW)“ განხორციელების პროცესში გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, უცხოური საწარმოს ფილიალის „გოპა ინფრას ფილიალი საქართველოში“ მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ასანაზღაურებლად, "თბილისის მყარი ნარჩენების" პროექტთან დაკავშირებით, გადამტვირთავი სადგურის

რეაბილიტაციის მიზნით, შპს "გუმბათი ჰოლდინგთან" გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსის ფარგლებში და „თბილისის მუნიციპალური სერვისების“ პროექტთან დაკავშირებით, სპეცტექნიკის შექმნის მიზნით, კომპანია „ჯი-თი ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების (52577/G-01 LOT 1, 52577/G-01 LOT 2) ფარგლებში გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად).

სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 380,296.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (317,473.0 ათასი ლარის) 119.8%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (327,909.1 ათასი ლარი) გაზრდილია 52,386.9 ათასი ლარით⁴, რაც ძირითადად სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებზე მოდის. მათ შორის:

პროცენტების სახით მიღებულია 25,040.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (8,840.0 ათასი ლარი) 283.3%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 21,258.3 ათასი ლარი) შედარებით 3,782.0 ათასი ლარით მეტია⁵, სანებართვო მოსაკრებელიდან მთლიანობაში მიღებულია 30,194.7 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წელს - 23,059.7 ათასი ლარი) შედარებით 7,135.0 ათასი ლარით მეტია⁶ (მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 24,570.0 ათასი ლარი (2023 წლის ფაქტი - 20,659.5 ათასი ლარი), მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 5,624.7 ათასი ლარი (2023 წლის ფაქტი - 2,400.2 ათასი ლარი)), დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან მიღებულია 99,200.7 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი - 80,460.4 ათასი ლარი) შედარებით 18,740.3 ათასი ლარით მეტია⁷, ხოლო სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 125,556.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი - 123,490.3 ათასი ლარი) შედარებით 2,066.6 ათასი ლარით მეტია⁸.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული იქნა 108,774.2 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (90,774.6 ათასი ლარის) 119.8%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 54,560.8 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 49,186.6 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 5,218.6 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები, ინვენტარი და სხვა ძირითადი აქტივებიდან - 155.6 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 138.8 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 54,074.6 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 5.5% შეადგენს.

ვალდებულებების ზრდის სახით მიღებულია 6.5 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და შემოსულობა საგარეო - აქციები და სხვა

⁴ 1. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის ზრდა გამოწვეულია საკანონმდებლო ცვლილებით, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.11.2022წ. N17-108 დადგენილების საფუძველზე ძალაში შევიდა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ახალი განაკვეთები, კერძოდ მოსაკრებლის ოდენობა 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე ნაცვლად 6 ლარისა გახდა 8 ლარი. გარდა ამისა, მიმდინარეობს B კატეგორიის ტაქსების მონიტორინგი, რის შედეგად მოხდა აღებული ნებართვების ზრდა. ასევე, არააქტიური (მოლოდინის რეჟიმში მყოფი) „A“ კატეგორიის ნებართვებზე (ნებართვაზე არ არის მიბმული სატრანსპორტო საშუალება ან/და მძღოლი) ნებართვის გაცემის ფასის დარიცხვა დღეში 3 ლარის ოდენობით;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014წ. N17-46 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების და შპს თბილსერვის-ჯგუფის მიერ დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ნაწილში ადმინისტრირების წესების გაუმჯობესება;

3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით მკომპენსირებელი ღონისძიების სახით თანხის გადახდისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 აგვისტოს N308 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი 3-ში დაემატა სახაზინო კოდი - შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის (3297).

⁵ 2024 წელს ნაშთის სახით ბიუჯეტის ანგარიშებზე საშუალოდ თვეში იყო 280,746.6 ათასი ლარი, ხოლო 2023 წელს - 202,910.9 ათასი ლარი. იხილეთ შენიშვნა 4¹.

⁶ იხილეთ შენიშვნა 4².

⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები და ადმინისტრირების წესების გაუმჯობესება.

კაპიტალის სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

2024 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 203,124.3 ათასი ლარი. 2024 წელს **ნაშთის ცვლილების** (ნაშთის გამოყენება) სახით ასახული იქნა 200,034.9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 65,518.2 ათასი ლარი.

2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 268 742,5 ათასი ლარი.

2024 წელს **გადასახდელების** შესრულების 93%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში 2023 წელთან (1 722,247.9 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 201,464.4 ათასი ლარით მეტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები **ფუნქციონალური** კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ❖ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 135,445.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (153,029.7 ათასი ლარი) 89%;
- ❖ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფერო – 1,802.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2,274.3 ათასი ლარი) 79%;
- ❖ ეკონომიკური საქმიანობა – 638,549.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (675,756.0 ათასი ლარი) 94%;
- ❖ გარემოს დაცვა – 281,023.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (303,081.6 ათასი ლარი) 93%;
- ❖ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 320,495.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (354,673.1 ათასი ლარი) 90%;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა – 39,239.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (39,358.5 ათასი ლარი) 99.7%;
- ❖ დასვენება, კულტურა და რელიგია – 96,517.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (118,475.7 ათასი ლარი) 81%;
- ❖ განათლება – 253,551.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (273,020.7 ათასი ლარი) 93%;
- ❖ სოციალური დაცვა – 128,957.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (130,127.7 ათასი ლარი) 99%.

2024 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა მთლიანობაში შეადგინა 1 923,712.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 077,927.2 ათასი ლარი) 93%-ია. აქედან სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი) მიღებული და გადარიცხული გრანტების (მიზნობრივი და კაპიტალური სპეციალური ტრანსფერები, სხვა კაპიტალური გრანტები) მოცულობა შეადგენს - 520,847.0 ათას ლარს, რაც გეგმის (568,599.1 ათასი ლარი) 92%-ია⁹. მათ შორის:

⁹ აუთვისებლობის ნაწილი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის N980 განკარგულებით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში ლაგუნა ვერეს მიმდებარე (გმირთა მოედნიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე) მონაკვეთის რეკონსტრუქცია - გაფართოების სამუშაოების პროექტირება - მშენებლობის სამუშაოების და ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში დაგეგმილი ახალი სახლების მშენებლობის სამუშაოებზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების და ქალაქის განვითარების ხელშეწყობისათვის

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 547,439.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (565,829.4 ათასი ლარი) 96.7%-ია;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 268,704.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (286,929.1 ათასი ლარი) 93.6%-ია;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 250,039.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (264,620.8 ათასი ლარი) 94.5%-ია;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2,408.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,456.6 ათასი ლარი) 98.1%-ია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 47,863.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (48,308.7 ათასი ლარი) 99.1%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 150,820.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (155,594.5 ათასი ლარი) 96.9%-ია;
- განათლება - 241,457.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (259,495.3 ათასი ლარი) 93.1%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 59,437.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (74,581.2 ათასი ლარი) 79.7%-ია;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7,678.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (7,885.8 ათასი ლარი) 97.4%-ია;
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 146,397.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (160,627.3 ათასი ლარი) 91.1%-ია.

✚ 2024 წელს პირველად ამოქმედდა შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამები, მათ შორის:

- ✓ თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსებაზე გაწეულია - 118,119.9 ათასი ლარი, M3 კატეგორიის ავტობუსების (160 ერთეული 18 მეტრიანი) შესაძენად ვალდებულების ნაწილის და დამატებით 40 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად ხელშეკრულების პირობებით ავანსის დასაფარად. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში ფაქტიურად შეძენილია 160 ერთეული 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსი (ხაზზე გასულია 75 ერთეული, საქალაქო მარშრუტების 5 არსებულ ხაზზე);
- ✓ საბაგირო ტრანსპორტის განვითარებაზე მიმართულია 1,232.2 ათასი ლარი (დასრულდა „მთაწმინდის საბაგირო გზის“ მშენებლობა, მიმდინარეობდა საბაგირო გზების - „რიყე ნარიყალას“, "ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბის" და „უნივერსიტეტი-ბაგები“ გეგმიური შემოწმება);
- ✓ რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაციისათვის გაწეულია - 5,433.1 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს შემდეგ ქვეპროგრამებს:
 - ✓ სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობის მიზნით მიმართულია - 3,008.1 ათასი ლარი (დაიწყო პარკის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი, მათ შორის ტერიტორიაზე არსებული სკვერის სადემონტაჟო სამუშაოები; სანიაღვრე, საკანალიზაციო და სარწყავი ქსელის მოწყობა; საჭადრაკე სივრცის, ამფითეატრის და სკეიტპარკის ფუნდამენტის მოწყობა; განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები; 5 ერთეული ფანჩატურის მოწყობა; ველოტრეკის და ფამფორეკის მოწყობის სამუშაოები; ადმინისტრაციული შენობის საძირკვლის მომზადება და სხვა);

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით მისაღებ სახსრებზე (სესხის კომპონენტის ფარგლებში გადასახდელი დღგ), საბაგეზო ბაგა-ბადების და სპორტული ობიექტების მშენებლობის, პარკების და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოებზე მოდის.

- ✓ ვერის ბაღის რეაბილიტაციის მიზნით მიიმართა - 2,425.0 ათასი ლარი (განხორციელდა ამორტიზირებული არსებული ბილიკების, ტერიტორიაზე განთავსებული ფურნიტურის, შადრევნის, საბავშვო და სპორტული მოედნების, კიბეების და განათების ბოძების დემონტაჟი; დაინგრა პარკის ქვედა ნაწილში არსებული უფუნქციო ბელვედერი; დაიწყო სადრენაჟე, ელექტრომომარაგების და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; მომზადდა საძირკველი ფანჩატურებისთვის, სპორტული და საბავშვო მოედნებისთვის; გრძელდება სამუშაოები ადმინისტრაციული შენობის და შადრევნის მოწყობაზე და სხვა);
- ✓ ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაციის მიზნით გათვალისწინებული 10,000.0 ათასი ლარიდან ხარჯები არ გაწეულა, რაც გამოწვეული იყო სატენდერო პროცედურების, ვაკის პარკის შადრევნების კასკადის დამატებით კვლევით სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნებისა და შესაბამისად, პროექტის მომზადების პროცედურების გაჭიანურებით;
- ✓ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელშეწყობაზე მიიმართა - 80.9 ათასი ლარი (ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის შენობის იჯარის ხარჯების დასაფარად; აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 1 აგვისტოდან ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური გადავიდა სახაზინო მომსახურების სისტემაზე);
- ✓ ფიზიკური დატვირთვების სკრინინგზე გაწეულია - 96.0 ათასი ლარი (ა(ა)იპ მრავალფუნქციურ საზოგადოებრივ ცენტრში განხორციელდა სამსახურს დაქვემდებარებულ სპორტულ ცენტრებში მოვარჯიშე ბენეფიციართა ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი, რომლის ფარგლებშიც მომსახურება გაეწია 800 ბენეფიციარს);
- ✓ თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურებაზე მიიმართა - 150.0 ათასი ლარი (თბილისში ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის მომსახურების (მათ შორის აუთვისებლობის პროცენტი) დაფარვა).

▪ 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა თბილისის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები, კერძოდ:

- ✓ ტრანსპლანტაციის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების მიზნით მიიმართა 16,407.7 ათასი ლარი (ტრანსპლანტაციის ფარგლებში დაფინანსდა 241 ბენეფიციარი (მათ შორის: ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში - 101 შემთხვევა, ძვლის ტვინის (დეროვანი უჯრედების) HLA ტიპირების კომპონენტის ფარგლებში მოსამზადებელი კვლევები - 133 შემთხვევა, ხოლო ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტები - 355 ბენეფიციარი);
- ✓ სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსებაზე გაწეულია - 2,769.5 ათასი ლარი (დაფინანსდა ოპერაციები (477 ბენეფიციარი) მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის);
- ✓ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციისათვის მიმართულია 10,862.3 ათასი ლარი (მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 2100 ბავშვს);
- ✓ გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 4,216.0 ათასი ლარი (დაფინანსდა 232 ბენეფიციარის სამკურნალო მედიკამენტები);

- ✓ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების მიზნით მიიმართა 12,172.3 ათასი ლარი (დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 5836 ოჯახს - 20287 ბავშვზე);
- ✓ სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დასაფინანსებლად მიმართულია - 8,548.4 ათასი ლარი (დაფინანსდა 55402 შემთხვევის ასანაზღაურებლად 18478 ბენეფიციარის მედიკამენტების ღირებულება);
- ✓ მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა დაფინანსდა 22.5 ათასი ლარით (მომსახურება გაეწია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ 4 ბენეფიციარს თვეში საშუალოდ, რომელთა მომსახურების გაწევისთვის დაფინანსდა ა(ა)იპ ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი);
- ✓ სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების მიზნით მიმართულია 588.2 ათასი ლარი (დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 770 ოჯახს (799 ბავშვზე), რომელთაც შეეძინათ ახალშობილი 2024 წელს (მათ შორის: 399 ბავშვზე (500 ლარი) - პირველი ან მეორე შვილის შეძენისთვის, 205 ბავშვზე (800 ლარი) - მე-3 შვილის შეძენისთვის, 111 ბავშვზე (1000 ლარი) - მე-4 შვილის, ხოლო 75 ბავშვზე (1500 ლარი) მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის);
- ✓ კომუნალური სუბსიდირების დაფინანსების მიზნით მიიმართა 9,871.5 ათასი ლარი (კომუნალურ სუბსიდიას იღებენ 200 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები, განხორციელდა 60201 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში));
- ✓ მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურების მიზნით მიმართულია 26,151.9 ათასი ლარი. (2024 წელს თბილისში ფუნქციონირებდა 64 უფასო სასადილო (2024 წლის 1 იანვრიდან კრწანისის რაიონში გაიხსნა დამატებით ერთი უფასო სასადილო სოფელ ფონიჭალაში იეთიმ გურჯის N23-ში), რომელიც ემსახურებოდა ყოველთვიურად საშუალოდ 42145 ბენეფიციარს, 2023 წელთან (საშუალოდ 41932 ბენეფიციარი) შედარებით ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია 213 ერთეულით);
- ✓ თბილისის მუნიციპალური თავმჯდომარის მოვლა-პატრონობის მიზნით მიმართულია - 2,742.9 ათასი ლარი (მათ შორის ლილოს თავმჯდომარეში და პალიატიურ ჰოსპისში მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 142 ბენეფიციარმა (თავმჯდომარე, პალიატიური ზრუნვის და ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირები), ხოლო ორხევის საცხოვრისიდან გამოყვანილი და ბინის ქირით უზრუნველყოფილია 51 ოჯახი);
- ✓ სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 2,994.9 ათასი ლარი;
- ✓ ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სპორტულ ცენტრებში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების ბავშვთა სწავლების

ღირებულების ასანაზღაურებლად მიიმართა - 2,337.7 ათასი ლარი (თვეში საშუალოდ 5 809 ბენეფიციარი);

- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურების მიზნით მიმართულია 2,199.4 ათასი ლარი (ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 2716 მათ შორის 35.6% გოგონა);
- ✓ ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია თბილისის 10 რაიონში მცხოვრებ სიით 2154 ოჯახს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 54 ოჯახი) და ამ მიზნით მიიმართა 9,974.2 ათასი ლარი (2023 წელთან (2075 ოჯახი (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 14 ოჯახი) შედარებით ოჯახების რაოდენობა გაზრდილია 79 ერთეულით);
- ✓ თბილისში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის, იძულებით გადაადგილებული პირებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იმ პირებისათვის, რომლებსაც ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი აქვთ თბილისში სოციალური დახმარებისა და სხვა სოციალური სერვისების დაფინანსების უზრუნველყოფისათვის მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 43,330.7 ათასი ლარი.

▪ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი გზების მშენებლობაზე, შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, ბორდიურის და ქვაფენილით მოწყობის სამუშაოებზე დახარჯული იქნა 153,718.3 ათასი ლარი. რეაბილიტაცია (მიმდინარე (ორმოული/მოხრეშვა/მოსწორება) და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები) ჩაუტარდა და მოეწყო 1 304,0 ათასი კვ.მ გზის საფარი (ასფალტის/ბეტონის/ქვაფენილის), მოეწყო 4097,4 კვ.მ ტროტუარი და 7924 გრძ.მ ბორდიური, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებულია ისნის რაიონში - 8 ობიექტი, ხოლო საბურთალოს რაიონში პლატონ იოსელიანის ქუჩა;

▪ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობისათვის მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 72,779.1 ათასი ლარი (მათ შორის დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 4599 საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 3533 ცალი ბოჭკინტი, 5676.75 გრძ.მ სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები და 1006 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი, 106 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 172 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 81 ობიექტზე, განხორციელდა 52 ცალი შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლება და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების უსაფრთხოების კუნძულების, ქვეითთა ამდლებული გადასასვლელების და ტროტუარების მოწყობა; მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის ფარგლებში, შემუშავდა ტოპოგრაფიული ნახაზი 621707.61 კვ.მ არეალისთვის, ქუჩის დიზაინის საპროექტო და ტოპოგრაფიული გეგმა - 120024 კვ.მ და 20 გზაჯვარედინის (კვანძი) გზაგამტარის მოდელირება; ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 80472.6 კვ.მ ჰორიზონტალური/ვერტიკალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 22191.96 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 4749.25 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი, მოხდა 39757.33 კვ.მ გზის მოსანიშნი ზედაპირის გაშრობა; სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანილი იქნა 17843 ერთეული ავტომანქანა; დასრულდა მ/ს „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები, ხოლო გრძელდება მ/ს „ვარკეთილის“ რეაბილიტაციის სამუშაოები; საშუალო და კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით ჩაუტარდა 2 ერთეულ

81-717M სერიის მეტროს სათაო და 2 ერთეულ 81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს (ხელშეკრულებით განსაზღვრული დარჩენილი ვალდებულების დაფარვა);

- თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო (48 მოძრავი შემადგენლობა, საერთო გარბენმა შეადგინა 22 964 229.26 კმ (ანაზღაურებული)), M2 კატეგორიის ავტობუსები (1000 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 752 ერთეული), რეისები ხორციელდება 160 სამარშრუტო ხაზზე, ფაქტიური გარბენი - 51 039 502.89 კმ) და M3 კატეგორიის ავტობუსები (935 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 722 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 111 სამარშრუტო ხაზზე, დამატებით შესრულდა 880 არაკომერციული და 23 კომერციული დაკვეთა, საქალაქო მარშრუტებზე შესრულებულ იქნა 3 984 824 სამარშრუტო რეისი და ფაქტიურმა გარბენმა (ანაზღაურებული) შეადგინა 56 221 712.61 კმ)) და საბაგრო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა, ჯამურად 12915.5 სთ (ანაზღაურებული)) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით)) მგზავრთა გადამყვანი კომპანიები დაფინანსებულია 456,341.7 ათასი ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრებიდან - 290,889.5 ათასი ლარი, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახრებიდან 165,452.2 ათასი ლარი. მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 169 354 511 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია - 150 432 097 მგზავრი, საბაგრო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (139396 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა (221501 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1991727 მგზავრი) გადაყვანილია 2 352 624 მგზავრი, ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 77 465 840 მგზავრი;

- საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის მიმართულია 33,719.2 ათასი ლარი (განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები მათ შორის: დასრულდა ერთი ახალი ხიდის მშენებლობა, 13 ხიდის (მათ შორის ერთი კაპიტალურად შეკეთდა) რეაბილიტაცია, 9 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, მოეწყო და რეაბილიტაცია/ რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 27 სანიაღვრე/საკანალიზაციო ქსელს და სანიაღვრე კოლექტორს);

- ქალაქის მასშტაბით ხორციელდებოდა ავარიული შენობების გამაგრების და საპროექტო-სადიებო, კვლევითი და ექსპერტიზის სამუშაოები, რისთვისაც მიმართულ იქნა 8,066.1 ათასი ლარი (გამაგრება-გადლიერების სამუშაოები ჩატარდა 33 შენობა-ნაგებობაზე, ხოლო მომზადებული იქნა სამშენებლო სამუშაოების 16 საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაცია (მათ შორის: 7 საპროექტო და 9 საექსპერტო));

- ქალაქის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებზე მიიმართა 57,032.8 ათასი ლარი (რეაბილიტაცია ჩაუტარდა 23 საცხოვრებელ სახლს (მათ შორის 18 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, ერთ არასაცხოვრებელი ფართს), გრძელდება 52 საცხოვრებელი სახლის (მათ შორის 40 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) და არასაცხოვრებელი 2 ობიექტის პროექტირების სამუშაოები; მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა აბრეშუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა 3 მისამართზე სადარბაზოების მხატვრობის სამუშაოები);

- გამწვანების ღონისძიებებისათვის მიმართულია 94,674.0 ათასი ლარი (მათ შორის შეძენილი და დარგულია 59967 მცენარე (მათ შორის: ბუჩქოვანი მცენარე - 54026, მაღალტანოვანი და დაბალტანოვანი ხე - 5941); მწვანე სივრცეებში განთავსდა 726 ერთეული სკამი და 500 ერთეული ურნა, 127 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 105 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა; განახლდა (მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენება) 15 ჰა ფართობის ტერიტორია და დაირგო 14426 ნერგი; დასრულდა 9

პარკის, 2 შუა გამყოფი ზოლის და 21 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, ხოლო გრძელდება 3 პარკისა და 1 შუა გამყოფი ზოლის მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები; ეკოსერვის ჯგუფი მოვლა პატრონობას უწევს არსებულ გამწვანებულ ტერიტორიებს: საქალაქო პარკი - 43, სკვერი - 140, შადრევნები - 75, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 250, შუა გამყოფი ზოლი, ფერდობები, კუნძულები და თარგები - 170, ხელოვნური მდინარე და ტბა - 11, სანერგე - 2);

- დასუფთავების ღონისძიებებზე მიიმართა 176,842.2 ათასი ლარი (მათ შორის ყოველთვიურად ხორციელდებოდა 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობის დაგვა-დასუფთავება; ქალაქის ქუჩებზე დაიყარა 1700.95 ტონა ტექნიკური მარილი და 23.0 კუბ.მ ქვიშა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 491 953.93 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი; თბილისის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბებისა და გაუმჯობესების მიზნით, დასრულდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობა; არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით, შეძენილია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების 35 ერთეული სპეცტექნიკა; შეძენილია სხვადასხვა ტევადობისა და შემადგენლობის 11210 ნაგვის კონტეინერი, ხოლო დამონტაჟდა 270 მიწისქვეშა კონტეინერი აკ.წერეთლის გამზირზე, ბაგები-წყნეთის გზატკეცილზე და ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე);

- ავარიული სახლების ჩანაცვლებაზე გაწეულია 5,349.1 ათასი ლარი (მიმდინარეობს 4 ჩასანაცვლებელი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის სამუშაოები, პროექტირების სამუშაოები მიმდინარეობს - 9 ობიექტზე, ხოლო პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები გრძელდება 7 ობიექტზე; ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში სამგორის რაიონში - ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან, X კვარტალის IX კორპუსიდან, კალოუბნის 18 კორპუსიდან და III მასივი IV კვარტალი N6 კორპუსიდან გამოყვანილი სულ 131 ოჯახი, ხოლო საბურთალოს რაიონში - დავით გამრეკელის შესახვევი N6 კორპუსიდან და ვაშლიჯვარი, არზაყან ემხვარის ქ.N2, შესახვევი N9-ში მდებარე კორპუსიდან გამოყვანილი სულ 74 ოჯახი უზრუნველყოფილია ბინის ქირით/ფულადი კომპენსაციით, ხოლო გადაცემული უძრავი ქონების რემონტის (1 კვ.მ-ზე - 286 ლარი) ხარჯები (შესაბამისი გამგეობის წერილობითი მომართვისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე) აუნაზღაურდა 7 ოჯახს, (დაახლოებით 475 კვ.მ);

- უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენაზე მიმართულია - 4,028.2 ათასი ლარი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულების თანახმად, ფიზიკური პირებისაგან შეძენილ იქნა 33 ერთეული საცხოვრებელი სახლი და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი ბრძანების საფუძველზე გადაეცა თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს პირდაპირი განკარგვის წესით);

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 50,648.9 ათასი ლარი. განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის, სახურავების წყალსაწრეტი მილების, შენობების ან/და მსის შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრების, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები და სხვა;

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის მიზნით მიიმართა 218,975.7 ათასი ლარი (2024 წელს სულ ფუნქციონირებდა 190 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც

ირიცხებოდა საშუალოდ 60 000-მდე აღსაზრდელი; დასრულდა 4 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა და 3 საბავშვო ბაგა-ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია, გრძელდება 8 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები; ჩატარდა 120-მდე საბავშვო ბაგა-ბაღის მცირე და საშუალო სარემონტო სამუშაოები (რომლებიც მოიცავდა სააღმშრდელი ჯგუფების, ეზოს ატრაქციონების, სამზარეულოს და სასაწყობე სივრცეების კოსმეტიკურ განახლებას), განახლების პროგრამის ფარგლებში 6 საბავშვო ბაღის, ხოლო მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (მათ შორის წყალკანალიზაცია) ჩატარდა სამ საბავშვო ბაგა-ბაღში; 130 საბავშვო ბაგა-ბაღში გათბობა-ვენტილაციის შეკეთება; 190 საბავშვო ბაგა-ბაღში სამზარეულოს ინვენტარისა და ტექნიკის შეკეთება, სათამაშოების შექმნა და სხვა;

- სპორტული მოედნების, კულტურის, ახალგაზრდული, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების და მშენებლობის მიზნით მიიმართა 15,199.5 ათასი ლარი (გაიზარდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების, ახალგაზრდული და სპორტული ობიექტების (მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 12 სპორტულ კომპლექსში/ობიექტში (მათ შორის 5 სპორტული ობიექტის აღჭურვა) და 25 კულტურის ობიექტში (მათ შორის სარემონტო სამუშაოები), მოეწყო 2 სკეიტ-მოედანი, 3 პადელის მოედანი და 1 ფეხბურთის მოედანი, დასრულდა 4 სპორტული ობიექტის და ერთი კულტურის ობიექტის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაიწყო ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, გრძელდება 3 სპორტული კომპლექსის (მათ შორის 2 მულტიფუნქციური ცენტრი) მშენებლობის სამუშაოები, ხოლო დასრულდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები) და ამ ობიექტებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა);

- სესხების მომსახურებასა (მათ შორის აუთვისებლობის პროცენტი) და ვალების დაფარვაზე მიმართული იქნა 40,041.4 ათასი ლარი.

2025 წელი - ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 2 353,788.4 ათას ლარს (მათ შორის ნაშთის გამოყენება 267,820.6 ათასი ლარი). ბიუჯეტის შემოსულობების სახით 2025 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 1 675,408.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2 0805,967.8 ათასი ლარი) 80.3%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 768,956.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (987,349.2 ათასი ლარი) 77.9%-ია. 2024 წელთან შედარებით (9 თვის ფაქტი – 742,956.2) მიმდინარე პერიოდში 25,999.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული¹⁰. მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადი მიღებულია 485,721.2 ათასი ლარი (წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის 9 თვის ფაქტი - 486,697.1 ათასი ლარი) შედარებით 975.9 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული), ხოლო ქონების გადასახადიდან მიღებულია 283,234.8 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია - 281,287.1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია - 865.4 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,082.2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის 9 თვის ფაქტი – 256,259.2 ათასი ლარი) შედარებით 26,975.6 ათასი ლარით მეტი

¹⁰ გადასახადების ნაწილში დღგ-ს ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის შედეგად, ხოლო ქონების გადასახადის ნაწილში გაიზარდა საწარმოთა ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზა.

შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2024 წლის 9 თვის ფაქტი - 252,949.7 ათასი ლარი).

გრანტების სახით 9 თვეში ბიუჯეტში ჩარიცხულია 478,900.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (649,224.6 ათასი ლარი) 73.8%-ია, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 164.1 ათასი ლარი (მათ შორის საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 478,736.5 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 1,139.6 ათასი ლარი (მათ შორის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის - 362.4 ათასი ლარი, ხოლო პერსონალური ასისტენსის მომსახურებით უზრუნველყოფისათვის - 777.2 ათასი ლარი¹¹), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 435,000.0 ათასი ლარი (თბილისის მასშტაბით არსებული ქუჩების/გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, საქალაქო და რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებების სამუშაოები, რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, ხიდების და გვირაბების, წყალსადენის, სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; M3 კატეგორიის ავტობუსების (200 ერთეული 18 მეტრიანი) შესაძენად ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილის დაფარვა; სხვადასხვა ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის და სარწყავი სისტემების მოწყობის სამუშაოები; საბავშვო ბაგა-ბაღების, სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრძელდება ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში კოსტავას N37ა-ში მდებარე თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში პროექტირება/მშენებლობის სამუშაოები), ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 42,596.9 ათასი ლარი¹² (მათ შორის თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიზნით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 38,872.8 ათასი ლარი; თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელების (GrCF2 W2 - Tbilisi Bus extension - ID; 51207 - Rehabilitation Of Bus Depot No 1 - Re-Advertisement 2) ფარგლებში, სასესხო შეთანხმების საფუძველზე, პირველი ავტობუსის რეაბილიტაციისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფინანსებლად; პროექტის - „მდგრადი ურბანული მობილობა (KfW)“ განხორციელების პროცესში გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, უცხოური საწარმოს ფილიალის „გოპა ინფრას ფილიალი საქართველოში“ მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების დამატებული ღირებულების გადასახადის ასანაზღაურებლად; „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელების პროცესში, პროექტების (N6024-GEO, N4134-GEO) ფარგლებში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების შესაბამისი ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად (მათ შორის საპენსიო შენატანი), სასესხო პროექტების

¹¹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N1/ნ ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტს დაემატა ახალი დელეგირებული უფლებამოსილება პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა.

¹² საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის N1098 და 23 ივლისის N1173 განკარგულებების და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის დაცვის მინისტრის 2025 წლის 24 ივლისის MES 5 25 0000911750 წერილის საფუძველზე მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტს დაემატება ახალი დელეგირებული უფლებამოსილება საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისა და საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. ასევე, უფლებამოსილების განხორციელების მიზნებისათვის ადმინისტრაციული ხარჯები.

(N6024-GEO, 4134-GEO) ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, გაწეული საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებისათვის, მეტრო სადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური დიზაინის მომზადების პროექტის, საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების მოწოდება და ინსტალაციის მომსახურებისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად, "თბილისის მყარი ნარჩენების" პროექტთან დაკავშირებით, გადამტვირთი სადგურის რეაბილიტაციის მიზნით, შპს „გუმბათი ჰოლდინგი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში და „თბილისის მუნიციპალური სერვისების“ პროექტთან დაკავშირებით, სპეცტექნიკის შეძენის მიზნით, კომპანია „ჯი-თი გრუპთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (52577/G-01 LOT 2) ფარგლებში გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად).

სხვა შემოსავლების სახით 9 თვეში მობილიზებულია 330,691.6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (364,394.0 ათასი ლარი) 90.8%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით 16,560.3 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 7,678.9 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 141,948.9 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 97,150.1 ათასი ლარი, ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 67,353.3 ათასი ლარი¹³.

არაფინანსური აქტივების კლებიდან 9 თვეში მობილიზებულია 96,860.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (85,000.0 ათასი ლარი) 114%-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 31,203.3 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 29,179.1 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 1,964.4 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 59.7 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 90.3 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 65,566.5 ათასი ლარი.

ვალდებულებების ზრდის სახით 9 თვეში ასახულ იქნა - 0.01 ათასი ლარი (შემოსულობა საგარეო - ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხა, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 268,742.5 ათასი ლარი.

2025 წლის 9 თვეში **ნაშთის ცვლილების** (ნაშთის გამოყენება) სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 192,949.4 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 220,021.9 ათასი ლარი.

2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	ათასი ლარი		
	2025 წლის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	შესრულება %-ში
შემოსულობები	2,085,967.8	1,675,408.3	80.3%
შემოსავლები	2,000,967.8	1,578,548.2	78.9%
არაფინანსური აქტივების კლება	85,000.0	96,860.1	114%

¹³ აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით თანხის გადახდისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 აგვისტოს N308 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი 3-ში დაემატა სახაზინო კოდი - შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის (3297), 9 თვეში მიღებულია - 60,790.9 ათასი ლარი.

დასახელება	2025 წლის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	შესრულება %-ში
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0%
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.01	
გადასახდელები	2,353,788.4	1,455,386.4	40.1%
ხარჯები	1,815,886.5	1,161,381.0	42.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	502,062.6	259,336.0	30.2%
ვალდებულებების კლება	35,839.3	34,669.3	40.0%
ნაშთის ცვლილება	-267,820.6	220,021.9	

2025 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართული იქნა 1 455,386.4 ლარი (წლიური გეგმის 2 353,788.4 ათასი ლარის 40.1%-ი). მათ შორის:

- ❖ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 536,201.4 ათასი ლარით;
- ❖ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 181,278.1 ათასი ლარით;
- ❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 179,118.0 ათასი ლარით;
- ❖ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 863.7 ათასი ლარით;
- ❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38,035.9 ათასი ლარით;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 135,516.8 ათასი ლარით;
- ❖ განათლება - 204,206.3 ათასი ლარით;
- ❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35,043.7 ათასი ლარით;
- ❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7,641.2 ათასი ლარით;
- ❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 137,481.1 ათასი ლარით.

✚ 2025 წელს პირველად ამოქმედდა შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამები, მათ შორის:

- ✓ სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა - 2,500.0 ათასი ლარი (დასრულდება დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირების სამუშაოები);
- ✓ რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 300.0 ათასი ლარი (რევმატოიდული ართრიტის მქონე პაციენტებისათვის ძვირადღირებული მედიკამენტის დაფინანსება, რომელიც დაიწყება 2025 წლის 1 სექტემბრიდან, სავარაუდოთ 100 ბენეფიციარი);
- ✓ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა - 1,300.0 ათასი ლარი (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, პერსონალური ასისტენტების გზით. ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან 18 წელს მიღწეული შშმ პირები, რომელთაც უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ, დადგენილი წესით, განხორციელებული შეფასების საფუძველზე, განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტენტების ტიპი, თვეში საშუალოდ 116 ბენეფიციარი);
- ✓ თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა – 9,000.0 ათასი ლარი (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლის მოსწავლეების (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის (შშმშ) სტატუსის მქონე მოსწავლეები. ასევე, იმ

მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რომელთა სკოლებშიც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული სამუშაოები და გადანაწილებულნი არიან სხვა საჯარო სკოლებში) ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა);

- ✓ თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები - 39,161.8 ათასი ლარი (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლების (114 სკოლა) მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის რესურსები გადანაწილებულია რაიონის გამგეობებზე), ხოლო ადმინისტრაციული ხარჯების (მათ შორის გამგეობები, მუნიციპალური ლაბორატორია) მიზნებისათვის - 838.7 ათასი ლარი;
- ✓ საოფისე ადმინისტრაციული შენობისა და მონაცემთა დამუშავების ცენტრის რეპროექტირება - მშენებლობა - 2,000.0 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობის 2025 წლის 4 აგვისტოს N1252 განკარგულების საფუძველზე მშენებლობას განახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი);
- ✓ თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება - 1,484.0 ათასი ლარი (თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზემკრები სისტემის მოწყობის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვა).

▪ 2025 წელს თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებების და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია 86,345.3 ათასი ლარი (მათ შორის გრძელდება სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სამედიცინო და სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები, ომის ვეტერანების დახმარება);

▪ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისა და დახმარების მიზნით მიიმართება - 5,696.3 ათასი ლარი;

▪ ტრანსპლანტაციის, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 23,836.5 ათასი ლარი;

▪ ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურებისა და აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციისთვის მიიმართება 13,295.0 ათასი ლარი;

▪ ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში, სპორტულ ცენტრებში და საცურაო აუზებში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების ბავშვთა სწავლების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოყოფილია - 2,417.4 ათასი ლარი;

▪ უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შესაძენად და თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა პატრონობაზე (მათ შორის ორხევის თავშესაფრიდან გაყვანილი ოჯახების ბინის ქირა) გათვალისწინებულია 8,063.6 ათასი ლარი;

▪ მოსახლეობის უფასო სასადილოებით (64 უფასო სასადილო) მომსახურებაზე და დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხებზე გამოყოფილია 40,283.2 ათასი ლარი;

▪ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები, საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები), საბაგირო გზა (ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) და საბაგირო გზა (რიყე-ნარიყალა) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით) მგზავრთა გადამყვანი კომპანიების დასაფინანსებლად 2025 წელს განსაზღვრულია 396,190.0 ათასი

ლარი, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 144,000.0 ათასი ლარი;

- 2025 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 171,058.4 ათასი ლარი, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდაკვარტალური გზების მდგომარეობა;

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და საცობების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილია 193,669.7 ათასი ლარი, ამ მიმართულებით განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (მეტროს სადგურების მოდერნიზაციის სესხის ფარგლებში გადასახდელი დღგ), თბილისის მეტროს (მოდრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების (AIIB) ფარგლებში გადასახდელი დღგ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (მათ შორის შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების მოწყობა, 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსებისთვის განკუთვნილი მე-4 ავტობაზის მშენებლობა, თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) სესხის ფარგლებში (I ავტობაზის რეკონსტრუქცია და II ავტობაზის გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია) და თბილისის მეტროს (მოდრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების (AIIB) ფარგლებში გადასახდელი დღგ, საგზაო მონიშვნები (თერმოპლასტიტით და ცივი პლასტიტით) და სხვა), თბილისის ავტობუსების (18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსი) პარკის განახლება - შევსება;

- საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილია 44,162.3 ათასი ლარი. გრძელდება საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) გაუმჯობესება, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვრით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა;

- ბინათმშენებლობის და ავარიული შენობების გამაგრება-რეაბილიტაციისა, ავარიული სახლების ჩანაცვლების (მათ შორის ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტი და ბინის ქირა) და ქალაქის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 112,686.3 ათასი ლარი (გრძელდება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, თბილისის ისტორიული იერსახის შენარჩუნების მიზნით, ისტორიულ-კულტურული ძეგლების, საცხოვრებელი სახლების და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ცალკეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და მათი ნაწილების, ისტორიული სადარბაზოების, მუზეუმების, რეკრეაციული ზონების, სხვადასხვა ისტორიული შინაარსის მატარებელი ინფრასტრუქტურის პროექტირება/რეაბილიტაცია და სხვა);

- გამწვანებისა და დასუფთავების ღონისძიებებისთვის დაგეგმილია 233,877.3 ათასი ლარი (გრძელდება ქალაქის მასშტაბით 3 პარკის, 1 შუა გამყოფი ზოლის, ერთი ახალი და 11 სკვერის მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები; თბილისის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების (ყოველთვიურად ხორციელდებოდა 27 792 403 კვ.მ ტერიტორიის ფართობის დაგვა-დასუფთავება), შპს თბილსერვის ჯგუფისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (მათ შორის კონტეინერების და სპეცტექნიკის შეძენა), თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის (გადამტვირთი სადგურის რეაბილიტაცია) მომსახურების ფარგლებში გადასახდელი დღგ; მწვანე სივრცეებში განთავსდება საშუალოდ: 517 ერთეული სკამი, 503 ერთეული ურნა, 53 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 27 ერთეული ფიტნეს აღჭურვილობა, 11 ჰა ფართობზე, დაირგვება დაახლოებით 10170 მცირე

ზომის (0.8მ) ხის ნერგი, შეძენილი იქნება 6160 დიდტანოვანი ხე, 2464 მცირე ზომის ხე (1.5მ), 37730 დეკორატიული ბუჩქი, 2310 ბალახოვანი მცენარე და 2310 მცირე ზომის (39) დეკორატიული ბუჩქი;

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის გამოყოფილია 58,006.7 ათასი ლარი (გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), შენობების კაპიტალური გამაგრება, ლიფტების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, სადარბაზოებში სენსორული სანათების დამონტაჟება და სხვა);

- თბილისის მასშტაბით სკეიტ-მოედნების მოწყობის, კულტურის (მათ შორის ხელოვნების სკოლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები), სპორტის (მათ შორის მულტიფუნქციური ცენტრები), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების და თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის (მათ შორის ვერის ჩოგბურთის კორტები) კეთილმოწყობის, რეაბილიტაციის, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების და მშენებლობის მიზნით გამოყოფილია 57,424.8 ათასი ლარი;

- სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიიმართება 56,031.6 ათასი ლარი.

2026-2029 წლების შემოსულობების პროგნოზი

2026 წლისათვის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 2 193,388.7 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები - 2 123,388.7 ათასი ლარი იქნება, მათ შორის გადასახადების წილი 1 022,413.6 ათასი ლარი (ქონების გადასახადი - 350,000.0 ათასი ლარი, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი - 672,413.6 ათასი ლარი), გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 660,436.1 ათას ლარს (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 405.0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 4,551.1 ათასი ლარი (მათ შორის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის - 483.2 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა - 4,067.9 ათასი ლარი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი (MOH 3 25 00941831)), კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 630,000.0 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 25,480.0 ათასი ლარი), ხოლო სხვა შემოსავლების წილი - 440,539.0 ათასი ლარი.

2026 წლისათვის არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების მოცულობა შეადგენს 70,000.0 ათას ლარს.

ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

თავი III. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მოცულობისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა 2026-2029 წლებში

(ათასი ლარი)						
N	დასახელება	რიცხოვნობა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
1	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა		696,339.7	197,245.8	224,932.7	224,951.1

N	დასახელება	რიცხოვნობა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
2	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება	251	305,931.3	250,353.7	245,810.8	245,810.8
3	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	297	314,760.6	223,916.7	217,466.7	217,466.7
4	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა		3,079.5	3,079.5	3,079.5	3,079.5
5	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება		62,491.3	47,491.3	47,491.3	47,491.3
6	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	203	185,152.3	183,081.6	177,230.1	177,230.1
7	განათლება	840	303,331.6	268,710.7	271,968.7	273,945.3
8	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა	423	50,558.8	49,766.3	46,945.8	44,786.2
9	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	197	13,196.7	10,966.4	10,966.4	10,966.4
10	ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	2 740	258,546.9	289,286.9	298,173.9	298,173.9
	სულ ჯამი	4951	2,193,388.7	1,523,898.9	1,544,065.9	1,543,901.3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების დაფინანსების მოცულობა

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა კვლავაც რჩება ერთერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობა, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება, სატრანსპორტო კვანძების მშენებლობა-რეაბილიტაცია). მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი. მოეწყობა ახალი საფეხმავლო ქუჩები და ველოტრასები. გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის სისტემა. უზრუნველყოფილი იქნება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა, მეტროს სადგურების მოდერნიზაცია. მუნიციპალურ ავტოპარკს დაემატება ახალი ავტობუსები, მეტროს მოძრავი შემადგენლობა ეტაპობრივად სრულად ჩანაცვლდება ახალი ვაგონებით. მოეწყობა ახალი საბაგირო ხაზები, დაიწყება დიდი დიდიდან მეტრო/სადგურ „დიდუბის“ მიმართულებით ტრამვაის ხაზის და დეპოს ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტირება/ მშენებლობის სამუშაოები. უზრუნველყოფილი

იქნება სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
1	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა	696,339.7	197,245.8	224,932.7	224,951.1
01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შენახვა	132,856.0	92,856.0	98,856.0	98,856.0
01 12	ტრანსპორტის განვითარება	563,483.7	104,389.8	126,076.7	126,095.1

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება (კოდი 01 01)

საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება მუშაობა ცენტრალური და შიდა კვარტალური გზების მშენებლობა/რეაბილიტაციისთვის, მოხდება ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია, შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია ქალაქთან, გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან, ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდაკვარტალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ნაკადების მაჩვენებლებზე.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7045	ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობები	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა
	დედაქალაქის I, II და III კატეგორიის გზების ტექნიკური პარამეტრების (სიმტკიცე, სისწორე, ვვთა, ხორკლიანობა, სანიაღვრეები) 95%-მდე დაკმაყოფილება;

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა	წლის განმავლობაში საშუალოდ კაპიტალურად შეკეთდება დაახლოებით 525 ათასამდე კვ/მ გზის საფარი, ხოლო მიმდინარე (ორმოული) შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდება დაახლოებით 519 ათასამდე კვ/მ გზის საფარს	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა	
დედაქალაქის I, II და III	ხარისხი	შესრულებული	არსებული	5%	შეცდომები

კატეგორიის გზების ტექნიკური პარამეტრების (სიმტკიცე, სისწორე, ცვეთა, ხორკლიანობა, სანიაღვრეები) 95%-მდე დაკმაყოფილება;	სამუშაოების ხარისხი (მოწმდება ლაბორატორიულად) - ტექნიკური პარამეტრების 95%-მდე დაკმაყოფილება	სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის შექმნა (ტექნიკური პარამეტრების 95%-მდე დაკმაყოფილება)	ლაბორატორიული კვლევების დროს
---	--	--	------------------------------

ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02)

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, განხორციელდება დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოძკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის გაჩერებებზე მოსაცდელელების მოწყობა; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება, გზაჯვარედინებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების რეკონსტრუქცია და მიერთება მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე, შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; დედაქალაქის ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფისათვის შუქნიშნების მუშაობის რეჟიმის რეგულირება, გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოების ჩატარება და გადასასვლელების მოწყობა; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დამონტაჟება; ქალაქ თბილისის მამტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება; მოეწყობა ახალი საბაგირო ხაზები, დაიწყება დიდი დილმიდან მეტრო/სადგურ „დიდუბის“ მიმართულებით ტრამვაის ხაზის და დეპოს ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტირება/ მშენებლობის სამუშაოები; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, „ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების“ განახლება - განვითარება; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (მათ შორის ვაგონების შეძენა, ვაგონების მოდერნიზაცია); საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია და სხვა ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7045	სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	განახლებული, კომფორტული, უსაფრთხო, თანამედროვე და ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა
	მეტროს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონები) განახლება
	სამგზავრო - ვაზისუბნის საბაგირო გზის და დიდ დილომი – დიდუბე ტრამვაის ხაზის გამართული ფუნქციონირება
	საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
განახლებული, კომფორტული, უსაფრთხო, თანამედროვე და ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ობიექტების რაოდენობა	ყოველწლიურად საჭიროა განხორციელდეს სხვადასხვა საგზაო ნიშნების, შუქნიშნების შექმნა-მონტაჟი, დემონტაჟი, მოვლა-შენახვა-ექსპლუატაცია	10%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
	საგზაო მონიშნის ფართობი	ყოველწლიურად ხორციელდება საშუალოდ 150 000 კვ.მ ჰორიზონტალური და	10%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების

		ვერტიკალური საგზაო მონიშვნა და ძველი საგზაო მონიშვნის წაშლა.			შეუსრულებლობა
	მოსაცდელის რაოდენობა	ყოველწლიურად მოქალაქეთა მობართვის საფუძველზე ხორციელდება ავტობუსის გაჩერებებზე ახალი მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.	საშუალოდ 100 ცალი მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა და მოვლა შენახვა ექსპლუატაცია	10%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
	ობიექტის რაოდენობა	წლის განმავლობაში საშუალოდ შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების უსაფრთხოების კუნძულების 17 ობიექტის მოწყობა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
მეტროს მოძრავი შემადგენლობის (ვაგონები) განახლება	ვაგონების რაოდენობა	მეტროს საიმედოობის, უსაფრთხოების და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დაწყებულია სატენდერო პროცედურები ახლის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის სესხის ფარგლებში 111 ერთეული ახალი ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონის შესაძენად, თანადაფინანსების გათვალისწინებით.	111 ერთეული ახალი ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონის ეტაპობრივი შეძენა	10%	ვალუტის კურსის ცვლილება, სატენდერო პროცედურების განხორციელება
სამგორი - ვაზისუბნის საბაგირო გზის და დიდ დილომი – დიდუბე ტრამვაის ხაზის გამართული ფუნქციონირება	საბაგირო გზის და ტრამვაის ხაზის ფუნქციონირება	ტრამვაის ხაზის და დეპოს ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებაზე და სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოებზე დაწყებულია სატენდერო პროცედურები	სამგორი - ვაზისუბნის საბაგირო გზის და დიდ დილომი – დიდუბე ტრამვაის ხაზის მშენებლობის დასრულება	10%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტის შუფერხებელი ფუნქციონირება	შესრულებული რეისების და გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა	საშუალოდ წლის განმავლობაში გადაყვანილია 364 მლნ მგზავრი, ხოლო შესრულებულია რეისები M 2 (1000 ერთეული) და M3 (კატეგორიის ავტობუსებით (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 1424 ავტობუსი) 271 ხაზზე, მეტროთი (47 შემადგენლობა) და საბაგირო გზით (3 საბაგირო)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	დადგენილი მარშრუტის ცვლილება; მგზავრთა ნაკადის შემცირება

2. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მოხდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, ქალაქის დასასვენებელი სივრცეების კეთილმოწყობა. გაგრძელდება საზოგადოებრივი დანიშნულებისა და საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილების, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების, პარკებისა და რეკრეაციული ობიექტების და საერთოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ერთიანი გეგმის შესაბამისად, განხორციელდება ავარიული და ძველი შენობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება (მათ შორის ავარიული შენობების ჩანაცვლება თბილისის

ისტორიულ ნაწილში), აქტიურად გაგრძელდება თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის და ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, თბილისის ყველა უბნის თანაბარი განვითარება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება დედაქალაქის მასშტაბით სადღესასწაულო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების მზადებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
2	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება	305,931.3	250,353.7	245,810.8	245,810.8
02 01	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	42,703.8	32,703.8	35,703.8	35,703.8
02 02	ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება	7,000.0	7,000.0	7,000.0	7,000.0
02 03	საპროექტო-სამიეზო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები	9,186.4	9,186.4	9,186.4	9,186.4
02 05	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	43,500.0	33,000.0	35,000.0	35,000.0
02 06	სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა	3,800.0	3,800.0	3,800.0	3,800.0
02 07	ღონისძიებების უზრუნველყოფა	9,658.1	9,658.1	9,658.1	9,658.1
02 09	კეთილმოწყობის ღონისძიებები	83,046.9	79,646.9	79,646.9	79,646.9
02 10	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	87,036.1	55,358.5	45,815.6	45,815.6
02 12	ავარიული სახლების ჩანაცვლება	20,000.0	20,000.0	20,000.0	20,000.0

საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მშენებლობა,

აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას. მოხდება ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა (მათ შორის სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა) და სხვა ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7062	ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აღდგენილი/ახლად აშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტები
---	---

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აღდგენილი/ახლად აშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტები	აღდგენილი -/ ახლადაშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა.	წლის განმავლობაში საშუალოდ 3 ხიდის და 3 საყრდენი კედლის მშენებლობა/ რეაბილიტაცია (2024 წლის ფაქტი - 14 ხიდის (მათ შორის 1 ახალი ხიდი) და 9 საყრდენი კედლის მშენებლობა/რეაბილიტაცია)	10%	შესყიდვის პროცედურების გაჭიანურება, ბუნებრივი პირობები, მიმწოდებლების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება
	მოწყობილი წყალარინებისა და საკანალიზაციო ქსელების, სანიაღვრე კოლექტორების რაოდენობა	წლის განმავლობაში სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია ჩაუტარდება საშუალოდ 10 ობიექტს (2024 წლის ფაქტი - 27 ობიექტი)	10%	შესყიდვის პროცედურების გაჭიანურება, ბუნებრივი პირობები, მიმწოდებლების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება

ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის სამიშროების თავიდან აცილების შედეგად მოზინადრეთა უსაფრთხოების დაცვას.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7061	ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი		თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.				
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები		საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.		აღდგენილი და რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობების რაოდენობა	წლის განმავლობაში გამაგრება-გამლიერების სამუშაოები უტარდება საშუალოდ 40-მდე შენობა-ნაგებობას (2024 წლის ფაქტი 33 შენობა-ნაგებობა)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება და მიმწოდებლების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება

საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. გარდა ამისა, გათვალისწინებულია საავტომობილო გზების (ასფალტის, ბეტონის და ქვანაგებობის საფარიანი გზების), წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის და სარეაბილიტაციო სამუშაოების, საინჟინრო (ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობები) და ხაზოვანი ნაგებობების და ქსელების (წყალსადენ-კანალიზაცია და სანიაღვრე ქსელი) მშენებლობა-რეაბილიტაციის ტექნიკური ზედამხედველობა; ასფალტ-ბეტონის და ბეტონის ლაბორატორიული კვლევა; ავარიული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (ვიზუალური დაკვირვების მეთოდი), დასკვნების მომზადება, საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი და სხვა ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7065	ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	პროექტების საფუძველზე მაღალხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების ხელშეწყობა
---	--

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
პროექტების საფუძველზე მაღალხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით	შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა.	სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას საჭიროა ხარისხიანი პროექტები	სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით	10%	საექსპერტო მომსახურების გაჭიანურება
მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების ხელშეწყობა	შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი	შესრულებული სამუშაოების 100%-იანი ხარისხობრივი მაჩვენებელი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	1%	მაღალი მომართვიანობა
	უმოკლეს ვადაში ლაბორატორიული კვლევების	ლაბორატორიული კვლევები ხორციელდება 5	საბაზო მაჩვენებლის შენარჩუნება	1 დღე	მაღალი მომართვიანობა

	განხორციელება	დღეში		
--	---------------	-------	--	--

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05)

პროგრამის მიზანია თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბალ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათება და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრული მინათება. პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა, გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება, ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება, გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება			
7064	ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.			
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	განათებული ქალაქი, ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა და გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის შეუფერხებელი ფუნქციონირება				
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
განათებული ქალაქი, ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა და გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის შეუფერხებელი ფუნქციონირება	განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსიობა.	ყოველწლიურად ექსპლუატაცია ეწევა თბილისის მასშტაბით არსებულ გარე განათების ქსელს (2024 წლის ფაქტი - 157015 სანათს), საჭიროებისამებრ მოწყობილია ახალი გარე განათების ბოძები (1118) და სანათები (4243)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	2%	შესყიდვის პროცედურების გაჭიანურება, კლიმატური პირობები

სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06)

პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. მიზნების მისაღწევად განხორციელდება თბილისის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობა (ექსპლუატაცია), მიმდინარე შეკეთება, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობა, კიუვეტების გაწმენდა.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება			
7052	ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება.			
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გამართული ფუნქციონირება				
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების	არსებული	არსებული	არსებული	1%	შესყიდვის

გამართული ფუნქციონირება	სანიაღვრე ქსელი	სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა და გამართულად ფუნქციონირება	სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება	პროცედურების გაჭიანურება, კლიმატური პირობები
-------------------------	-----------------	--	---	--

ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07)

პროგრამის მიზანია დედაქალაქის გაფორმება დღესასწაულებისა და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით, კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის მიხედვით; სახელმწიფო, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მოთხოვნით, საერო, სასულიერო, სადღესასწაულო, კულტურული, სპორტული და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების მზადებაში მონაწილეობის მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა, ძეგლებისა და მემორიალების მოვლა-პატრონობა, პიროვნებებისა და ხელოვნების უკვდამყოფი მემორიალების დამზადება-მონტაჟი; სხვადასხვა ფესტივალების, კონკურსებისა და საიუბილეო ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების განსახორციელებლად ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებული საერთაშორისო და გაცვლითი ღონისძიებების განხორციელება, თბილისთან დამძობილებულ ან/და მსოფლიოს სხვა ქალაქებთან სხვადასხვა სფეროს მიკუთვნებული ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და სხვა ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7082	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	დღესასწაულებისა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ფარგლებში მერიის მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული მასშტაბური ღონისძიებების ჩატარება
	ღონისძიებების/აქტივობების ტექნიკური უზრუნველყოფა
	სამსახურის კომპეტენციის მიკუთვნებული ობიექტების მოვლა-პატრონობა, მშენებლობა/რეაბილიტაცია

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი * მაჩვენებელი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
დღესასწაულებისა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ფარგლებში მერიის მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული მასშტაბური ღონისძიებების ჩატარება	ღონისძიებებზე დამსწრეთა რაოდენობა	მერიის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებს საშუალოდ 6000 ადამიანი ესწრება	5%	საზოგადოების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა, ღონისძიების ცვლილება
სახალხო დღესასწაულებში მონაწილე ხელოვანების/სტარტაპერების	ყოველწლიურად მერიის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში არანაკლებ 500 ცნობილი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება და შემთხვევაში	10%	მომართვიანობის შემცირება/გაზრდა, ნაკლები ინტერესი,

	რაოდენობა	და დამწყები ხელოვანი იღებს მონაწილეობას, ხდება არანაკლებ 100 მცირე მეწარმის და სტარტაპერის ხელშეწყობა	რაოდენობის ზრდა 970-მდე		ლონისძიების ცვლილება
სხვადასხვა ღონისძიებების/ აქტივობების ტექნიკური უზრუნველყოფა	ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფილი ღონისძიებების/ აქტივობების რაოდენობა	ყოველწლიურად არანაკლებ 150 სხვადასხვა ტიპის ღონისძიების და აქტივობის სრული ან ნაწილობრივი ტექნიკური აღჭურვა	არსებული მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება	5 ღონისძიება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა; მომართვიანობის შემცირება/ გაზრდა, ღონისძიების ცვლილება
სამსახურის კომპეტენციის მიკუთვნებული ობიექტების მოვლა-პატრონობა	ახალი და რესტავრირებული ობიექტების რაოდენობა	ყოველწლიურად არანაკლებ 1 ახალი ძეგლის, 5 მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; არანაკლებ 6 ძეგლის ან/და კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები, აღდგენა-რესტავრაცია	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა	2 ობიექტი	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 09)

პროგრამის მიზანია ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია, სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა (მათ შორის ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან); სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; უკანონო ნაგებობების დემონტაჟი; რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7066	ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, მუნიციპალური ინსპექცია, რაიონის გამგეობები	ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურა
	მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო
	რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურა	ახალი/ რეაბილიტირებული სკვერების რაოდენობა	რაიონების ტერიტორიაზე წლის განმავლობაში საშუალოდ 141 სკვერის მოწყობა/რეაბილიტაცია	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, ხელშეკრულების პირობების დარღვევა
	ახალი/ რეაბილიტირებული სპორტული	რაიონების ტერიტორიაზე წლის განმავლობაში	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის	10%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება,

	ობიექტების რაოდენობა	საშუალოდ 86 სპორტული მოედნის/ტრენაჟორი (კომპლექტი) მოწყობა/რეაბილიტაცია	შენარჩუნება		ხელშეკრულების პირობების დარღვევა
მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა,	ახალი/შეკეთებული სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების რაოდენობა	წლის განმავლობაში საშუალოდ რაიონების ტერიტორიაზე 10,0 ათასი გრმ.მ სანიაღვრე წყალსადენ კანალიზაციის მოწყობა/რეაბილიტაცია	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	ხელშეკრულების პირობების დარღვევა
	ახალი/აღდგენილი საყრდენი კედლების რაოდენობა	რაიონების ტერიტორიაზე წლის განმავლობაში საშუალოდ მოწყობილი 8000-მდე კუბ.მ საყრდენი კედელი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	ხელშეკრულების პირობების დარღვევა
	რეაბილიტირებული და მოვლილი ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა	ქალაქის მასშტაბით წლის განმავლობაში საშუალოდ მოწყობა 15000 კვ.მ-მდე ფილა/ქვაფენილი და 400 გრმ.მ-მდე ლითონის მოაჯირი; ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (2024 წლის ფაქტი - 5350 ცალი); გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები და სხვა	შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი	5%	სატენდერო პროცედურების გაჭიანურება და მიმწოდებლების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება
თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო	შშმპ-სათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის მოწყობილი პანდუსების რაოდენობა	რაიონების ტერიტორიაზე შშმპ-სათვის წლის განმავლობაში საშუალოდ 3-5 პანდუსის მოწყობა, რომლითაც ასევე სარგებლობენ ბავშვიანი ქალები/კაცები.	არანაკლებ 3-5 პანდუსის მოწყობა	5%	ხელშეკრულების პირობების დარღვევა
რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული და ეკოლოგიური პირობები	გამწვანებული ტერიტორიების რაოდენობა	წლის განმავლობაში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის რგვები, სხვა ფორმირება, თიბვა). რაიონის გამგეობები მოვლა-პატრონობას უწევს საშუალოდ 300 ჰექტრამდე გამწვანებულ ტერიტორიას, ირგვება 3,0 ათასამდე ხე-მცენარე, სხვა-ფორმირება უტარდება 41,1 ათას ხეს	შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი	10%	კლიმატური პირობები (მაღალი ტემპერატურა, გვალვა), ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: თბილისის ისტორიული იერსახის შენარჩუნების და უძრავი ქონების ღირებულების ზრდის მიზნით, ისტორიულ-

კულტურული ძეგლების, საცხოვრებელი სახლებისა და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/ განხორციელება. მსხვილი არელების (ქუჩების, მოედნების, დასახლებული კვარტლების) ცალკეული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და მათი ნაწილების, ასევე, ისტორიული სადარბაზოების, მუზეუმების, რეკრეაციული ზონების, სხვადასხვა ისტორიული შინაარსის მატარებელი ინფრასტრუქტურის, ადაპტირებული ობიექტების და ყველა თანმდევი სამუშაოების პროექტირება/რეაბილიტაცია. აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ ტურისტებისთვის შეიქმნება დამატებითი მიზიდულობის კერები, ხოლო მუზეუმების და რეკრეაციული ზონების აღდგენა-განვითარებით შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი სივრცეები - უსაფრთხო ეკოლოგიურად სუფთა გარემო დასვენების, გართობის და კულტურული ღონისძიებებისთვის.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7061	ა(ა) იპ თბილისის განვითარების ფონდი	ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის აღდგენა-რეაბილიტაცია

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა
	უძრავი ქონების ღირებულების ზრდა
	შემუშავებული პროექტები

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა	რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა	სარეაბილიტაციო 113 საცხოვრებელი სახლი, მ.შ. 101 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანმდევი ქუჩების, რეკრეაციული ზონების და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით და 3 არასაცხოვრებელ ფართი.	რეაბილიტაცია ჩაუტარდება 23 საცხოვრებელ სახლს, მ.შ. 21 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, 2 არასაცხოვრებელ ფართს	5-6 ობიექტი	რეაბილიტაციის პროცესში საპროექტო მაჩვენებლების ცდომილებით გამოწვეული სახელმწიფო დონორების ღირებულების ზრდა, სატენდერო პროცედურების გაჭიანურება
უძრავი ქონების ღირებულების ზრდა	უძრავი ქონების ღირებულების ზრდა	სარეაბილიტაციო არეალში დღეის მდგომარეობით საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს-6000-6500 ლარს, ხოლო კომერციული საოფისე ფართის 1 კვ.მ. ღირებულება-7500-8000 ლარს	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (მ.შ. ინფლაცია, ვალუტის კურსის ცვლილება) გაუარესება
შემუშავებული პროექტები	პროექტების რაოდენობა	პროგრამა „ახალი ტფილისის“ ფარგლებში იგეგმება 26 საცხოვრებელი სახლის, 3 სადარბაზოს, 1 მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტირება	საცხოვრებელი სახლების (მ.შ. მემკვიდრეობის ძეგლების), სადარბაზოების, მუზეუმების რეაბილიტაციის მიზნით შემუშავებული 30 პროექტი	4-5 პროექტი	პროექტირების პროცესში საპროექტო მაჩვენებლების ცდომილებით გამოწვეული სახელმწიფო დონორების ღირებულების ზრდა

ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი: 02 12)

პროგრამა ითვალისწინებს ძველი შენობების ახლით ჩანაცვლებას, რაშიც იგულისხმება საბჭოთა დროინდელი შენობების თანამედროვე კორპუსებით ეტაპობრივი ჩანაცვლება. პროგრამას დაექვემდებარება ის კორპუსები, რომლებსაც გასული აქვთ ექსპლუატაციის ვადა და მინიჭებული აქვს ავარიულობის ხარისხი. პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი კორპუსიდან დროებით იქნება გაყვანილი მოსახლეობა (ბინის ქირით უზრუნველყოფა) და ახალი კორპუსის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მათ იმავე ადგილას გადაეცემათ შესაბამისი ფართი გარემონტებულ მდგომარეობაში. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას, ქონების მიმღებს ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში აუნაზღაურდებათ გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ხარჯები. დაიწყება ავარიული სახლების ჩანაცვლების ახალი პროგრამა ისტორიულ არეალებში, რომელიც მოსახლეობის 100%-იანი თანხმობით განხორციელდება.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7061	ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, სამგორის რაიონის გამგეობა, საბურთალოს რაიონის გამგეობა სსიპ ქონების მართვის სააგენტო	ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის აღდგენა - რეაბილიტაცია

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ძველი შენობების ახლით ჩანაცვლება
	ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ბინის მფლობელების ბინის ქირით უზრუნველყოფა
	ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტი

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილება ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
ძველი შენობების ახლით ჩანაცვლება	ჩანაცვლებული ობიექტების და პროექტების რაოდენობა	საცხოვრებელი კორპუსები, რომელთაც დიდი ნაწილი ავარიულია და ამოწურული აქვთ ექსპლუატაციის ვადა, საჭიროა მათი ახლით ჩანაცვლება, 2025 წელს დასრულდება 1 კორპუსის სამშენებლო სამუშაოები, გრძელდება 4 კორპუსის და დაიწყება 2 კორპუსის მშენებლობა, დაიწყო 10 კორპუსის პროექტირება, გრძელდება 13 კორპუსის და დასრულდა ერთი კორპუსის პროექტირება/ზედაშედეველობა	ახლით ჩანაცვლდება 19 საცხოვრებელი კორპუსი, ხოლო პროექტირება დასრულდება 40 ობიექტზე	1-2 კორპუსი, 1 პროექტი	რეაბილიტაციის პროცესში საპროექტო მაჩვენებლების ცდომილებით გამოწვეული სახელშეკრულებო ღირებულების ზრდა და მოსახლეობასთან შეთანხმების გაჭიანურება
ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ბინის მფლობელების ბინის ქირით უზრუნველყოფა	ბინის ქირით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა	ჩანაცვლებას დაექვემდებარებული კორპუსების აშენებამდე და მათ ექსპლუატაციაში მიღებამდე, ავარიული სახლებიდან მოსახლეობის გამოყვანის პროცესში შესაბამისი რაიონიდან მომართვის საფუძველზე დადგენილი წესით გაიწევა ქირის ხარჯები. 2025 წელს სამგორისა და საბურთალოს რაიონში ბინის ქირით/კომპენსაციით უზრუნველყოფილია 6 კორპუსიდან გაყვანილი 205 ოჯახი	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება, რაც შესაძლოა გაიზარდოს ახალი ობიექტების მშენებლობის დაწყებით	2 ოჯახი	ობიექტების და ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილება

ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტი	გადაცემული სარემონტო ბინების რაოდენობა	გადაცემული ბინის რემონტის ღირებულება 1 კვ.მ ფართზე შეადგენს 286 ლარს დაახლოებით 7692კვ.მ	დაახლოებით 7692 კვ/მ ბინის ფართის რემონტი	10%	მოსახლეობის ნების გამოხატვა ფართის დათმობის თაობაზე.
---	--	--	---	-----	--

3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

დედაქალაქში ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, აღდგება და განახლდება თბილისის შემოგარენის დაავადებული ტყეები, დაავადებულ ტყის მასივებში განხორციელდება სანიტარული და ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების) ხელშეწყობის ღონისძიებები, დაიხვეწება ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სისტემა, გაუმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა და გარე-იერსახე, მცენარეთა ფიტო-სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება, პარკების განახლება და ახალი გამწვანებული სივრცეების/მწვანე კუნძულების შექმნა. გარდა ამისა, განხორციელდება დედაქალაქში დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები, ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბება, გაგრძელდება თბილისის ზღვის მიმდებარედ ახალი ზოოპარკის მოწყობა, ხოლო ძველი ზოოპარკის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცე მოეწყობა, რომელიც ბავშვთა ქალაქ „მზიურს“ შეუერთდება და სხვა.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
3	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება	314,760.6	223,916.7	217,466.7	217,466.7
03 01	გამწვანების ღონისძიებები	100,801.3	78,081.3	77,301.3	77,301.3
03 02	დასუფთავების ღონისძიებები	174,389.9	130,000.0	130,000.0	130,000.0
03 03	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	17,165.5	10,165.4	10,165.4	10,165.4
03 04	რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია	22,403.9	5,670.0		

გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. გარდა ამისა, განხორციელდება გარემოსდაცვითი კვლევები და რეკომენდაციები, ტყის აღდგენის (ბუნებრივი განახლების) ხელშეწყობის ღონისძიებები,

მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, მერქნიანი მცენარეები); თბილისის ტერიტორიაზე, მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი), მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბეღვა და კუნძების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი მერქნიანი მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; საბაღე ფურნიტურის და სათამაშო ატრაქციონების მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში, არსებული და ახალი პარკების, სკვერების, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა/რეაბილიტაცია, შუა გამყოფი ზოლების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები, გამწვანებული ტერიტორიების და შადრევნების მოვლა-პატრონობა და სხვა ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7054	გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება
	მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება	სხვადასხვა ტერიტორიაზე დარღული მერქნიანი მცენარეების რაოდენობა	2025 წელს შეძენილი იქნება 6160 დიდტანოვანი ხე, 2464 მცირე ზომის ხე (1.5მ), 37730 დეკორატიული ბუჩქი, 2310 ბალახოვანი მცენარე და 2310 მცირე ზომის (39) დეკორატიული ბუჩქი;	წლის განმავლობაში საშუალოდ 4000 დიდტანოვანი ხე, 1600 მცირე ზომის ხე (1.5მ), 24500 დეკორატიული ბუჩქი, 1500 ბალახოვანი მცენარე და 2100 მცირე ზომის (39) დეკორატიული ბუჩქი.	5%	არ შემდგარი ტენდერი/კონტრაქტორი ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
	ფერდობებზე ტყის გაშენების ფარგლებში დარღული ნერგების რაოდენობა	2025 წელს განხორციელდება ტყის გაშენება 10.8 ჰა ფართობზე, დაირგება დაახლოებით 10170 მცირე ზომის (0.8 მ) ხის ნერგი	წლის განმავლობაში საშუალოდ ტყის გაშენება 3.5 ჰა ფართობზე, დაირგება დაახლოებით 3.5 ათასი მცირე ზომის (0.8მ) ხის ნერგი;	5%	არ შემდგარი ტენდერი/კონტრაქტორი ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება	მოწყობილი/აღდგენილი სარეკრეაციო სივრცეების რაოდენობა	2025 წელს სარეკრეაციო სივრცეების ფარგლებში გრძელდება 3 პარკისა და 1 შუა გამყოფი ზოლის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; განხორციელდება 1 ახალი პარკის მოწყობის სამუშაოები და 11 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია	წელიწადში საშუალოდ განხორციელდება 2 პარკის და 6 სკვერის მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები;	5%	არ შემდგარი ტენდერი/კონტრაქტორი ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

	ობიექტის რაოდენობა	2025 წელს მწვანე სივრცეებში განთავსდება საშუალოდ 517 ერთეული სკამი და 503 ერთეული ურნა; 53 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 27 ერთეული ფიტნეს აღჭურვილობა.	წელიწადში საშუალოდ განთავსდება 500 ერთეული სკამი და 500 ერთეული ურნა; 20 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 30 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა	5%	არ შემდგარი ტენდერი/ კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
	გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობის ღონისძიებები	ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია შემდეგი გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 43, სკვერი - 140, შადრევნები - 75, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 250, გამწვანებული ტერიტორიები (შუა გამყოფი ზოლები, ფერდობები, კუნძულები და თარგები) - 170, ხელოვნური მდინარე და ტბა - 11. სანერგე 2	შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი	5 ობიექტი	ობიექტის რაოდენობის ცვლილება

დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ხეების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7051	გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.
--	--

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-	ტერიტორიის ფართობი	ყოველთვიურად დასუფთავებულ იქნა 27,792,403 კვ.მ ტერიტორიის ფართობი	საბაზისო მონაცემების შენარჩუნება	5%	არამდგრადი ამინდი
	ნაგავშემკრები	ქალაქის მამტაბით	წელიწადში	10%	ვალუტის კურსის

დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.	კონტეინერების რაოდენობა	განთავსებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი 19755 ცალი კონტეინერი	საშუალოდ 4 500 ცალი ახალი კონტეინერთი შევსება/ ჩანაცვლება	ცვლილება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
---	-------------------------	---	---	--

თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03)

პროგრამა მიზნად ისახავს ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია. აღნიშნულის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას. გაგრძელდება თბილისის ზღვის მიმდებარედ ახალი ზოოპარკის მოწყობა, ხოლო ძველი ზოოპარკის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცე მოეწყობა, რომელიც ბავშვთა ქალაქ „მზიურს“ შეუერთდება .

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7082	ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური ბაღი; ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხელშეწყობა და ვიზიტორებისათვის ხელმისაწვდომი გარემო
	მოწესრიგებული ტურისტული და განახლებული ინფრასტრუქტურა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილება ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხელშეწყობა და ვიზიტორებისათვის ხელმისაწვდომი გარემო	ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირება	ზოოპარკის ძველ ტერიტორიაზე (9 ჰა) სა ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე (10 ჰა) არსებული ობიექტებისა და მცენარეული საფარის მოვლა და შენარჩუნება; ზოოპარკის გამართული ფუნქციონირება	20%	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, კლიმატური პირობები
	ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირება	ბოტანიკურ ბაღში ძირითადი ტურისტული მარშრუტის (გზების, ბილიკების) 8-9 კმ პერიმეტრის მოვლა და 70 ჰა ფართობზე მოვლილი და შენარჩუნებული	ძირითადი ტურისტული მარშრუტის (გზების, ბილიკების) 8-9 კმ პერიმეტრის მოვლა და 70 ჰა ფართობზე შენარჩუნებული საკოლექციო	20%

		საკოლექციო ნაკვეთები; წლიურად საშუალოდ 55000-მდე მცენარის დარგვა (მათ შორის 30 ახალი სახეობის დამატება), ბოტანიკური ბაღის გამართული ფუნქციონირება	ნაკვეთები; წლიურად საშუალოდ 45000-მდე მცენარის დარგვა (მათ შორის 30 ახალი სახეობის დამატება), ბოტანიკური ბაღის გამართული ფუნქციონირება		შესყიდვის სირთულე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა
	ვიზიტორთა რაოდენობა	ზოოპარკს წლიურად საშუალოდ 250,0 ათასი ვიზიტორი სტუმრობს (2024 წლის ფაქტი - 201 386 ვიზიტორი)	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა 300,0 ათას ვიზიტორამდე	20%	უცხოელი ტურისტული ნაკადის შემცირება
	ვიზიტორთა რაოდენობა	ბოტანიკურ ბაღს წლიურად საშუალოდ 300,0 ათასი ვიზიტორი სტუმრობს (2024 წლის ფაქტი - 282 514 ვიზიტორი)	საბაზისო მაჩვენებლის გაზრდა 305,0 ათას ვიზიტორამდე	15%	
მოწესრიგებული ტურისტული და განახლებული ინფრასტრუქტურა	ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა	ზოოპარკის ძველ და ახალ ტერიტორიაზე არსებული ვოლიერების რეაბილიტაცია, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა; ცხოველთა კოლექციის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ახალი ვოლიერების აშენება,	შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი	30%	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა
	ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა	ბოტანიკურ ბაღში პერმანენტულად ხორციელდება ბაღისთვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტები და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მათ შორის 2025 წელს დასრულდება 6 პროექტი, ხოლო დაიწყება 2 პროექტი.	დასრულდება ადმინისტრაციული შენობის, მუზეუმის, სანერგე შენობის რეაბილიტაცია; სხვა ინფრასტრუქტურული და სარეაბილიტაციო პროექტები (მათ შორის სარწყავი სისტემა)	15%	შესყიდვის პროცედურების გაჭიანურება, შემსრულებლების მიერ ვადის ფარგლებში შესრულების პრობლემა.

რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია (კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. პარკების ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოეწყობა გამწვანება მრავალწლიანი ხეებითა და გაზონებით. ასევე, გათვალისწინებულია არსებული სივრცის ფიზიკური აქტივობებისთვის მაქსიმალურად ათვისება, რაც არა მარტო მიმდებარე უბნებისთვის, არამედ თბილისის ყველა მაცხოვრებლისთვის მულტიფუნქციურ სარეკრეაციო და გამაჯანსაღებელ კერად შეიძლება იქცეს. სპორტული მოედნები, რომლებიც სხვადასხვა აქტივობებისთვის არის განსაზღვრული, დამსვენებელს, ბუნებასთან ინტეგრირებით, ფიზიკური დატვირთვის მრავალფეროვან სპექტრს

სთავაზობს. განხორციელდება სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7054	გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური	ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობისათვის დასვენების პირობების გაუმჯობესება
---	---

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობისათვის დასვენების პირობების გაუმჯობესება	რეკრეაციული ტერიტორიების რაოდენობა	გრძელდება სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობის და ვაკის პარკში შადრევნების და კასკადის რეაბილიტაციის სამუშაოები	დასრულდება სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობის, ხოლო გაგრძელდება ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაციის სამუშაოები	5%	კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, თბილისის მერია შეიმუშავებს მუნიციპალური განვითარების გეგმას. განხორციელდება თბილისის ეკონომიკური პოტენციალის სრულფასოვანი კვლევა. შემუშავდება და განხორციელდება ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა, ტურისტული პოტენციალის უკეთ ათვისების სტრატეგია, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიზნით სხვადასხვა პროექტები. გააქტიურდება თანამშრომლობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა). მოხდება ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა სხვადასხვა ღონისძიებებით.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
4	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	3,079.5	3,079.5	3,079.5	3,079.5
04 01	ბიზნესის სტიმულირება	1,583.5	1,583.5	1,583.5	1,583.5
04 03	თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები	326.0	326.0	326.0	326.0
04 04	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში	130.0	130.0	130.0	130.0
04 07	მერიის სისტემის საქმიანობის				

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
	ხელშეწყობა	370.0	370.0	370.0	370.0
04 08	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	480.0	480.0	480.0	480.0
04 09	ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია	190.0	190.0	190.0	190.0

ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მდგრადი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტის ფარგლებში ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება, ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების განვითარების ხელშეწყობა და თბილისში რეგისტრირებული ან მოქმედი სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობის მხარდაჭერა; მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა; მეწარმე ქალთა მხარდაჭერა; ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციის, ცნობადობის ამაღლების და ინფორმაციის გაცვლის მიზნით ადგილობრივი ღონისძიებების ჩატარება; მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქისათვის პრიორიტეტული ეკონომიკური სექტორების შერჩევა და მხარდაჭერა ღონისძიებებით: მათ შორის, მათ შორის, ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით პერმანენტულად გამოფენა-გაყიდვების ჩატარება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმის ორგანიზება, მიკრო და მცირე ბიზნესების ხელშეწყობის პროექტების განხორციელება და სხვა.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება			
7049	ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა			
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა				
	მიკრო და მცირე ბიზნესების ნაწილობრივი ფინანსური დახმარება (თანადაფინანსება)				
	თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე				
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი * მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	ჩატარებული გამოფენა-გაყიდვების რაოდენობა	ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით პერმანენტულად ტარდება გამოფენა-გაყიდვები, რომელშიც მონაწილე ქალი ბიზნესმენების წილი მუდმივად იზრდება.	წლის განმავლობაში პერმანენტულად ჩატარებული გამოფენა-გაყიდვები, ქალების ჩართულობის ზრდა ეკონომიკურ განვითარების პროცესში	10%	ქალი მეწარმეების მზრიდან ნაკლები ჩართულობა
	თანადაფინანსებული პროექტების რაოდენობა	მიკრო და მცირე ბიზნესების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ნაწილობრივი ფინანსური მხარდაჭერა/თანადაფინანს	მიკრო და მცირე ბიზნესების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ნაწილობრივი ფინანსური მხარდაჭერა/თანადაფინანს	3%	დაბალი ინტერესი მიკრო და მცირე ბიზნესების

		ება (თანადაფინანსებას ექვემდებარება როგორც პროდუქციის დასამზადებლად საჭირო აღჭურვილობა/მანქანა-დანადგარები/ტექნოლოგია, ისე პროდუქციის დამუშავებისა და დამატებული ღირებულების შექმნისთვის საჭირო სხვა კატეგორია)	ება		მხრიდან
თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე	ჩატარებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი	ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმის ჩატარება, სადაც მონაწილეობას იღებენ და გამოცდილებას გვიზიარებენ საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები/მომხსენებლები. ღონისძიება იმართება წელიწადში ერთხელ და ეთმობა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ თემას.	ფორუმის წარმატებით ჩატარება, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე მისი ცნობადობის და მნიშვნელობის ამაღლება	დაბალი	დაბალი ინტერესი საერთაშორისო ან/და ადგილობრივ დონეზე

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03)

პროგრამის მიზანია თბილისში ეკონომიკური განვითარების (ბიზნესის ხელშეწყობა, შრომის ბაზრის განვითარება და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება) ხელშეწყობის კვლევების, სტრატეგიების და პროექტების განხორციელება; მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც გააუმჯობესებს ზოგად ბიზნეს გარემოს, ხელს შეუწყობს დარგობრივ განვითარებას, გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის დონეს, გააუმჯობესებს ღირებულებათა ჯაჭვს, უფრო კოორდინირებულს გახდის ეკონომიკის განვითარებას და ა.შ. ასევე, თბილისის ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო მასალების დაბეჭდვა/გავრცელების გზით, რომლის მიზანია საერთაშორისო ფორუმებსა თუ სხვადასხვა კონფერენციის ფარგლებში თბილისის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენა.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება			
7049	ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა			
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა (მოსახლეობა, პოტენციური ინვესტორი და ტურისტი) თბილისის ეკონომიკის, ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ				
	თბილისის ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო სტრატეგიული და კვლევის დოკუმენტები				
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა (მოსახლეობა, პოტენციური ინვესტორი და ტურისტი) თბილისის ეკონომიკის და საინვესტიციო პოტენციალის	თბილისის შესახებ ბეჭდური საპრომოციო მასალები და ინფორმირებული ადამიანები	სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული	არსებული ბაზის შენარჩუნება, განახლება, თბილისის შესახებ საპრომოციო მასალის ბეჭდვა	10%	არსებული ინფორმაციის სიმკვლე ან სწრაფი განახლება, ჩაშლილი ტენდერი, ნაკლები

შესახებ		ბროშურების მომზადება (მათ შორის ტურისტული რუკა, საინფორმაციო კატალოგი „თბილისი ციფრებში“) და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის.	მოთხოვნის შესაბამისად და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის.		ინტერესი
	ტურისტული რუკების და ბროშურების რაოდენობა	ყოველწლიურად დაბეჭდილი საშუალოდ 6 000 ტურისტული რუკა და 2400 ბროშურა, (2024 წლის ფაქტი - 10500 ტურისტული რუკა, 500 ცალი საინფორმაციო კატალოგი, 1200 ბრენდირებული ბლოკნოტი/ჩანთა)	10 000-მდე საპრომოციო მასალა თბილისის შესახებ	10%	ჩაშლილი ტენდერი; არაჯეროვნად შესრულებული სამუშაო
თბილისის ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო სტრატეგიული და კვლევის დოკუმენტები	მცირე ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების კვლევა/სექტორული ანალიზი	N/A	თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და 4 კვლევის დოკუმენტი	1 დოკუმენტი	ნაკლები დაინტერესება ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, სტატისტიკური მონაცემების განახლების პერიოდი, რესპოდენტების დაბალი ინტერესი და ჩართულობა

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის საერთაშორისო რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება; საზღვარგარეთ თბილისის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა; არსებულ პარტნიორებთან ურთიერთობების განმტკიცება და ახალ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება; ევროკულ ინიციატივებთან მიერთება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება (საერთო პროექტები, კონფერენციები, ფორუმები, სემინარები, სხვადასხვა შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა და მათი თბილისში მასპინძლობა).

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება			
7049	ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა			
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა				
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა	საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობის მაჩვენებელი	თბილისის მერია სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში	წელიწადში თბილისის მონაწილეობა არანაკლებ 4 საერთაშორისო/ადგილობრივ ღონისძიებაში.	1 ღონისძიება	ღონისძიების გაუქმება, წინადადებების მიმართ დაბალი ინტერესი

მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა (კოდი 04 07)

პროგრამის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა, მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა. პროგრამაში გათვალისწინებულია შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება		
7049	შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური; მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური; საფინანსო საქალაქო სამსახური	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა		
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	<p>მერიის სისტემაში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებისა და ინსპექტირების/მონიტორინგის შედეგად მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და რისკების შემცირება</p> <p>სახელმწიფო შესყიდვებისათვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მაქსიმალური სიზუსტე და ობიექტურობა</p> <p>ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სისტემის გამართული ფუნქციონირება</p>			
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	შესაძლო * რისკები	
მერიის სისტემაში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებისა და ინსპექტირების/მონიტორინგის შედეგად მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და რისკების შემცირება	რისკების იდენტიფიცირება და პრევენცია	მერიის სისტემის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება	გამოვლენილი დარღვევებისა და ხარვეზების აღმოფხვრა	მერიის სისტემაში არსებული რისკების მაღალი ფაქტორი
სახელმწიფო შესყიდვებისათვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მაქსიმალური სიზუსტე და ობიექტურობა	სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულებისა და საბოლოო ფაქტიური ღირებულებას შორის სხვაობის მინიმიზაცია და საბაზრო ფასებთან შესაბამისობა	სავარაუდო ღირებულებასა და სახელმწიფო ღირებულებას შორის სხვაობის შენარჩუნება 20%-ის ფარგლებში	არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება 20%-ის ფარგლებში	ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა, მიზნობრივ ბაზარზე კომპეტენტური მიწოდებლების არარსებობა
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სისტემის გამართული ფუნქციონირება.	პროგრამის გამართული ფუნქციონირება	ყოველწლიურად ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის (ESBA) გაგრძელება	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემომყვანი და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა. პროგრამის ღონისძიებები გათვლილია დედაქალაქის მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. მიზნების

მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; საინფორმაციო, გაცნობითი ტურების ორგანიზება საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებისთვის; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; კერძო სექტორის მხარდაჭერა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ბ2ბ ღონისძიებების ორგანიზებით და სხვა.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება			
7049	ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა			
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	დედაქალაქში ეკო-ტურიზმის განვითარების მიმართულებით შესაძლებლობების გამოვლენა; ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები და სხვა) შექმნა.				
	საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება				
	ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრენინგების ჩატარება				
	ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება				
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილება ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
დედაქალაქში ეკო-ტურიზმის განვითარების მიმართულებით შესაძლებლობების გამოვლენა; ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები და სხვა) შექმნა.	საკემპინგე ადგილების და ტურისტული ბილიკების რაოდენობა	შესწავლილია 3 ტურისტული მარშრუტი თბილისის შემოგარენში, 2 მარშრუტზე მოწყობილია შესაბამისი საკემპინგე ინფრასტრუქტურა	არანაკლებ 4 მარშრუტის შესწავლა/მარკირება ან/და საკემპინგე ადგილის მოწყობა/არსებული ის მოვლა-პატრონობა	1 მარშრუტი	შესწავლის შედეგები საკემპინგე ადგილების მოწყობის თაობაზე, არშემდგარი ტენდერი, შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარვეზი და სხვა.
საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება	ტურიზმის ინდუსტრიის საერთაშორისო წარმომადგენლების ვიზიტების/გაწვევების რაოდენობა	თბილისში მოეწყო 5-მდე ინფო-ტური და თბილისის შესახებ განთავსებულია ინფორმაცია სხვადასხვა მედია პლატფორმებზე	წელიწადში არანაკლებ 2 ინფო ტურის მოწყობა	1 ინფო ტური 7-10%	საერთაშორისო დონის ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები ს დაბალი ინტერესი.
ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრენინგების ჩატარება	განხორციელებული თემატური ტრენინგების/გადამზადებული წარმომადგენლების რაოდენობა	ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის 16-მდე თემატური ტრენინგის ორგანიზებული და გადამზადებულია 650-მდე ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი	წელიწადში არანაკლებ 3 თემატური ტრენინგის ორგანიზება და 100-მდე ტურიზმის სექტორის წარმომადგენლის გადამზადება;	1 ტრენინგი/ შეხვედრა	ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები ს მხრიდან დაბალი ინტერესი; არშემდგარი ტენდერი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა და სხვა.
ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზება/ თანაორგანიზება	ადგილობრივი და საერთაშორისო თემატურ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზების რაოდენობა	თბილისის მერია სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ ღონისძიებებში, ასევე უწყვეტ ორგანიზებას	თბილისის მერიის მიერ წელიწადში არანაკლებ 5 საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებაში მონაწილეობა და	1 ღონისძიება	საერთაშორისო დონის ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები ს დაბალი ინტერესი.

		(თანაორგანიზება) ადგილობრივ ტურისტულ ღონისძიებებს	ორგანიზება/თანა ორგანიზება)	
--	--	--	--------------------------------	--

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09)

პროგრამა უზრუნველყოფს დედაქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების ზრდას და ინვესტიციების შემოდინებას. პროგრამის ფარგლებში დამუშავდება ინვესტორებისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაცია თბილისის ჭრილში და უზრუნველყოფილი იქნება ამ ინფორმაციაზე საჯარო წვდომა. ჩატარდება იმ ტიპის კვლევები, რომლის მიგნებებიც შესაძლებელია საინტერესო იყოს პოტენციური ინვესტორებისათვის. შეიქმნება კონკრეტული საინვესტიციო შეთავაზებები, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს ქალაქში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასა და ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში მერიის სამსახურებთან თუ სხვა უწყებებთან კოორდინაციით, მომსახურება გაეწევა ინვესტორებს მათი საქმიანობის სწრაფად და ეფექტურად განხორციელების მიზნით. ქალაქს მიეცემა საშუალება საერთაშორისო საინვესტიციო გამოფენებსა და ფორუმებზე წარმოაჩინოს საინვესტიციო შესაძლებლობები, ასევე ორგანიზება გაუწიოს ადგილობრივ საინვესტიციო ფორუმებს. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ინვესტორთა მოზიდვას, მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მიზნობრივი ინვესტიციების შემოდინების ზრდას.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7049	ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის გაზრდა და დაინტერესებული ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლების ინფორმირებულობა
	პრიორიტეტული სექტორების მიხედვით შემუშავებული მუნიციპალური მხარდამჭერი პროგრამები

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საზაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის გაზრდა და დაინტერესებული ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლების ინფორმირებულობა	სამუშაო შეხვედრების, ბიზნეს ფორუმების რაოდენობა	3 საერთაშორისო ბიზნეს ღონისძიებაში მონაწილეობა, 3 სექტორული შეხვედრა სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან დაუმთავრებელი და ავარიული შენობების მიმართულებით	1 შეხვედრა	ინტერესის ნაკლებობა ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების მხრიდან; საინვესტიციო შეთავაზებების ნაკლებობა
პრიორიტეტული სექტორების მიხედვით შემუშავებული მუნიციპალური მხარდამჭერი პროგრამები	საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამის რაოდენობა	ტექ-ინდუსტრიის სექტორის მიმართულებით გატარებული მხარდამჭერი ღონისძიებები	2 პროგრამა	ეკონომიკური რეცესია და მასთან დაკავშირებული არაპროგნოზირებადი საინვესტიციო/ეკონომიკური გარემო

5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

პრიორიტეტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსება. განხორციელებული პროექტებით და ღონისძიებებით გამგეობა აქტიურად დაეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და შექმნას ხელსაყრელი პირობები სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტად ჩამოყალიბებისათვის. გარდა ამისა, მოხდება ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
5	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	62,491.3	47,491.3	47,491.3	47,491.3
05 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა	62,491.3	47,491.3	47,491.3	47,491.3

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით, გამგეობის მიერ სრულად (100%-ით) დაფინანსდება შემდეგი ძირითადი მიმართულებები: სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (მათ შორის წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი), ლიფტის შესაკეთებელი სამუშაოები (გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა ლიფტების ჩანაცვლების პროექტზე და ოთხ წელიწადში ქალაქში არცერთი ავარიული ლიფტი აღარ იქნება), წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები, 4 სართულამდე შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები, საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები, პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება) და სხვა ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7061	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობები	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები				
პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი * მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები	დაფინანსებული განაცხადების რაოდენობა	ყოველწლიურად დაფინანსებული საშუალოდ 2000 განაცხადი (2024)	მომართვიანობის 100%-ით დაკმაყოფილება	10%	დაბალი მომართვიანობა

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გაგრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სოციალური დახმარებები და სხვადასხვა შეღავათები და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონის გამგეობების მიერ გაგრძელდება რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებების მხარდაჭერა. მათ შორის: მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
6	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	185,152.3	183,081.6	177,230.1	177,230.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	44,329.3	43,122.7	43,122.7	43,122.7
06 02	სოციალური დაცვა	140,823.0	139,959.0	134,107.5	134,107.5

ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01)

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება თბილისის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური მომსახურების მიწოდების პროგრამები. მათ შორის: დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში გამოკვლევების, გაფანტული სკლეროზისა და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, ტრანსპლანტაციის, სახსრების ენდოპროტეზირების, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება და სხვა.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7074, 7076	ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა
---	---

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები		საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა	პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა	ყოველწლიურად საშუალოდ 147,0 ათასი ბენეფიციარის მკურნალობა/კვლევის დაფინანსება, დაახლოებით 560,0 ათასი ბენეფიციარის ეპიდკვლევები, გეგმიური/ არაგეგმიური ვაკცინაცია	მომართვიანობის 100%-ით დაკმაყოფილება	1%	ცნობიერების დაბალი დონე, ნაკლები მიმართვიანობა,

სოციალური დაცვა (კოდი 06 02)

მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდება მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამები. მათ შორის: მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის (თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ და სხვა საჭიროების მქონე პირები) სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება; გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის ბენეფიციარების მოვლა-პატრონობა, უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონის გამგეობები თავის მხრივ განახორციელებენ და დააფინანსებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებებს.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7101, 7102, 7104, 7106, 7109	ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, თბილისის რაიონის გამგეობები	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი მოქალაქეების კომუნალურ სერვისებზე და მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობა
	სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, სპორტულ ცენტრებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში
	უშუალო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა კვებით უზრუნველყოფა
	დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა
უსახლკარო ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით	

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები		საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობა	სოციალური დახმარების მიმღებ პირთა რაოდენობა	ყოველწლიურად საშუალოდ 150,0 ათასი ბენეფიციარის/ შემთხვევის დაფინანსება	მომართვიანობის 100%-ით დაკმაყოფილება	1%	ცნობიერების დაბალი დონე, ნაკლები მიმართვიანობა, მონაცემთა ბაზის ცვლილება
	შელავათებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	წელიწადში 60200-მდე ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	2%	მონაცემთა ბაზის ცვლილება
სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო სწავლება ხელოვნების	მოსწავლეთა რაოდენობა	საშუალოდ თვეში 5800-მდე მოსწავლის დაფინანსება (2024	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	1%	მონაცემთა ბაზის ცვლილება

სკოლებში, სპორტულ ცენტრებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებსა და სასახლეებში		წლის ფაქტი - 5809 მოსწავლე			
უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა კვებით უზრუნველყოფა	უფასო კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა	რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 64 უფასო სასადილო, სადაც ყოველდღიურად იკვებება საშუალოდ 42,5 ათასი ბენეფიციარი	შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი	2%	სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილება
დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	ოჯახების რაოდენობა	წელიწადში საშუალოდ ბინის ქირით უზრუნველყოფილია 2350 ოჯახი (2024 წლის ფაქტი - 2154 ოჯახი)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	მონაცემთა ბაზის ცვლილება, ნაკლები მომართვიანობა
უსახლკარო ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით	ოჯახების რაოდენობა	ყოველწლიურად საშუალოდ 50 ოჯახის უზრუნველყოფა ბინით	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5 ოჯახი	საბაზრო ფასის ცვლილება, ნაკლები მომართვიანობა

7. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს დედაქალაქის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება, განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების და ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
7	განათლება	303,331.6	268,710.7	271,968.7	273,945.3
07 01	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	252,384.7	222,947.3	226,205.3	228,181.9
07 02	ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების	34,322.0	29,638.5	29,638.5	29,638.5

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
	ხელშეწყობა				
07 03	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	5,647.7	5,647.7	5,647.7	5,647.7
07 04	პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა	2,500.0	2,000.0	2,000.0	2,000.0
07 05	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	4,211.0	4,211.0	4,211.0	4,211.0
07 06	ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	4,266.2	4,266.2	4,266.2	4,266.2

სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება (კოდი 07 01)

თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამის სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების შესაბამის კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შშმ პირებზე ადაპტირებას და სხვა. პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია, კაპიტალური შეკეთება, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7091	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ქ.თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	განათლება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	საბავშვო ბაგა-ბაღების სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება
	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა (ახალი ბაღების მშენებლობა/ რეაბილიტაცია ან/და დემონტაჟირებული ბაგა ბაღების ნაცვლად ახლის მშენებლობა)

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
საბავშვო ბაგა-ბაღების სტანდარტების შესაბამისად ფუნქციონირება	ბაღების და აღსაზრდელთა რაოდენობა	სააგენტო განსაზღვრავს ბაგა-ბაღების მართვის პოლიტიკას, რომელთა რაოდენობა 2025 წელს თბილისის მასშტაბით შეადგენს 190 საბავშვო ბაგა-ბაღს, რომლებიც ჯამურად ემსახურება 6000-მდე აღსაზრდელს (2024 წლის ფაქტი - 190 ბაღი და 60000-მდე აღსაზრდელი)	სააგენტო უზრუნველყოფს 191 საბავშვო ბაგა-ბაღის მართვას და მოემსახურება 62000-მდე აღსაზრდელს	1 ბაღი, აღსაზრდელი 5%	მომართვიანობის შემცირება, ექსპერტიზის შედეგად ავარიული ბაღის დემონტაჟი
გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა,	ობიექტების რაოდენობა	დასრულებული 7 საბავშვო ბაგა-ბაღი	დასრულებული 5 საბავშვო ბაგა-ბაღის	10%	ხელშეკრულებით გათვალისწინებუ

ახალი ბაღების მშენებლობა და ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრება ან დემონტაჟი და მშენებლობა.		(მათ შორის 2 ავარიული ბაღის გამაგრება/რეკონსტრუქცია და 5 არსებული ბაღის ნაცვლად ახალი ბაღის მშენებლობა), გრძელდება 1 ახალი ბაღის მშენებლობის და 1 ბაღის კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოები, დაიწყება 1 ავარიული ბაღის გამაგრება/რეკონსტრუქცია და 1 ბაღის მშენებლობა	მშენებლობა/რეაბილიტაცია (მათ შორის 2 არსებული ბაღის ნაცვლად ახალი მშენებლობა და 3 ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია		ლი პირობების შეუსრულებლობა
--	--	--	---	--	----------------------------

ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისის მუნიციპალიტეტის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების და მოქალაქეთათვის მრავალფეროვანი მომსახურების და ინოვაციური სერვისების შეთავაზების მიზნით, ერთიანი ელექტრონული სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობა, ერთიანი გეოსივრცითი მონაცემთა ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარება, მომსახურების ხარისხის მონიტორინგი და კონტროლი; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება; საინიციატივო ჯგუფების, სასკოლო კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობებისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერა, რომელთა სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეები და ზოგადი განათლების ხელშეწყობა; სხვადასხვა თემაზე განხორციელდება საქალაქო ტურნირები და ოლიმპიადები (ახალი მიმართულება); ტრენინგები თვითმმართველობის მოხელეებისთვის და ქვეუწყებების წარმომადგენელთათვის და სხვა ღონისძიებები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7096, 7098, 7083	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	განათლება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	სასკოლო კლუბების განვითარება, მოსწავლეების და სკოლების ჩართულობა არაფორმალურ საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისათვის და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისათვის (საჭიროების შემთხვევაში სხვა მუნიციპალიტეტებისათვის) მიწოდებული ელექტრონული სერვისები, მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები. თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება
---	---

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
სასკოლო კლუბების განვითარება, მოსწავლეების და სკოლების ჩართულობა არაფორმალურ საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში	პროექტებში მონაწილეთა რაოდენობა	პროექტებში ჩართული 1000-მდე სკოლის მოსწავლე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ბავშვები და მოზარდები (2024 წლის ფაქტი - 1000-	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5% ნაკლები მომართვიანობა

		მდე მოსწავლე (მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და მოზარდები)			
	ოლიმპიადებში და კონკურსებში მონაწილეთა რაოდენობა	N/A	ტურნირებსა და ოლიმპიადებში მონაწილე 500-მდე მოსწავლე	10%	ნაკლები მომართვიანობა
	გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	ტრენინგები ტარდება ყოველწლიურად საშუალოდ 25-მდე მოდულში და გადამზადებას გადის 2000-მდე თანამშრომელი (2024 წელს 22 მოდულში ჩატარდა ტრენინგები და გადამზადებულია 2102 თანამშრომელი (ქალი - 1564, კაცი - 538).	25 მოდულში 2000 თანამშრომლის გადამზადება	100 თანამშრომელი	მოხელეთა და საჯარო მოსამსახურეთა დატვირთული სამუშაო გრაფიკი
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისათვის და თბილისის მიერ დაფუნდებული იურიდიული პირებისათვის (საჭიროების შემთხვევაში სხვა მუნიციპალიტეტებისათვის) მიწოდებული ელექტრონული სერვისები, მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები.	მოქალაქეთა მომართვიანობის რაოდენობა	ყოველწლიურად სააგენტოს 11 სერვის ცენტრში, საოპერაციო დეპარტამენტში და დისტანციურად მომსახურებას გადის საშუალოდ 1 000 000 მოქალაქე (2024 წლის ფაქტი - 1 127 228) და სააგენტო უზრუნველყოფს თბილისის მუნიციპალიტეტის (საჭიროების შემთხვევაში სხვა მუნიციპალიტეტები) ელექტრონული სისტემების გამართული ფუნქციონირებას.	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	მოქალაქეთა მიმართვიანობის 5%-იანი ცდომილება და ტექნიკური ხარვეზების შედეგად გარკვეული სამუშაოს შესრულების შეფერხება;	მოქალაქეთა მიმართვიანობის ნაკლებობა და ელექტრონული სერვისების ტექნიკური ხარვეზები;
	ლიცენზიების რაოდენობა	ყოველწლიურად ხორციელდება საშუალოდ 30 პროგრამული ლიცენზიის შექმნა, ხოლო სამ წელიწადში ერთხელ თბილისის ურბანული ნაწილის ფოტოგრაფიის 3D მოდელის შექმნა (2024 წლის ფაქტი - 29 ლიცენზია, 2027 წელს დაგეგმილია ორთო-ფოტოს გადაღება/დამუშავების ღონისძიებები)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	საქმიანობის პროცესში გარკვეული ამოცანების გადაჭრის გზების ცვლილების შედეგად ცდომილების ალბათობამ შესაძლოა მოიცვას 3 ლიცენზიას	მოთხოვნის ცვლილება
თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი	ინფორმაციის განთავსება	ყოველწლიურად ხორციელდება საკომუნიკაციო და სოციალური სარეკლამო კამპანიის	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5 ღონისძიება	კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში ცვლილებების შეტანა;

ინფორმირება		ფარგლებში დამზადებული ვიდეო რგოლების (2024 წლის ფაქტი - 344 ვიდეორგოლი) სატელევიზიო ეთერში განთავსება: 33 ფეისბუკ გვერდი (მ.შ 1 ისტაგრამი), პირდაპირ ეთერით გადასაცემი 19 ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - 10 ღონისძიება)			განსათავსებელი ინფორმაციის ნაკლებობა
-------------	--	--	--	--	--------------------------------------

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 03)

მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების ხელშეწყობა სხვადასხვა პროექტების განხორციელების გზით. მათ შორის: ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სერვისების გაუმჯობესება, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, კულტურულ-საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელება, ახალი თაობის დაინტერესება წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7082	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება	განათლება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა
	მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი * მაჩვენებელი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა	გარემონტებული და შესაბამისად აღჭურვილი სივრცეები	მუდმივად ხორციელდება ფილიალების სარემონტო სამუშაოები და აღჭურვა ინვენტარით/ტექნიკით/წიგნადი, აუდიო, ვიდეო და ციფრული ფონდით (2024 წელს გარემონტდა და სრულად აღიჭურვა 2 ფილიალი, განახლდა წიგნადი, აუდიო, ვიდეო, ციფრული ფონდები)	განახლებული და თანამედროვე ტექნიკით/ინვენტარით/წიგნადი, აუდიო, ვიდეო და ციფრული ფონდით აღჭურვილი სივრცეები, ფილიალების რემონტი	1 ობიექტი	პროექტირების ვადების არასწორად გათვლა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა	საგანმანათლებლო -სამეცნიერო და	100-მდე ღონისძიება	საბაზისო მაჩვენებლის	5 ღონისძიება	ღონისძიების ცვლილება,

დაინტერესების ზრდა	კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	საშუალოდ წლის განმავლობაში (2024 წლის ფაქტი - 100-მდე)	შენარჩუნება		დაბალი ინტერესი
	სერვისებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა	35 000-მდე პირი საშუალოდ წლის განმავლობაში (2024 წელს - 31447 პირი)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	ინტერესის ნაკლებობა,

პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04)

პროგრამის მიზანია სამსახურის მაძიებელი თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეთა პროფესიული მომზადება/გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა, დასაქმებაზე ორიენტირებული სერვისების განვითარება დედაქალაქში კერძო სექტორთან და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობით. ასევე ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი საგანმანათლებლო კურსების დანერგვის მხარდაჭერა. განხორციელდება პროფესიული მომზადება/გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“, რომლის ფარგლებში სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების ბაზაზე, მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსების მეშვეობით, თბილისის შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებში გადამზადდებიან სამსახურის მაძიებელი მოქალაქეები.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7093	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	განათლება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მიზნობრივი სოციალური ჯგუფების პროფესიული მომზადება/გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული კურსების მეშვეობით და დასაქმების ხელშეწყობა
--	--

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
მიზნობრივი სოციალური ჯგუფების პროფესიული მომზადება/გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული კურსების მეშვეობით და დასაქმების ხელშეწყობა	პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა	ყველაზე მოთხოვნად 65-მდე სპეციალობაში ყოველწლიურად გადამზადდება საშუალოდ 2500-ზე მეტი მოქალაქე (2024 წლის ფაქტი - 1841 მოქალაქე და 65 სპეციალობა)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5-10%	ნაკლები მომართვიანობა კურსის ღირებულების ზრდა

უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება (კოდი 07 05)

უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება სტუდენტური ინიციატივების წახალისება, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლები, მასტერკლასები, ტრენინგები და ვორქშოფები სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული

კონტაქტების ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის, საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობა. იურიდიული კლინიკის ფარგლებში განხორციელდება მოქალაქეთა კონსულტაცია და სამართალშემოქმედების პროცესში პროგრამის მონაწილეთა ჩართვა. გაგრძელდება სტუდენტების (სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტები) სწავლის დაფინანსების ხელშეწყობა, წარმატებული მაგისტრანტებისათვის სტიპენდიების გაცემა. დაიწყება სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის/სტაჟირების პროგრამა (ახალი მიმართულება) და სხვა

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7098	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური	განათლება

პროგრამის/ქვეპროგრამის მისალოდნელი შედეგი	სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარება, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლები, მასტერკლასები, ტრენინგები და ვორქშოპები
	თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული მომსახურება თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის დაფინანსება, თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტების წახალისება

პროგრამის/ქვეპროგრამის მისალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საზაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები
სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარება, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლები, მასტერკლასები, ტრენინგები და ვორქშოპები	უცხოელი პროფესორების/სტუდენტების რაოდენობა	საზაფხულო და ზამთრის სკოლებში, ვორქშოპებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში ჩართული 1000-მდე სტუდენტი და ახალგაზრდა (2024 წლის ფაქტი - 1000-ზე მეტი), 15 უცხოელი სპეციალისტის/პროფესორის ვიზიტი და მასტერკლასებში და ვორქშოპებში ჩართული 200-მდე სტუდენტი (2024 წლის ფაქტი - 15 უცხოელი სპეციალისტის/პროფესორის ვიზიტი და 1000-მდე სტუდენტი)	5%	ღონისძიების ცვლილება, ნაკლები ინტერესი
თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული მომსახურება და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკების ორგანიზება	სერვისის მიმღები მოქალაქეთა/პრაქტიკანტი რაოდენობა	წლის მანძილზე სასწავლო პრაქტიკას გაივლის საშუალოდ 160 სტუდენტი/მოხალისე (2024 წლის ფაქტი - 183 (მათ შორის ზიჭი - 43, გოგო - 140)), ხოლო 20000-მდე მოქალაქე მიიღებს უფასო იურიდიულ სერვისს (2024 წლის ფაქტი - 19483)	3-4%	მომართვიანობის შემცირება, სხვა იურიდიულ ორგანიზაციებთან კონკურენციის მატება.
თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების, შშმ სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის დაფინანსება, თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტების	სტუდენტების მომართვიანობის შედეგად პროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილებული განაცხადების და წარჩინებული მაგისტრანტების რაოდენობა	წელიწადში საშუალოდ 4500-მდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი, შშმ სტუდენტი და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი (2024 წლის ფაქტი - 4367; 600-მდე დაფინანსებული წარჩინებული მაგისტრანტი (2024 წლის ფაქტი - 595)	10%	სოციალურად დაუცველთა ბაზების ცვლილება, ნაკლები მომართვიანობა

ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (კოდი 07 06)

პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა; მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების ხელშეწყობა; მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7098	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახური ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	განათლება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის ამაღლება და დამატებითი ცოდნის საფუძვლიანი მიღება
	სასახლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის ამაღლება და დამატებითი ცოდნის საფუძვლიანი მიღება	აქტივობების რაოდენობა	წლიურად საშუალოდ ტარდება 550 ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - 369 ღონისძიება (მათ შორის 3 ფესტივალი))	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 700 - მდე	3%	ნაკლები ინტერესი
მოზარდთა ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის ამაღლება და დამატებითი ცოდნის საფუძვლიანი მიღება	ბენეფიციარების რაოდენობა/ მოზიდვა	წელიწადში საშუალოდ 5000 ბენეფიციარი, საშეღავათო პირობებით სტატუსით მოსარგებლე 1280 (მათ შორის 1000 სოციალურად დაუცველი, 95 შშმ პირი, 100 მრავალშვილიანი, 85 წარჩინებული მოსწავლე)	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით	3%	ბენეფიციარების ნაკლები გადინება
სასახლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება	განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	სასახლეში ყოველწლიურად ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (მათ შორის სხვადასხვა ტექნიკის, ინვენტარის, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა)	5%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

8. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

გაგრძელდება კულტურის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების, თეატრების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა და

სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებულ სპორტსმენთა (ბავშვები და მოზარდები) სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა; საბალეტო ხელოვნებაში არსებული მოდერნული ტენდენციების დამკვიდრება და განვითარება; განვითარება კულტურული ტურიზმი, რისთვისაც თბილისი უმასპინძლებს მუსიკალურ, თეატრალურ და კინო ფესტივალებს; შეიქმნება ახალგაზრდული ცენტრები და ღია სივრცეები მთელი ქალაქის მასშტაბით; აშენდება მრავალფუნქციური სპორტული და ახალგაზრდული კომპლექსები; მოხდება სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის.

(ათასი ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
8	კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა	50,558.8	49,766.3	46,945.8	44,786.2
08 01	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	3,842.2	3,842.2	3,842.2	3,842.2
08 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	4,151.4	4,151.4	4,151.4	4,151.4
08 03	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	3,621.1	5,421.1	4,097.6	2,121.0
08 04	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	2,682.6	2,532.5	2,532.5	2,532.5
08 05	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	3,000.0	3,000.0	3,000.0	3,000.0
08 06	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	25,541.0	25,476.9	23,979.9	23,796.9
08 08	ახალგაზრდული ღონისძიებები	3,998.6	2,120.4	2,120.4	2,120.4
08 09	შემოქმედებითი თბილისი	1,250.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
08 10	საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა	750.0	500.0	500.0	500.0
08 11	კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
08 12	თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი	621.9	621.9	621.9	621.9
08 13	ინკლუზიური ხელოვნების და განათლების	100.0	100.0	100.0	100.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
	ხელშეწყობა				

თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 01)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა (მათ შორის რეპერტუარის განახლების, სადადგმო, ტექნიკური აღჭურვილობის და სხვა ხარჯების დაფარვა); თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან, სპექტაკლებსა და ფესტივალებში მონაწილეობა, მუნიციპალური თეატრებისა და თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის მოპოვებას და მის მიმართ დაინტერესების ზრდას.

ფუნქციონალური კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია	რომელ პრიორიტეტს შეესაბამება
7082	კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თეატრები	კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	თეატრალური ხელოვნების განვითარება და თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება
	შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან, თანამშრომლობითი პროექტების შექმნა

პროგრამის/ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი და შეფასების ინდიკატორები	საბაზისო * მაჩვენებელი	მიზნობრივი* მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო * რისკები	
თეატრალური ხელოვნების განვითარება და თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება	სპექტაკლების რაოდენობა	საშუალოდ წლის განმავლობაში იმართება მიმდინარე და საპრემიერო სპექტაკლების 400-მდე წარმოდგენა, (2024 წლის ფაქტი - 359 წარმოდგენა)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10 წარმოდგენა	თეატრის ტექნიკური გაუმართაობა
	ვიზიტორების რაოდენობა	საშუალოდ წლის განმავლობაში სპექტაკლებს ესწრება 37 000-მდე მაყურებელი, (2024 წლის ფაქტი - 36454 მაყურებელი)	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	საპრემიერო სპექტაკლების ნაკლებობა, მაყურებლის დაბალი ინტერესი
შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან, თანამშრომლობითი პროექტების შექმნა	თეატრალური ფესტივალი	ყოველწლიურად ფესტივალის ფარგლებში იმართება საშუალოდ 8-მდე უცხოური და 37-მდე ქართული სპექტაკლი, 3-მდე ვორქშოპი/ მასტერკლასი; ფესტივალში მონაწილე საშუალოდ 4-მდე მოწვეული და 26-მდე ქართული დასი (2024 წლის ფაქტი - 4 უცხოური დასის 5 სპექტაკლის (მათ შორის ერთი კოპროდუქცია) 7 ჩვენება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 19 ქართული დასის 41 სპექტაკლი (მათ შორის 6 პრემიერა), ორი შეხვედრა/ვორქშოპი).	ფესტივალის ჩატარება და საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	1 უცხოური, 4 ქართული სპექტაკლი	დაბალი ინტერესი

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02)

